



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

1.1992

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



1. 1992

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი  
ТБИЛИСИ

**სარედაქციო კოლეჯია:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნაღარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуння А. Л. (редактор), ГамкRELИДзе О. К., Гвелеснани М. И., Тодуа Г. С., ЛилуаШВИЛИ Т. С., НадаренШВИЛИ Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., ЧикваИДзе Т. Н., (зам. редактора), ШавгуаИДзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1992, № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ჭიჭოძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Киколадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

---

გადაეცა წარმოებას 24.2.1992; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.4.1992; შეკვ. № 112;  
ანაწეობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,1;  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,95; ტირაჟი 750.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;

Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ა ო ნ ო მ ი ა

3. ბერიძე, საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მისი როლი ამიერკავკასიის ფედერაციის პირობებში . . . . .	5
3. ბურღული, მეურნეობის ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის შეხამების საკითხები . . . . .	19
2. წარბაქაძე, რეგიონალური ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციის ეკონომიკური პრობლემები . . . . .	28
6. ტყეშელაშვილი, ავტონომიური მუშა ჯგუფები — შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმა . . . . .	38
რ. ლორთქიფანიძე, ეროვნული ფულის საკითხისათვის . . . . .	44
ლ. ბაპრაძე, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებათა შორის ინტეგრაცია კადრების მომზადებისა და გამოყენების სფეროში . . . . .	50
6. აჩაილაშვილი, ძ. აჩაილაშვილი, მართვის წარმოების საფუძველები ბაზრის პირობებში . . . . .	56
2. პირიკოვი, ჩვენს დროის ერთ-ერთი კრიზისი . . . . .	63
ძ. ნიკოლაური, ოჯახური იჯარა და გლეხური მეურნეობები მიწაზე პრივატიზაციის გარდამავალ პერიოდში . . . . .	71

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

8. კვაპაძე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის და განზრახ მკვლელობის გამოჩენა . . . . .	78
2. ნადარეიშვილი, „პატრონობა“ სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	86
თ. ჯავახიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მუსლიმური სამართლის მიხედვით . . . . .	91
2. ზოიძე, გვერდითი ხაზის ნათესავთა მემკვიდრეობა ქართულ სამართალში . . . . .	97

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

В. И. Беридзе, Экономическое развитие Грузии и ее роль в Закавказской федерации	5
В. Ш. Бурдули, Вопросы согласования бюрократической и рыночной координации хозяйства	
Г. Ш. Церетели, Экономические проблемы оптимизации регионального природопользования	28
Н. Д. Терашвили, Автономные рабочие группы — прогрессивная форма организации труда	
Р. Лорткипанидзе, Вопрос национальной валюты	
Л. И. Бакрадзе, Интеграция между вузами и предприятиями в области использования кадров	
Н. Е. Ачелашвили, К. В. Ачелашвили, Об основах управления производительностью в условиях рынка	56
Е. В. Кириков, Один из кризисов наших дней	63
К. М. Циклаури, Семейный подряд и крестьянские хозяйства в переходный период приватизации	71

### ПРАВО

М. О. Квачадзе, Дифференциация убийства с превышением пределов необходимой обороны и умышленного убийства	78
Г. Н. Надарейшвили, О значении слова „პატრონობა“ (патроноба) в поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре»	86
Т. Г. Джапаридзе, Преступление против собственности по мусульманскому праву	91
Б. И. Зоидзе, Вопрос наследования боковыми родственниками в грузинском праве	97

## ეკონომიკა

გაბა ბერიძე

### საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მისი როლი ამიერკავკასიის ფედერაციის პ ი რ ო გ ე ზ ი

საქართველოს ეკონომიკას ამიერკავკასიის ფედერაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი თავისი ეკონომიკური პოტენციალით აზერბაიჯანის შემდეგ იდგა ამიერკავკასიის ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან აზერბაიჯანის ნავთობის საბადოების გარეშე საქართველოს სამეურნეო შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენი რესპუბლიკების შესაძლებლობებს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ჰქონდა ტექნიკურად ჩამორჩენილი მრეწველობა. განსაკუთრებით ქარბობდა ისეთი წვრილი საწარმოები, როგორცაა ხე-ტყის სახერხი, ტყავეულის, თამბაქოს, საპნის და სხვ. საწარმოები. ისინი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდნენ. ამასთან საქართველოს მრეწველობაში გარდა ზოგიერთი დარგისა, არასრულად იყო გამოყენებული მისი ბუნებრივი სიმდიდრე. ძირითადად განვითარებული იყო მოპოვებითი დარგები.

1922 წლის ნახევრიდან რუსეთიდან სამრეწველო საქონლის შემოტანამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ორიენტაცია წარმართა საკავშირო ბაზრისაკენ, თუმცა ნაწილობრივ შენარჩუნებული იყო უცხოეთის ბაზრებიც. ხდებოდა ისეთი პროდუქციის გატანა, როგორცაა მარგანეცი, ღვინო, აბრეშუმი და სხვ. მაგრამ მიუხედავად საგარეო ბაზრის არსებობისა, საქართველო მაინც ნელა ვითარდებოდა. მოპოვებით დარგებთან ერთად იწყეს განვითარება დამამუშავებელი მრეწველობაც.

1923-24 წლის საქართველოს სახალხო მეურნეობის პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წილი შეადგენდა 13,9%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენდა — 86,1%-ს. 1925-26 წელს სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი აღწევდა 17,0%-ს, სოფლის მეურნეობისა — 83,0%, 1925-26 წელს სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი გაიზარდა 21,9%-მდე, ხოლო სოფლის მეურნეობის შემცირდა — 78,1%-მდე<sup>1</sup>.

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის გამოყენება ფართოვდება 1928-33 წწ-ში. ამ პერიოდში ამიერკავკასიის ფედერაციაში I ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ იყო მოწყობილიყო დაახლოებით 150 ახალი საწარმო. საქართველოში უნდა აშენებულიყო: სამთო-სამადნო დარგში — ტყვარჩელის ქვანახშირის მადაროები, ქუთაისის ბარიტის ქარხანა, ტყიბულის ბრიკეტის ქარხანა, ფერომარგანეცის ქარხანა, ჭიათურაში მარგანეცის ორი სარეცხი ქარხანა, ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები ბათუმში და სხვ. ქიმიურ მრეწ-

<sup>1</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) V ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1927 წ., გვ. 6-7.

ველობაში — ლიტვანის ქარხანა (ქუთაისში), ულტრამარილის ქარხანა, ნიშქიმიური ქარხანა (ბორჯომში), შუშის ქარხანა, აზოტის ქარხანა, გლაუბერის მარილის ქარხანა და სხვ. ლითონის მრეწველობაში — ლითონის ცენტრალური ქარხანა „ცენტროლიტი“ (თბილისში).

სატყეო და ქალაღის მრეწველობაში — ენგურის ქალაღის ქარხანა, ავეჯის ფაბრიკა (მარნეულში) და სხვ. ხე-ტყის გაღასამუშავებელი ქარხნები. სამშენებლო მასაღების წარმოებაში — კასპის ცემენტის ქარხანა, კირის — ქუთაისში, გაღში, ცხინვალში; აგურის ქარხნები — ხაშურში, გორში, ახალციხეში და სხვ.

საფეიქრო მრეწველობაში — თბიღისის მუღღის ქარხანა და სხვ. აბრეშუმის მრეწველობაში — ქუთაისის აბრეშუმის ძაფის ქარხანა, ზუგდიღის ძაფის ქარხანა, თბიღისში აბრეშუმის საქსოვი ქარხანა და აბრეშუმის ტრიკოტაჟის კომბინატი.

ტყავის მრეწველობაში — თბიღისის ფეხსაცმეღების ქარხანა. კეღების მრეწველობაში — მაცივარი (თბიღისში), საკონსერვო ქარხნები (გორში, ქუთაისში, სამტრედიღაში), შაქრის ქარხანა (აგარაში), მარგარინის ქარხანა (თბიღისში), შამპანურის ქარხანა (თბიღისში), ციტრუსების კომბინატი (ბათუმში), აგრეთვე 32 ჩაის ფაბრიკა და სხვ. ამ ახალმშენებლობაზე გათვალისწინებული იყო კაბიტაღდაბანღების 82%, მაშინ როღღესაც მთღიანღ სსრკ-ში ახალმშენებლობას უნღა მოხმარებოღა მთელი კაბიტაღდაბანღებღების 50,9%. ეს აიხსნება იმით, რომ საქართვეღოს სამეურნეო პოტენციღლს საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცეღვა და მომპოვებელ მრეწველობასთან ერთად ცღიღობღა განეღვითარებინღა გაღამმუშავებელი მრეწველობღა და განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობისღა და კეღების მრეწველობის ის ღარღები, რომღღის პროღუქციღს ღიღი საექსპორტო მნიშვნეღობღა ჰქონღღა. აქვე იღიც უნღა ვავითვღლისწინოთ, რომ მკვეთრად განსხეავღებოღა კაბიტაღღდაბანღებითი მიმართულღები ამიერკავკასიის რესპუბლიკეღში. თუ მთღიანღ ამიერკავკასიღში მრეწველობაში ღბანღღებული კაბიტაღღის ხეღღრითი წიღი მთელ სახალხო მეურნეობასთან მიმართებაში 1928-40 წღებში მღღღი იყო, საკავშირო ანღლოგიურ მაჩვენებღთან შეღარებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკეღში კაბიტაღღდაბანღებითი ხეღღრითი წიღი განისაზღვრებოღა თვით ამ რესპუბლიკათა მეურნეობღების სპეციღლიზაციით.

აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობაში კაბიტაღღურ ღბანღღებათა მოცულობამ I ხუთწღღღში შეღღღინღ ამიერკავკასიის 46,3%, II ხუთწღღღში 48,4%, III ხუთწღღღში 3,5 წღღში — 50,0%. საქართვეღოსი შესაბამისღ — 40,0%; 37,5% და 35,0%. სომხეთის — 13,7%, 14,1<sup>0</sup>/<sub>0</sub> და 15,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

აზერბაიჯანში პროცენტულად საშუღლოდ 1928-40 წწ-ში მრეწველობაში ღბანღღებული კაბიტაღღის ხეღღრითი წიღი, მთელ სახალხო მეურნეობასთან მიმართებაში, აღემატებოღა ანღლოგიურ საკავშირო მაჩვენებღს, 1,4-ჯერ, მთღიანღ ამიერკავკასიის მაჩვენებღს 1,3-ჯერ, საქართვეღოს — 1,8-ჯერ, სომხეთს — 1,7-ჯერ.

საქართვეღოს სოფღის მეურნეობაში ღბანღღებული კაბიტაღღის ხეღღრითი წიღი მთელ სახალხო მეურნეობასთან მიმართებაში მცირღღღით ჩამორჩებოღა საკავშირო მაჩვენებღს, მაგრამ აღემატებოღა ამიერკავკასიის საშუღლო მაჩვენებღს. ამასთან იგი აღემატებოღა აზერბაიჯანის სოფღის მეურნეობაში კაბიტაღღდაბანღებღების ხეღღრით წიღს მთელ სახალხო მეურნეობასთან მიმარ-

კაპიტალური დამანდვები სსრკ და ამერიკაჯეისის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგებში ომამდელ ხუთწლეულებში  
(სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული საწარმოების მიხედვით)

სახალხო მეურნეობის დარგები	სსრკ			ამერიკაჯეისია			აზერბაიჯანის სსრ			საქართველოს სსრ			სომხეთის სსრ		
	I ხუთ- წლეული	II ხუთ- წლეული	III ხუთწ. 3,5 წ.	I	II	III 3,5 წლ.	I	II	III 3,5 წლ.	I	II	III 3,5 წლ.	I	II	III 3,5 წლ.
სახალხო მეურნეობა სულ (მლნ. მან.)	6716	14 170	15 101	305,7	797,6	806,0	141,5	386,4	404,7	122,3	298,8	282,4	41,9	112,4	120,9
მრეწველობა მლნ. მან.	2897	6377	6228	149,4	396,1	372,7	90,7	256,4	215,0	43,1	99,0	106,3	15,6	40,7	51,4
%-ში შთელ სახ. მეურნეო- ბასთან	43,1	45,0	41,3	48,9	49,6	46,2	64,1	66,4	53,4	35,2	33,1	37,6	37,2	36,2	44,3
სოფლის მეურნეობა მლნ. მან.	905	1200	789	41,0	59,1	35,8	16,6	21,8	14,4	16,3	25,3	13,7	8,1	12,0	7,7
%-ში შთელ სახ. მეურნე- ობასთან	13,5	8,5	5,2	13,4	7,4	4,4	11,7	5,6	3,6	13,3	8,5	4,9	19,3	10,7	6,6
ტრანსპორტი და კავშირ- გაბმულობა მლნ. მან.	1248	3245	3077	59,5	127,7	88,5	9,7	43,7	26,4	40,4	59,7	52,7	9,4	24,3	9,4
%-ში შთელი სახალხო მეურნეობა	18,6	22,9	20,4	19,5	16,0	11,0	6,9	11,3	6,6	53,1	20,0	18,7	2,4	21,6	8,2



თებაში 1,3-ჯერ, მაგრამ ჩამორჩებოდა სომხეთში კაპიტალდაბანდებების ხვედრით წილს 1-3-ჯერ. საქართველოს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში კაპიტალდაბანდებების ხვედრითი წილი პროცენტულად მთელ სახალხო მეურნეობასთან მიმართებაში I ხუთწლეულში 1,7-ჯერ აღემატებოდა საკავშირო მაჩვენებელს. აზერბაიჯანთან შედარებით საქართველოში ასევე პროცენტულად I ხუთწლეულში 4,8-ჯერ მეტი კაპიტალი იყო გამოყოფილი, II ხუთწლეულში 1,8-ჯერ მეტი, ხოლო III ხუთწლეულის 3,5 წელიწადში 2,8-ჯერ მეტი, სომხეთთან შედარებით I ხუთწლეულში 1,5-ჯერ მეტი, II ხუთწლეულში — 1,1-ჯერ ნაკლები, ხოლო მესამე ხუთწლეულის 3,5 წელიწადში 2,3-ჯერ მეტი. ამასთან ამიერკავკასიის ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი 1928-40 წლებში აღემატებოდა 1,6-ჯერ.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში განისაზღვრებოდა უპირველეს ყოვლისა იმ ტრადიციული დარგებით, რომლებიც საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის მოპოვებას ითვისებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში ამ დარგების განვითარება დიდი სირთულეებით ხასიათდებოდა.

1923 წლის აგვისტოში ჩატარდა ამიერკავკასიის ეკონომიკური თათბირი, რომელმაც განიხილა მრეწველობის აღდგენის საკითხები და გადაწყვიტა საკონცესიოდ გადაეცემა ისეთი სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც ნაკლებ რენტაბელური იყვნენ და მოითხოვდნენ დიდ კაპიტალდაბანდებებს. ასეთ სამრეწველო საწარმოებს მიეკუთვნებოდნენ ჩათახის რკინის საბადოები, ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონი, საქართველოს ნავთობის საბადოები (აზნაფტის გამოკლებით) და სხვ. ამასთან, თათბირმა ფედერაციული მნიშვნელობის საწარმოებად აღიარა მარგანეცის წარმოება, ტყიბულის ქვანახშირი, ჩათახის თუჯის წარმოება, მინერალური წყლები, სპირტ-ღვინო-არაყის, თამბაქოს, ტყავის, ხის დამამუშავებელი, საქსოვი, საპნის, ხილ-კონსერვის და სილიკატების საწარმოები, ფაქტიურად საქართველოს ძირითადი სამეურნეო დარგები. შემდგომში კი მათგან გამოიყო მრეწველობის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დარგები, რომელთა ხელმძღვანელობაც დაეკისრა სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

კონცესიურ პოლიტიკას ეწეოდნენ საქართველოს ეროვნული დემოკრატიული მთავრობაც. 1918-21 წლებში ისინი ეროვნული კაპიტალის შექმნასთან ერთად ცდილობდნენ უცხოური კაპიტალის მოზიდვას. ამ მიზნით, მარგანეცის საბადოები მიეცათ ინგლისელებს. აზრეშუმი — ფრანგ მეწარმეს — ფერინსს, რომელსაც მიეცა აგრეთვე უფლება საქართველოში აეგო ძაფსაღები და სართავი ფაბრიკები, ტყვარჩელის საბადოები გადაეცათ იტალიელებს, საწლვაო მიმოსვლას დაეთუფლებნენ პოლანდიელები. კონცესიური წესით უცხოელებს გადაეცათ აგრეთვე ტყეები, მინერალური წყლები, რკინიგზის ხაზები, პორტები და სხვ.

კონცესია იყო ერთადერთი წყარო საქართველოს ეკონომიკურა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, და შემოსავლების მიღებისათვის. მართალია, იმ პერიოდში არსებობდა სხვა გზაც, კერძოდ სესხის აღება, მაგრამ უცხოეთის ქვეყნები, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების გამო, თავანთ კაპიტალს სესხად არ იძლეოდნენ. ამიტომ კონცესია იქნა არჩეული, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონცესია მეტად უთანაბრო იყო და

დამაკაბელებელი საქართველოსათვის. ცხადი იყო, რომ საქართველოს თავისი შესაძლებლობებით არ შეეძლოთ ამ რესურსების ამოქმედება.

კონცესიურ პოლიტიკას მიმართა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამაც. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჭიათურის მარგანცის მრეწველობა. მისი ზედრითი წილი მსოფლიო მოპოვებაში 1913 წელს შეადგენდა 39,6%, ხოლო 1920 წელს კი იგი დაეცა 8,3%-მდე.

მაღალი იყო საქართველოს მარგანცის ზედრითი წილი საკავშირო მოპოვებაში<sup>2</sup>:

წლები	საბჭოთა კავშირი (ათას ტ.)	საქართველოში (ათას ტ.)	საქართველოს ზედ- რითი წილი საკავ- შირო მოპოვებაში	მოპოვება საქართვე- ლოში %-ით 1913 წელთან შედარებით
1913 წ.	1235,0	1078,0	87,3	100
1921 წ.	6,3	—	—	—
1922 წ.	79,4	53,3	67,1	4,9
1923 წ.	242,2	191,1	78,7	17,7
1924 წ.	458,0	344,7	75,3	32,0
1925 წ.	787,0	498,6	63,4	46,3

1925 წელს ჭიათურის მარგანცის მთელი ექსპორტის 57,7% მოდიოდა აშშ-ზე, 14,8% — ინგლისზე, 7,2% — იტალიაზე, 3,0% ბელგიაზე, 2,6% — საფრანგეთზე და ა. შ.<sup>3</sup>

ქართული მარგანცის ექსპორტის საფუძველი იყო 1925 წელს, მისი აღდგენისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარების მიზნით, კონცენსიური წესით გადაცემა ამერიკული ფირმა „პარიმან და კომპანიას“-ათვის. კონცენსიური ხელშეკრულებით, კონცესიონერებს—„პარიმან და კომპანია“-ს ეისრებოდა დაენერგათ საბადოებში მარგანცის მადნის ამოღების დატვირთვისა და ტრანსპორტირების მექანიზაცია, აეგოთ ახალი გამაიდრებელი ფაბრიკები, განეხორციელებინათ მადნის გარეცხვის გაუმჯობესება ამ დარგში ახალი მიღწევების საფუძველზე, რასაც უნდა უზრუნველყოთ გარეცხვის დროს მადნის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა, კონცესიონერებს ევალებოდათ აგრეთვე,

მარგანცის ზედრითი წილი ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიან პროდუქტიაში<sup>4</sup>

წლები	ამიერკავკასიის მრეწველობა მთლიან პროდუქტია (ათას მანეთებში)	მარგანცის მოპოვება საქართველოში (ათას მანეთებში)	მარგანცის მოპოვების ზედ- რითი წილი ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიან პრო- დუქტიაში %-ით
1925—26	398514	5739	1,4%
1926—27	459667	4069	0,9%
1927—28	543513	1935	0,4%

<sup>2</sup> შედგენილია: Чиатурская марганцевая промышленность Тифлис, 1929, с. 4, 6, 23.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4, 6, 23.

<sup>4</sup> Закавказья в цифрах, Тифлис, 1929, с. 62—64.

შორაპან-ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა შეეცვალათ ფართოლიანდაგიანი რკინიგზით, ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ზესტაფონში, ფერო მარგანეცის ქარხნების აგების მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

კონცესიებმა ვერ შეასრულეს ვალდებულებები. ეკონომიკურად მათ ვერ გასწიეს კაპიტალდაბანდებები ვალდებულებების შესასრულებლად, რამდენადაც საბჭოთა კავშირში მიმდინარე ნაციონალიზაციის პროცესი და კაპიტალისტური მეწარმეობის გაუქმება ითვალისწინებდა მომავალში კონცესიის გაუქმებასაც. საბჭოთა ხელისუფლება დიდ უნდობლობას აღძრავდა უცხოელ კაპიტალისტებში, ამიტომ კონცესიონერები ექსპლუატატორულად მიუდგენ მალარობებს და 1928 წელს მარგანეცის მრეწველობის 35 მაღაროსა და ქარხნიდან ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ქარხანა და ორი მაღარო. 1928 წელს საბჭოთა მთავრობამ გააუქმა კონცესიური ხელშეკრულება.

მარგანეცის მოპოვება საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა 30-იან წლებში. რასაც ხელი შეუწყო ინდუსტრიალიზაციის მიმდინარე პროცესმა.

თუ 1913 წელს მარგანეცის მოპოვება შეადგენდა 965,8 ათას ტონას, 1920 წელს იგი შემცირდა 125,5 ათას ტ-მდე, 1932 წელს მან შეადგინა 1913 წლის დონის 40,3%. მოპოვებული იქნა 388,89 ათასი ტონა მარგანეცი. 1938 წელს მარგანეცის მოპოვებამ გადააჭარბა ომამდელ დონეს 44%-ით და შეადგინა 1391,89 ათასი ტონა, ხოლო 1940 წელს კი 1449 ათას ტ.<sup>5</sup>

საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან ხდებოდა ქვანახშირის მოპოვება. საქართველოში ქვანახშირი არც თუ ისე დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა, ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი რაოდენობის ქვანახშირი შემოიზიდებოდა დონბასიდან, მიუხედავად ამისა, ქართულ ქვანახშირს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ტყიბულის ქვანახშირის მომხმარებელთა რიცხვი, რომელთა შორის იყო ამიერკავკასიის რკინიგზა, კასპის ცემენტის ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, აგურის, კირის და სხვა საწარმოები, დღითიდღე იზრდებოდა, ხოლო მათი სრულად დაკმაყოფილება ტყიბულს არ შეეძლო. ამიტომ 1932 წელს დაისვა საკითხი ტყვარჩელის საბადოების დამუშავების შესახებ. აქ მოპოვებულ ქვანახშირს რიგი დადებითი მხარეები ჰქონდა; იგი ხანგრძლივად ინახებოდა, მცირე რაოდენობით შეიცავდა

ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 1921-1926 წწ.<sup>6</sup>

წლები	ქვანახშირის მოპოვება ათას ტონობით.	მოპოვება 1913 წელთან შედარებით %-ით.	მოპოვება 1921 წელთან შედარებით
1913	71,6	100,0	—
1921	75,5	105,4	100
1922/23	28,7	40,0	28,0
1923/24	62,9	87,8	83,3
1924/25	71,4	99,7	99,6
1925/26	85,2	118,9	112,8

<sup>5</sup> Грузинская ССР за 20 лет, Тбилиси, 1941, с. 3—7.

<sup>6</sup> Народное хозяйство закавказья в цифрах, Тифлис, 1927, с. 296.

ნაცარს და გოგირდს, ხასიათდებოდა ნახშირბადის მაღალი შემცველობით და რაც მეტად მნიშვნელოვანია, იძლეოდა კარგ მეტალურგიულ კაქსს. ამიტომ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებს დიდი როლი უნდა შეესრულებინა ამიერკავკასიის მეტალურგიული წარმოებების შექმნაში.

საქართველოში ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობდა რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულთა 28,1%, ხოლო ამ დარგის მიერ წარმოებული პროდუქცია მთელი მრეწველობის პროდუქციის 12,7% შეადგენდა.

საქართველოში ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 1938 წელს 1913 წელთან შედარებით 6,2-ჯერ. თუ 1913 წელს მისი ამოღება შეადგენდა 70 ათას ტონას, 1927-28 წლებში 85 ათას ტონას, 1932 წელს მან შეადგინა 205 ათასი ტ., 1937 წელს 400 ათასი ტონა, ხოლო 1938 წელს კი 431,0 ათასი ტონა<sup>7</sup>.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სამთო-მომპოვებელი დარგები ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა, ერთობლივ პროდუქტში იგი შეადგენდა 12,7%, მაშინ, როდესაც მთლიანად ამიერკავკასიაში ეს მაჩვენებელი უდრიდა 5,9%, აზერბაიჯანში 2,0%, ხოლო სომხეთში 1,1%<sup>8</sup>.

საქართველოში ქვანახშირის მოპოვების ხვედრითი წილი<sup>9</sup>

	1913 წ.		1926 წ.		1932 წ.		1937 წ.		1940 წ.	
	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%
სსრკ	29117	100	35510	100	64360	100	127968	100	165923	100
საქართველო	70	0,2	85	0,2	205	0,3	400	0,3	625	0,4

საქართველოში ბუნებრივი რესურსების ათვისებას მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა. ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის საწარმოთა ექსპლოატაციის ორგანიზაციის უნდა შეექმნა სათბობი მასალის მეზა ამიერკავკასიის მეტალურგიისათვის და მათ უნდა გამოეყვება საკავშირო მეტალურგია. ფერო-მარგანეცის წარმოებას უნდა მოემარაგებინა კავშირის მეტალურგიული ქარხნები და უნდა გაზიდულიყო საქსპორტოდ. ქიმიური მრეწველობა კი უნდა განვითარებულიყო იმ ზომით, რა ზომითაც მას თხოვლობდა ნავთობის ვადა-მუშავება და სოფლის მეურნეობის ქიმიური სასუქებით დაკმაყოფილება და ა. შ. გარდა ტრადიციული დარგებისა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, საქართველოში იქმნება აგრეთვე ახალი დარგები — ნავთობმომპოვება. მანქანათმშენებლობა, სამკერვალო, საკონსერვო, ჩაის, შაქრის საწარმოები და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში დაიწყო ნავთობის მრეწველობამ ფუნქციონირება, 30-იან წლებში იწყება შარზონისა და პატარა შირაქის ნავთობის მოპოვება. მართალია 1938 წელს ნავთობის მოპოვება 1932 წელთან შედარებით გაიზარდა 3,6-ჯერ, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთელს ამიერკავკასიაში მეტად უმნიშვნელო იყო.

<sup>7</sup> Промышленность СССР стат. сборник 1957 с. 142—143.

<sup>8</sup> Грузинская ССР за 20 лет, Тб., 1941, с. 37.

<sup>9</sup> განავარიშებულა: Краткий обзор народного хозяйства ЗСФСР в 1925—1926 гг. Тифлис 1927, с. 42—43.

ნავთობის მოპოვება და გადამუშავება საქართველოში<sup>10</sup>

	1932 წ.	1937 წ.	1938
ნავთობის მოპოვება	100	225,6	359,3
ნავთობის გადამუშავება	100	110,5	110,8

საქართველოში 30-იან წლებში შეიქმნა შავი მეტალურგია. შავი მეტალურგიის მთლიანმა პროდუქციამ 1926/27 წლის ფასებში შეადგინა 1933 წელს 0,2 მლნ. მანეთი, 1937 წ. — 40,3 მლნ. მანეთი და 1939 წელს 52,8 მლნ. მანეთი<sup>11</sup>.

1931 წელს იქმნება ცემენტის წარმოებაც. მისმა გამომუშავებამ 1938 წელს მიაღწია 140 ათას ტონას<sup>12</sup>.

საქართველოში 30-იან წლებში ვითარდება ლითონდასამუშავებელი და მანქანათმშენებლობის საწარმოები, მათი განვითარება დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელებთან, რომელთა შორის დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენდნენ საწარმოთა მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, კვალიფიციური კადრების სიმცირე, მანქანათმშენებლობის ტრადიციების უქონლობა.

საწარმოთა უმეტესობა შედგებოდა წვრილი კუსტარული და ნახევრად-კუსტარული ქარხნებიდან, რომელთა 72,6% მოკლებული იყო მექანიკური ენერჯის საშუალებებს<sup>13</sup>.

საქართველოში 20-იანი წლების დასაწყისში ძველ საწარმოებთან იყო შეთავსებული ახალი და ხასიათდებოდა ფართო უნივერსალიზმით, რაც გამოწვეული იყო მანქანა-მოწყობილობებზე მოთხოვნილებათა ნაირგვარობით. 1926 წლიდან წარმატებით იქნა ათვისებული აბრეშუმის ძაფის სახვევი მანქანების მასობრივი წარმოება და ამავე წელს პირველად დამზადდა ჩაის ფოთლის დასამუშავებელი საცდელი მანქანები.

1927 წლიდან თბილისური მანქანებით დაიწყო როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად ამიერკავკასიის და თურქმენეთის აბრეშუმის მრეწველობის გადაიარაღება. საქართველო აბრეშუმის მანქანების შემომტანი ქვეყნიდან მის მწარმოებელ ქვეყანად გადაიქცა. 1927 წლის დასასრულიდან საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა საზღვარგარეთიდან აღნიშნული მანქანების შემოტანა, ხოლო საქართველოს მანქანათმშენებლობაში შეიძინეს აბრეშუმის მანქანათმშენებლობის საკავშირო მონოპოლია. ამის შემდეგ გაფართოვდა აბრეშუმის პარკის ადგილობრივი გადამუშავება და მაქსიმალურად შემცირდა აბრეშუმის იაფადღირებული ნედლეული მასალის ექსპორტი.

1928/29 წელს საქართველოს მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში გაიზარდა 7,1%-დან 28%-მდე 1932 წელს.

1928-29 წლებში საფუძველი ჩაეყარა მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნების მშენებლობასაც: ქ. თბილისში ჩარხმშენებელ ქარხანას, ბათუმში — ჩაის მანქანათმშენებელ ქარხანას, თბილისში, ავჭალაში — ცენტროლიტის მშენებლობას და სხვ.

<sup>10</sup> Грузинская ССР за 20 лет. Т6., 1941, с. 37.

<sup>11</sup> Грузинская республика за 20 лет. Т6., 1941 с. 37.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>13</sup> Материалы по отчету ВСНХ за 1922 г. Т6., 1923. с. 3.

საქართველოში ლითონდამმუშავებელი დარგი ძირითადად მანქანათმშენებლობით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი განუხრელად იზრდებოდა და 1939 წელს იგი 28,6-ჯერ გაიზარდა 1913 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მისი ხვედრითი წილი ამიერკავკასიის მთელ სამრეწველო პროდუქციაში მაინც მცირე იყო.

საქართველოში ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია 1939 წელს გაიზარდა 28,6-ჯერ 1913 წელთან შედარებით.

საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობა<sup>14</sup>

	1913	1927/28	1932	1937	1939
ლითონდამმუშავებითი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926/27 წწ. ფასებში (მლნ. მან.)	4,6	9,0	46,2	108,7	131,4

საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი ერთობლივ პროდუქტში შეადგენდა 5,5%, მაშინ როდესაც მთლიანად ამიერკავკასიაში მისი ხვედრითი წილი იყო 3,6% აზერბაიჯანში — 1,5%, ხოლო სომხეთში კი 9,1%<sup>15</sup>.

ამასთან თუ საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი შეადგენდა ამიერკავკასიის 42,8%-ს, აზერბაიჯანში 53,8%-ს ხოლო სომხეთში კი 3,5%-ს.

1937 წელს საქართველოს ხვედრითი წილი შემცირდა 33,3%-მდე. აზერბაიჯანის გაიზარდა 63,3%-მდე, ხოლო სომხეთისა კი დარჩა უცვლელი — 3,3%<sup>16</sup>.

საქართველოში ხე-ტყის დამუშავება განვითარებული დარგი იყო. ტყის ძვირფასი ჯიშები: 1) სამშიდი (ბზა) ანუ როგორც რუსები უწოდებენ „კავკასიის პალმა“, საიდანაც მზადდებოდა საქსოვი მანქანის მაქოები, საგრავეიარო ფიცრები და სხვ.

2) ურთხელა — იგი გაჰქონდათ საზღვარგარეთ და მისგან ამზადდებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, 3) დაფნის ფოთოლი — იგი გაჰქონდათ როგორც რუსეთში ასევე საზღვარგარეთაც.

ხის დამმუშავებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1927/28 წლებში 1926/27 წლის ფასებში შეადგენდა 7,2 მლნ. მანეთს, 1932 წელს — 26,0 მლნ. მანეთს, 1937 წელს — 29,6 მლნ. მანეთს და 1939 წელს 42,2 მლნ. მანეთს<sup>17</sup>.

ამასთან საქართველოში ხე-ტყის დამუშავების დარგს მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა ამიერკავკასიაში, ამავე პროდუქციის მთლიან წარმოებაში.

1925/26 წწ-ში იგი შეადგენდა 66,6%, შემდგომ იგი სულ უფრო იზრდებოდა, 1926/27 წელს მან შეადგინა 76,5%, 1927/28 წწ-ში — 79,5%. 1930 წელს მან მიაღწია 84,8%. მაგრამ შემდგომ 1933 წელს იგი შემცირდა

<sup>14</sup> გაანგარიშებულია ნაშრომიდან „Краткий обзор нар. хоз-во ЗСФСР“ в 1925-26 гг. Тбилиси 1927, с. 42.

<sup>15</sup> გაანგარიშებულია ნაშრომიდან „Итоги выполнения II пятилетнего плана развития народного хозяйства СССР“. М. 1939., с. 115.

<sup>16</sup> Грузинская ССР за 20 лет. Тб. 1941., с. 38.

<sup>17</sup> იქვე.

67,5%-მდე, თუმცა მთლიანად მაღალი ხვედრითი წილი მას არც შემდგომ არ დაუკარგავს.

ამგვარად, ადვილად შესამჩნევია ის, რომ საქართველოს ძირითადი საბადოების მოპოვებითი და გადამამუშავებელი დარგები ამიერკავკასიის ფედერაციაში აღმავალი გზით ვითარდებოდნენ, მათზე ყოველ ხუთწლედში გამოყოფილი იყო სულ უფრო მზარდი კაპიტალდაბანდებები, ამან კი ხელი შეუწყო დარგების სწრაფ ზრდას, პარალელურად იცვლებოდა ამ დარგების ხვედრითი წილი ამიერკავკასიის მთელ სამრეწველო პროდუქციაში.

საქართველოს ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მსხუტქ მრეწველობას. მისი დარგობრივი სტრუქტურიდან კი აბრეშუმის, შალის, ბამბეულის, ტყავ-ფეხსაცმელების, ტრიკოტაჟის წარმოებას, სამკერვალო და პოლიგრაფიულ მრეწველობას.

მათ განვითარებას ნათელყოფს შემდეგი მონაცემები<sup>18</sup>:

პროდუქციის დასახელება	1927/28	1932	1937	1939
1. აბრეშუმი (ტ)	78,2	137,9	247,0	255,0
2. შალის ქსოვილი (ათასი მეტრი)	120,9	1030,0	1661,0	1793,0
3. საქსოვი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1926/27 წ. ფასებში (მლნ. მან.)	1,9	42,1	65,9	76,5
4. ტყავ-ფეხსაცმელის წარმოების მთლიანი პროდუქცია 1927/28 წ. ფასებში (მლნ. მან.)	3,5	19,1	40,0	57,2
5. ფეხსაცმელი (მლნ. მან.)	0,2	1,7	5,4	7,5

საქართველოში ტრადიციულ დარგს შეადგენდა მეაბრეშუმეობა. ჯერ კიდევ 1715 წელს პეტრე I შაჰთან მივლინებულ თავის ელჩს ავალებს, რათა შაჰი დაიყოლიოს, რომ უბრძანოს სომეხებს, მთელი თავიანთი აბრეშუმით ვაჭრობა ევროპასთან აწარმოოს რუსეთის სახელმწიფოზე გავლით. აბრეშუმით ვაჭრობა, XVII-XVIII საუკუნეებში ევროპასა და აზიას შორის კომერციულ ურთიერთობაში ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო. რუსეთს უნდოდა დაეპყრო ამიერკავკასია და ირანისა და თურქეთისათვის მისი მოწყვეტილი ხელში ჩაეგდო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მსოფლიო ვაჭრობის უძველესი დროიდან განთქმული სატრანზიტო ტერიტორია.

XIX საუკუნის I ათეული წლის შემდეგ ამ მიზნებში ნელ-ნელა ხდებდა დიდი ცვლილებები. საფეიქრო მრეწველობაში მომხდარი სამრეწველო გადატრიალების დროიდან აბრეშუმი თანდათან მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, როგორც მასობრივი მოთხოვნილების საქონელი, ხოლო ბამბა და ბამბა-ქსოვილის მრეწველობა იქცა კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად.

აბრეშუმის წარმოება იზრდება საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში, 1940 წელს 1927/28 წლებთან შედარებით აბრეშუმის წარმოება გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>18</sup> Грузинская ССР за 20 лет. Тб., 1941, с. 38-40.

აბრეშუმის ქსოვილების წარმოება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში<sup>19</sup> (ათ. ტ.).

	1913	1928	1932	1937	1940
ამიერკავკასია	—	50	1577	4652	5685
საქართველო	—	59	1550	4414	5291
საქართველოს ხვედრითი წილი ამიერკავკასიაში (%-ში)	—	100	98,3	94,8	93,0
აზერბაიჯანი	—	—	19	162	193
სომხეთი	—	—	8	76	201

მთელს ამიერკავკასიაში მისი წილი მსუბუქ მრეწველობაში შემცირდა. მაგალითად, 1927/28 წლებში 27,9%-დან 1932 წელს იგი დაეცა 13,5%-მდე. პარალელურად გაიზარდა ისეთი დარგების ხვედრითი წილი, როგორცაა სამკერვალო — 18,8%-დან 43,5%-მდე, ტრიკოტაჟის წარმოება — 1,3%-დან 5,3%-მდე, შალის წარმოება — 5,6%-დან 7,1%-მდე. ამასთან, შემცირდა ტრადიციული დარგების ხვედრითი წილი, როგორცაა ბამბულის წარმოება 28,2%-დან 16,3%-მდე და ტყავ-ფეხსაცმელის წარმოება 14,8%-დან 12,0%-მდე.

საქართველოს მრეწველობის ერთობლივ პროდუქტში საფეიქრო წარმოებას 1925/26 წლებში ეკავა 7,6%. ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი იყო აზერბაიჯანში — 39,1% და სომხეთში — 42,4%. ხოლო მთლიანად ამიერკავკასიაში იგი შეადგენდა 27,7%-ს. საქართველო აღემატებოდა სხვა რესპუბლიკებს ტყავის წარმოების ხვედრითი წილით. იგი შეადგენდა 7,0%, მაშინ როდესაც სომხეთში ეს მაჩვენებელი იყო 5,9%-სა, აზერბაიჯანში კი — 1,5%. მთლიანად ამიერკავკასიაში — 7,0%.

ამიერკავკასიის მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა კვების მრეწველობას. მის საექსპორტო პროდუქციას მიეკუთვნებოდა ზეთი, კონსერვები, თამბაქო, ხილბოსტნეული, ხილი და მათი ხვედრითი წილიც კვების მრეწველობის მთლიან პროდუქტიაში 20-30-იან წლებში იზრდებოდა. მაგალითად, 1930 წელს თუ ზეთსახადს ეკავა 10,0%, 1932 წელს მან მიიღწია 12,2%, კონსერვები გაიზარდა 3,7%-დან 6,8%-მდე, ხილბოსტნეული 6,4%-დან 9,6%-მდე, ხოლო შემცირდა ფევილ-ლერლის ხვედრითი წილი, თუ იგი 1930 წელს შეადგენდა 39,5%-ს, 1932 წელს მან შეადგინა 15,3%. თამბაქოს ხვედრითი წილი 1930 წელს შეადგინა 19,2%-ს.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში კვების მრეწველობის პროდუქტია შეადგენდა ამ რესპუბლიკების სამრეწველო პროდუქციის თითქმის მესამედს. საქართველოში ეს დარგი მთავარ საექსპორტო პროდუქციას აწარმოებდა და აღმავალი გზით ვითარდებოდა, რის შესახებაც წარმოდგენილია შემდეგი მონაცემები<sup>20</sup>:

<sup>19</sup> შედგენილია ნაშრომიდან „Промышленность СССР“, М. 1964 г. გვ. 372.

<sup>20</sup> Грузинская ССР за 20 лет. Тб., 1941, с. 40.



პროდუქციის დასახელება	1913 წ.	1927/28 წ.	1932 წ.	1937 წ.	1939 წ.
1. ბაიხის ჩაი (პირველადი ვადამუშავების, ტ-ში)	128	255	518	6448	10148
2. თამბაქოს მრეწველობა პაპიროსი (მლრდ. ცალი)	1,5	2,1	3,7	4,8	5,3
3. საკონსერვო მრეწველობის პროდუქცია (მლნ. პირობითი ცალი)	—	1,4	6,3	15,8	25,7
4. შამპანური (ათასი ბოთლი)	—	—	—	130,0	1319,7
5. შაქრის წარმოება (ათასი ტონა)	—	—	2,8	9,4	11,4

თევზის მოპოვება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში<sup>21</sup> (ათასი ტონა)

	1913	1928	1932	1937	1940
ამიერკავკასია	99,8	55,1	67,7	44,9	42,6
საქართველო	2,0	2,3	7,9	5,5	8,2
საქართველოს ხვედრითი წილი ამიერკავკასიაში (%)	2,0	4,2	11,7	16,2	19,2
აზერბაიჯანი	97,7	52,1	58,8	36,2	33,2
სომხეთი	0,5	0,7	0,9	1,2	1,2

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს განსხვავებული ხვედრითი წილი ჰქონდათ კვების პროდუქციის ცალკეულ წარმოებაში. საქართველოში 1925-28 წლებში მაღალი იყო ღვინო-კონიაკი-არაყის წარმოება. იგი ამ პერიოდში 28,8%-დან გაიზარდა 39,3%-მდე, მაშინ როდესაც, აზერბაიჯანის ხვედრითი წილი კლებულობდა. იგი 53,7%-დან დაეცა 50,1%-მდე. განსაკუთრებით მაღალი იყო საქართველოში თამბაქოს წარმოება 1925-33 წლებში. მისი ხვედრითი წილი შეადგენდა 65-71%. საკონსერვო წარმოების ხვედრითი წილი კი შეადგენდა 54,5-42%-ს. ამავე პერიოდში, აზერბაიჯანში თამბაქოს წარმოების ხვედრითი წილი მთელი ამიერკავკასიის სამრეწველო წარმოებაში შეადგენდა 28-32%-ს. სომხეთის — 1-8%-ს, კონსერვების წარმოებაში აზერბაიჯანის ხვედრითი წილი შემცირდა 45%-დან 15%-მდე, ხოლო სომხეთის გაიზარდა და 1933 წელს მიაღწია 44%-ს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მაღალი იყო აზერბაიჯანში თევზის ვადამუშავებელი დარგის ხვედრითი წილი.

ამიერკავკასიის კვების მრეწველობაში თითოეული რესპუბლიკის წილი და მათი პროდუქციის სტრუქტურა თითქმის უცვლელი დარჩა 40-იან წლე-


<sup>21</sup> შედგენილია ნაშრომიდან „Промышленность СССР“, М., 1964, с. 438.

ბამდე და მთლიანად სსრკ სამრეწველო წარმოებაში 1940 წელს ამიერკავკასიაში იწარმოებოდა ყურძნის ღვინოს 14,3%, შამპანურის 20,8%. თევზის — 9,5%, ზეთის 2,7%, ჩაის 11,0%.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთლიანად საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპი აღემატებოდა როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ზრდის ტემპს, ასევე საკავშირო მაჩვენებელსაც. თუ 1932 წელს 1928 წელთან შედარებით სსრკ მრეწველობა გაიზარდა 2-ჯერ, აზერბაიჯანის კი 1,9-ჯერ, საქართველოს მრეწველობა გაიზარდა 2,9-ჯერ, 1932-40 წლებში მათი ზრდის ტემპები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. 1937 წელს 1932 წელთან შედარებით სსრკ-ში გაიზარდა 2,2-ჯერ, აზერბაიჯანში 2,0-ჯერ, საქართველოში 2,1-ჯერ, სომხეთში — 2,1-ჯერ, 1940 წელს 1937 წელთან შედარებით სსრკ-ში მრეწველობა გაიზარდა 1,4-ჯერ, აზერბაიჯანში — 1,2-ჯერ, საქართველოში 1,3-ჯერ, სომხეთში 1,6-ჯერ, ხოლო 1940 წელს კი 1913 წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი აღმოაჩნდა საქართველოს — იგი გაიზარდა 10,2-ჯერ, სსრკ-ში — 8,5-ჯერ, სომხეთში — 8,7-ჯერ, აზერბაიჯანში კი 5,9-ჯერ<sup>22</sup>.

ამასთან, ასეთი ზრდის ტემპების შედეგად, ამიერკავკასიის მთლიან სამრეწველო პროდუქციაში თუ 1913 წელს საქართველოს ხვედრითი წილი შეადგენდა 7,2%-ს. 1937 წელს მან შეადგინა 28,5%. პარალელურად შემცირდა აზერბაიჯანის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი 90,5%-დან 64,5%-მდე და გაიზარდა სომხეთის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი 2,3%-დან 7,0%-მდე. ამგვარად, თანდათანობით ხდებოდა რესპუბლიკების ზედრითი წილის ურთიერთდაახლოება და მათი გათანაბრება, თუმცა მათ შორის სამრეწველო დიფერენციაცა ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ამიერკავკასიის რესპუბლიკების განვითარება, ერთის მხრივ, იყო გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა მეფის რუსეთი. ამ თვალსაზრისით, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თავდაპირველად თავი დასაყრდენი იყო იმ დარგების განვითარება, რომლებიც განსაზღვრავდნენ მის ადგილს შრომის საკავშირო დანაწილებაში. ეს იყო ნავთობი და მარგანეცი. შემდგომ, მეორე და მესამე ხუთწლიანებში ეს ტემპი იქნა შენარჩუნებული და ამ დარგებს დაემატა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, საფეიქრო მრეწველობა, ხილის, სუბტროპიკების წარმოება, თევზკონსერვის საწარმოები, ფაქტორად კი ხდებოდა იმ დარგების განვითარება-გაფართოება და საექსპორტო წარმოება, რომელთა განვითარების პირობაც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან იწყებოდა, მეორეს მხრივ, ამიერკავკასიაში რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ტემპმა მიაღწიეს ახალ მასშტაბებს. ამასთან, ძირითადად აქცენტი აღებული იყო მძიმე მრეწველობასა და მანქანათმშენებლობის განვითარებაზე, რამდენადაც ისინი განსაზღვრავდნენ ქვეყნის სამხედრო ძლიერების ზრდას, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარებას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მესამეს მხრივ, ხდებოდა რესპუბლიკების ეროვნული ინტერესების შელახვა, კერძოდ კი მათი შრომის პროდუქტების გადანაწილება სხვადასხვა რესპუბლიკებში მათი ეკონომიკური დონეების დაახლოების მიზნით. ამასთან, რესპუბლიკების

<sup>22</sup> განგარიშებულია H/x CCCP, M. 1956 c. 45.



გამთანაბრებლობა მიმდინარეობდა იმ ეკონომიკური უპირატესობების ანუღირების გზით, რომლისაგან მიღებული სახსრები უნდა დარჩენილიყო რესპუბლიკების მოსახლეობის სარგებლობაში.

В. И. БЕРИДЗЕ

## ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ГРУЗИИ И ЕЕ РОЛЬ В ЗАКАВКАЗСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

Резюме

В статье дан анализ развития экономики Грузии в период существования Закавказской Советской Федеративной Социалистической Республики (1922—1936 гг.), показаны взаимоотношения экономик, входящих в Федерацию республик.

წარმოადგინა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური ისტორიის განყოფილებამ

### მაცნე ბარტლი

## მეურნეობის ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის შეხამების საკითხები

ეკონომიკის ბიუროკრატიზაცია დამახასიათებელია არა მარტო სოციალისტური წარმოებისათვის, სადაც მას აქვს სპეციფიკური თავისებურებანი. სამეურნეო ბიუროკრატიის ზრდა დამახასიათებელია ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვისაც. ასე, მაგალითად, დასავლეთის ეკონომისტ-სპეციალისტების და საქმოსნების წარმომადგენელთა წრეებში არსებობს აზრი, რომ „დიდი ბიზნესის ბიუროკრატიზაცია — მთავარი ფაქტორია, რომელიც აკავებს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას“<sup>1</sup>.

მაგრამ ბიუროკრატიული კოორდინაციის გარეშე მეურნეობის ფუნქციონირება შეუძლებელია, რამდენადაც ნებისმიერ ორგანიზაციაში და მითუმეტეს სახელმწიფო მართვის იერარქიულ სტრუქტურებში შეუძლებელია არ გამოიყენებოდეს რეგულირების ფორმალური მეთოდები, რომლებიც სწორედაც თავის არსში წარმოადგენენ ბიუროკრატიას. სამეურნეო, სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფორმება მეურნეობის სუბიექტებს შორის, და აგრეთვე მათი ურთიერთობების გაფორმება, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მართვის ინსტიტუტებთან, საჭიროებს ფორმალური ბიუროკრატიული მეთოდების გამოყენებას. ამიტომ ბიუროკრატიზმს აქვს არა მარტო ნეგატიური მხარეები — მისი აუცილებლობა გამოდინარეობს თვით საწარმოო ურთიერთობების არსიდან. მაგრამ არ შეიძლება დაშვებული იქნას ბიუროკრატიული კოორდინაციის ნამეტანი გაძლიერება ბაზრის კოორდინაციის საზიანოდ და, მითუმეტეს, საჭიროა მოცილებული იქნას ბიუროკრატიული კოორდინაციის დამახინჯებული ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია სოციალისტური წარმოებისათვის და ეკონომიკური აზროვნების ძველი წესის ინერტულობის, საკუთრების ფორმების და მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის თანდათანობის გამო ამჟამადაც არა აღმოფხვრილი.

სოციალისტურ ეკონომიკაში ვერტიკალური კავშირები წარმოადგენდნენ ძირითად კავშირებს, რაც აყენებდა როგორც მწარმოებლებს, ასევე მომხმარებლებს მონოპოლიური ბიუროკრატიული იერარქიული სტრუქტურებისადმი დაშოკიდებულებაში: ფონდების და რესურსების განაწილება, მოგების განკარგულება შედიოდა მათ კომპეტენციაში.

საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი საიმედოდ მუშაობს მხოლოდ თავისი წონასწორული მდგომარეობის მახლობლად, რომლისაგანაც დაშორებით ფა-

<sup>1</sup> Ичитовкин Б. «Адхократия» — путь борьбы с бюрократизмом. ж.: Вопросы экономики, 1989, № 12, с. 107.

სების სტიქია იქცევა გამანადგურებელ ძალად, რაც იწვევს ანარქიას, შეუკავებელ ინფლაციას, მასობრივ უმუშევრობას და სხვა ნეგატიურ პროცესებს. ამასთან ერთად ნეგატიურმა მოვლენებმა ეკონომიკაში შეიძლება მიაღწიონ უდიდეს ზომებს. ომის წინა კრიზისები კაპიტალისტურ ქვეყნებში მოწმობენ ამას. წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში კი ბაზარს, თავისთავად, ავტომატურად არ შეუძლია დაუბრუნდეს ადრინდელ მდგომარეობას.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა, საჭიროა კანონმდებლობის წესით დამყარდეს შესაბამისი ვარანტიები, რომელთა რეგულირება უნდა ხდებოდეს უპირატესად ბიუროკრატიული კოორდინაციის მეთოდებით. „ბაზრის ურთიერთობების შექმნის დროს, საჭიროა ძალიან ფრთხილი მიდგომა გარე ბრძანებებისა და პარამეტრების დამყარების მიმართ, ისინი შეზღუდული უნდა იყვნენ და აისახონ მხოლოდ კანონის ფორმით“<sup>2</sup>.

თანამედროვე ეტაპზე აბსოლუტურად თავისუფალი ბაზარი არსად არ არსებობს: ბაზრის რეგულირება, როგორც ცნობილია, ხდება მთავრობებისა და მთავრობათა შორის ურთიერთობათა დონეზე, ბიუჯეტის საშუალებით და ა. შ., ეკონომიკური ან საფინანსო რეგულირების ან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

მაშასადამე, საჭიროა რეგულირებადი საბაზრო სისტემა. ასე, მაგალითად, ომის შემდგომ წლებში კაპიტალისტურმა ქვეყნებმა აითვისეს ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფოებრივი და სხვა არასაბაზრო მეთოდები, შექმნეს საკმაოდ ეფექტურად მოქმედი საბაზრო რეგულატორები და კოორდინაციის არასაბაზრო და საბაზრო მეთოდების მიზანშეწონილი შეხამების საფუძველზე „მიადწიეს წარმატებებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ათვისებაში და რიგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში“<sup>3</sup>.

შეუძლებელია აბსოლუტურად თავისუფალი ბაზრის არსებობა ჩვენთანაც. იგი კერძოდ, გამოიწვევს შეუჩივრებელ ინფლაციას და სხვა ნეგატიურ პროცესებს. ამიტომ საჭიროა ლაპარაკი ბაზრის რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის დაწესებაზე, ე. ი. ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის თანამოქმედებაზე.

ბაზარი შეიძლება გახდეს თვითმარეგულირებელი მარტო მაკროდონეზე შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკური რეგულირების სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრივი (ბიუროკრატიული) და საბაზრო კოორდინაციის თანამოქმედებაზე. ეს კი საჭიროებს ისეთი კანონმდებლობის სისტემის შექმნას, როგორც არსებობს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ყველა ცალკეულ ქვეყანაში მათ შესაბამისი თავისებურებანი გააჩნიათ.

მაშასადამე, განვითარებული არარეგულირებადი ბაზრის არსებობა შეუძლებელია. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის ოსტატობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ დადგინდეს ბაზრის რეგულირების და ბაზარზე მოქმედების მექანიზმის მიზანშეწონილი დონეები. დაბალანსარებული რეგულირებადი

<sup>2</sup> Халфина П. Закон и рынок. — газ.: Экономика и жизнь, 1990, октябрь, № 43, с. 5.

<sup>3</sup> Куликов В. Рынок и социальная справедливость, — газ.: Экономика и жизнь, 1990, июнь, № 25, с. 7.

ბაზარი საჭიროებს მტკიცე ვალუტას, შემოსავლებისა და შესაბამისად მოთხოვნილების ზრდამ არ უნდა გაასწროს წარმოების მოცულობის, საქონლის და მომსახურების მიწოდების მატებას, ამიტომ სახელმწიფოებრივი რეგულატორებმა, განსაკუთრებით საბიუჯეტო, საგადასახადო და საკრედიტო სისტემებმა, უნდა იმუშაონ ვალუტის, მოთხოვნილებისა და მიწოდების სიმტკიცის მისაღწევად.

ასე, მაგალითად, რესპუბლიკაში მიღებულია გადაწყვეტილება საკუთარი ვალუტის შემოღებაზე დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ. მისი სიმტკიცე უნდა იქნას უზრუნველყოფილი ეკონომიკის კოორდინაციის სახელმწიფოებრივი და საბაზრო მექანიზმების მკაფიოდ მოქმედი სისტემით.

ბაზრის რეგულირების მიზნით, წარმოებრივად განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ, ლიცენზირების განსტობული სისტემა, მტკიცდება დისკონტის პროცენტის უკიდურესი ზომა. რიგ ქვეყნებში გამოიყენება ეკონომიკური მართვის ასეთი ბერკეტები, როგორცაა სახელმწიფოებრივი შეკვეთა და სხვა; შექმნილია რეგულირების ახალი ფორმებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ „მომხმარებლის დაცვას“, პრაქტიკაში შემოღებულია ახალი საწარმოების, ახალი ტექნოლოგიების წინასწარი ექსპერტიზის მოთხოვნა<sup>4</sup>, ეკონომიკური რეგულატორების სისტემაში შედის: საფინანსო-სავალუტო სისტემა, ფულის ემისიის, ფასების, შრომის ანაზღაურების (მაგალითად, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის დადგენა) რეგულირება, ნებართვის გაცემა გარკვეულ საქმიანობაზე, წარმოებაზე, ვაჭრობაზე (მაგალითად, დაზღვევა, საბანკო საქმიანობა ყველგან იმყოფება მკაცრი კონტროლის ქვეშ), კარგად დამუშავებული საგადასახადო სისტემა<sup>5</sup> და სხვა.

ბაზარზე გადასვლის პირობებში, სახელმწიფოებრივი მართვის აპარატის საერთო შემცირებასთან ერთად განვითარებული უნდა იქნას კოორდინაციის აპარატები, რომლებიც ბაზარს ემსახურებიან, მათ შორის: მარკეტინგის სამსახური, კომერციული ბანკები, საგადასახადო ინსპექცია, ფასებზე დაკვირვების სამსახური, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები და სხვა მმართველობით ორგანიზაციები, დაკავშირებული ბაზრის ფუნქციონირებასთან.

საფინანსო ბაზრის არსებობა ხელს შეუწყობს კაპიტალური დაბანდების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფას. მისი ფუნქციონირების დროს საბანკო კრედიტის პროცენტების გადახდა მოხდება კაპიტალის საბაზრო ფასის შესაბამისად. ამისათვის საჭიროა უარი ითქვას კაპიტალურ დაბანდებათა ფონდების განაწილებაზე ცენტრალური ეკონომიკური ორგანოებს მიერ. საფინანსო ბაზრის (ან კაპიტალის ბაზრის) არსებობის პირობებში კორპორაციებს, კონცერნებს, ფირმებს, საწარმოებს შორის დაიწყება კონკურენცია კაპიტალურ დაბანდებათა მიღებისათვის ბანკებისაგან და საკრედიტო სფეროს სხვა ორგანიზაციებისაგან. ასეთი კონკურენციის შედეგად დადგენილი იქნება კაპიტალის ფასი, ესე იგი სესხის პროცენტის დონე, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან რეგულატორს. თანაფარდობა სესხის პრო-

<sup>4</sup> Халфина Р. Закон и рынок, газ.: Экономика и жизнь, 1990, октябрь, № 43, с. 5.

<sup>5</sup> Яковлев В. Ф. Общие, единые «правила игры» создавать сразу и сообща, газ.: Экономика и жизнь, 1990, июль, № 31, с. 6.

ცენტსა და მოგებას შორის განსაზღვრავს კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებას დარგების, ცალკეული კორპორაციების, კონცერნების, ფირმების ჭრილში<sup>6</sup>.

მაშასადამე, კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება უზრუნველყოფს საფუძველს წარმოების გადაყვანისათვის თვითრეგულირების პრინციპზე. კაპიტალის თავისუფალი გადანაწილება მწარმოებელთა პორიზონტალური კავშირების დამყარებასთან ერთად უზრუნველყოფს წარმოების სტრუქტურაში პროგრესული ძვრების მოხდენას, კორპორაციების, კონცერნების, წარმოების სხვა ახალი ტიპების შექმნას.

წარმოებრივი ინვესტიციების დაუბრუნავი საბიუჯეტო დაფინანსება უმეტეს შემთხვევებში საჭიროა შეიცვალოს საბიუჯეტო კრედიტით. უწინ საკრედიტო ინვესტირება, ბიუჯეტთან ერთად, წარმოადგენდა არსებითად მატერიალური წარმოების მოთხოვნილებათა უნაცვალგებოა წყაროს და კრედიტის შედგენადაც ემისია არანაკლები ზომით, ვიდრე ბიუჯეტის დეფიციტი, აძლევდა ზარალს ფულად ბრუნვას.

ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ სესხის პროცენტის დონე მიუახლოვდეს მსოფლიოში არსებულ განაკვეთებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყის პერიოდში ინვესტირების საბიუჯეტო ფორმას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, რადგანაც სტრუქტურული გარდაქმნა, რომელიც აუცილებელია ბაზრის პირობებზე გადასვლისათვის, მოითხოვს მსხვილ ინვესტიციებს, რომელთა ნაწილი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ სახელმწიფოებრივი (მათ შორის ადგილობრივი) სახსრებით. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაუბრუნავი საბიუჯეტო დაფინანსება უმეტეს შემთხვევებში ჯნდა შეიცვალოს საბიუჯეტო კრედიტით. კაპიტალური დაბანდება ბიუჯეტიდან უნდა გაიკეს იმ პროცენტია ამოღებით, რომელიც შეესაბამება საბანკო პროცენტს, მაგრამ მიზანშეწონილია შედგავთიანი პროცენტის დაწესება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით პირობითეული მიმართულებებისათვის, მათ შორის წარმოებებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ დეფიციტების ლიკვიდაციას, მეცნიერტეკადი წარმოებებისათვის, სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისათვის და სხვა, აგრეთვე საბაზრო ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ელემენტების შექმნისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გარდაუვალია ფასწარმოქმნის რეფორმა, საბითუმო და საცალო ფასები უნდა იყვნენ თავისუფალნი, მოძრავნი, მოქნილნი, რეგულირებადი მოთხოვნილების და მოწოდების თანაფარდობით, რაც აუცილებელია ღირებულების კანონის ნორმალური მოქმედებისათვის. მაგრამ აუცილებელია მართვის სახელმწიფოებრივი ორგანოების ზედამხედველობაც, რომლებმაც კონტროლი უნდა გაუწიონ და, ნეგატიური ტენდენციებს გაჩენის შემთხვევაში, კორექტივები შეიტანონ მათ ცვლილებაში ბიუროკრატიული კოორდინაციის მეთოდების საშუალებით: ნებისმიერ საბაზრო ეკონომიკაში არსებობს ფასების ჯგუფები, რომელთა რეგულირებას ახდენს სახელმწიფო, „მათი წილი ჩვეულებრივად არ აღემატება ათ პროცენტს“<sup>7</sup>. მაგრამ პირველ

<sup>6</sup> Меньшиков С. Катастрофа или катарсис? М.: Интер-Версо, 1990, с. 72.

<sup>7</sup> Ясин Е. На подступах к рынку. — газ.: Экономика и жизнь, 1990, март, № 11, с. 6.

ზანებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმს უნდა ჰქონდეს უფრო ქმედითი ბერკეტები, რომლებიც სახელმწიფოს საშუალებას მისცემენ მოახდინოს ფასების დონის რეგულირება მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონელზე, და აგრეთვე იმ პროდუქტებზე, რომელიც წარმოადგენს ცალკეული მწარმოებლების მონოპოლიას. მაშასადამე, საჭიროა ჩატარდეს ფასების უმეტესობის ეტაპობრივი გამოყვანა კონტროლიდან, მცირე რაოდენობის სუბსიდირებული მოხმარების საგნების ფასების გამონაკლისით. თანდათანობით სუბსიდები ფასებზე უნდა შემცირდეს, და აგრეთვე უნდა შემცირდეს სუბსიდირებული საქონლის რაოდენობა.

მაგრამ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო მწვეველ გაკრიტიკება ხელმძღვანელობის ტექნოკრატიული პრინციპებისა. ჯერ ერთი, ხელმძღვანელებმა ეჭვით შეიტანეს მათ ფასეულობებში, და მეორეც, მუშები უკმაყოფილონი გახდნენ თავისი სამუშაო სიტუაციით. ამაზე მეტყველებდნენ მრავალრიცხოვანი გაფიცვები დასავლეთის სამყაროში, მიმართული უშიშარსო შრომის წინააღმდეგ, როცა მუშაკები სრულებით მოკლებულნი იყვნენ რაიმეს გადაწყვეტის უფლებას. ამასთან მკვეთრად იზრდებოდა გაცდენების რიცხვი, განსაკუთრებით ორშაბათობით და პარასკევებით. როცა მუშაკებს ჰკითხეს: „რატომ მუშაობთ კვირაში მხოლოდ სამ დღეს?“, მათ უპასუხეს: „ორი დღე ცოტაა, რომ გეყოს ცხოვრებაზე“, ე. ი. მათ დაიწყეს უფრო მეტად თავისუფალი დროის დაფასება, ამკობინებდნენ რა მას ხელფასსაც კი.

დასავლეთელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძველმა, საყოველთაოდ აღიარებულმა კონცეფციებმა, ისეთებმა, როგორცაა სპეციალიზაცია, ცენტრალიზაცია, სტანდარტიზაცია და მასშტაბის ეფექტი, დაკარგეს თავისი დომინირებული მნიშვნელობა და მათ ადგილზე მოვიდნენ „ახლები“ — საერთო ჩვევები, ვითარების ადგილზე ათვისება, დამოუკიდებლობა, თვითრეგულაცია და ზომიერი მასშტაბი. სინამდვილეში ეს „ახალი“ კონცეფციები სხვა არაფერია, თუ არა კარგად დაეიწყებული ძველი, ანუ ტექნოკრატიზმამდე არსებული ხელმძღვანელობის პრინციპები.

ავიღოთ თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი შვედური საავტომობილო კომპანიის „ვოლვოს“ მაგალითი. ადრე აქ გამოიყენებოდა შრომის ორგანიზაციის ტექნოკრატიული პრინციპები. უზარმაზარ ქარხნებში, სადაც მომუშავეთა რიცხვი გამოიხატებოდა ათასებში, მუშები ასრულებდნენ ძალზე სპეციალიზებულ ოპერაციებს. დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კონტროლი ცენტრალიზებული იყო. მუშაკთა მონაწილეობა გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

70-იანი წლების დასაწყისში კადრების დენადობის ზრდამ, ყოველდღიური გაცდენების მომრავლებამ, ყველაზე მეტად კი იმ გარემოებამ, რომ კომპანია ველარ ახერხებდა შვედური ეროვნების ადამიანების სამუშაოზე დაქირავებას (გეტებორგის ქარხნებში კონვეიერულ ხაზებზე მომუშავე უცხოელი მუშების რიცხვი 50 პროცენტამდე გაიზარდა), აიძულა ხელმძღვანელობა სერიოზულად ჩაფიქრებულიყო, განსაკუთრებით ხელმძღვანელობის ტრადიციულ სტილზე. შედეგად შემუშავებული იქნა ახალი პრინციპები, რომელთა საფუძველზე მოხდა მუშაობის ორგანიზება 1974 წელს კალმარში ვაშვებულ ქარხანაში. მუშაკთა რიცხვი შეადგენდა 500 კაცს, ქარხანა შედგებოდა სამი განცალკევებული და შედარებით პატარა წარმოებრივი ერთეულისაგან, რომელთაგან თითოეული მარაგდებოდა რესურსებით ისეთნაირად, რომ მათ შესძლებოდათ დამოუკიდებლად ფუნქციონირება. კონვეიერულ ხაზზე უარი თქვეს. წარმოება მოაწყეს ისე, რომ ყველა მუშას ჰქონოდა წარმოებრივი პროცესის, როგორც ერთიანი მთლიანობის, აღქმა. გარდა ამისა, მუშები იძენდნენ საერთო ჩვევებს მანამდე პრაქტიკაში გაბატონებული სპეციალიზაციის საწინააღმდეგოდ. ხელმძღვანელობის ახალი კონცეფციის ძირითადი იდეა მდგომარეობდა ნაწილობრივ ავტონომიური მუშა ჯგუფებისაგან შემდგარი შრომის ორგანიზაციის შექმნაში. ეს ჯგუფები სრული პასუხისმგებელნი იყვნენ

მთლიანობით დავალებებისათვის. ამან მუშებისაგან მოითხოვა, სხვადასხვა შრომითი ჩვეების გარდა, უფრო ფართო პლანის კომპეტენცია და ბევრი ორგანიზაციული საკითხის დამოუკიდებლად ადგილზე გადაწყვეტა. ამასთან ერთად ზედმეტი გახდა დაგეგმვისა და კონტროლის ბევრი ღონე. ყოველივე ამან შექმნა საფუძველი თვითრეგულაციისა და დეცენტრალიზაციისათვის.

შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი ახალი პროექტი შეიმუშავეს ნორვეგიელმა მეცნიერებმაც, რომელიც დანერგეს სასუქების მწარმოებელ ნორვეგიულ კომპანიაში. პროექტის აუცილებლობა გამომდინარეობდა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მოსაზრებებიდან, რადგანაც კომპანიამ სახიფათოდ დაკარგა თავისი პოზიციები საერთაშორისო კონკურენციულ ბრძოლაში. წარმოებრივი პრობლემების შედეგიან გადაწყვეტას ხელს უშლიდა წარმოების უაღრესი სეგმენტირება, შრომის მოუქნელი ორგანიზაცია, კადრების დიდი დენალობა და მუშების არასაკმარისი კომპეტენცია.

ქარხანაში, სადაც ტარდებოდა ექსპერიმენტი, მუშაობა სრულდებოდა უწყვეტი წარმოებრივი ციკლის ფარგლებში ოთხ ცვლად. თითოეულ ცვლაში მუშაობდა 10 არაკვალიფიციური მუშა, ამასთან ცვლის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ოსტატი და მისი თანაშემწე. დღის ცვლაში მუშაობდა კვალიფიციური მუშების ბრიგადა, რომელიც შედგებოდა მექანიკოსებისა და ზეინკლებისაგან და რამდენიმე დამხმარე მუშისაგან. ეს ბრიგადა დაკავებული იყო ტექნიკური უზრუნველყოფით და რემონტით. ყველა ოთხი ცვლა ორგანიზებული იყო მართვის ტრადიციული, ტექნოკრატიული პრინციპების მიხედვით.

წარმოებრივი პროცესი დაყოფილი იყო სხვადასხვა მონაკვეთად, ყოველი მუშა-ოპერატორი პასუხისმგებელი იყო ერთადერთი მონაკვეთისათვის და მხოლოდ ცალკეული მუშაკები იცნობდნენ წარმოებრივი სისტემის სხვა მონაკვეთებს.

მუშაკთა შრომით დაკმაყოფილებულობის ამაღლებისა და შრომის უფრო მოქნილი ორგანიზაციისათვის უარი თქვეს ძველ პრინციპებზე და შემოიღეს სამუშაო ადგილების გადანაცვლება და ჯგუფური ავტონომია. მიზანი იყო თითოეული ცვლის მუშათა ჯგუფიდან, მათ შორის ოსტატისა და 1-2 სპეციალისტისაგან, შედარებით ავტონომიური მუშა ჯგუფის ჩამოყალიბება. ამასთან დადგინეს მოთხოვნა, რომ მუშათა უმრავლესობას აეთვისებინა თანრიგიდან თანრიგამდე სათანადო უნარ-ჩვევები, რათა შეესრულებინათ სამუშაო დავალებების დიდი ნაწილი. ამგვარი განვითარების გარანტია იყო ცვლილებები ხელფასის სისტემაში — უნარ-ჩვევების ზრდას ყოველთვის თან სდევდა ხელფასის შესაბამისი გადიდება.

ექსპერიმენტი შესანიშნავი წარმატებით ხორციელდებოდა. 2 წლის შემდეგ მუშა ჯგუფები გახდნენ საკსებით მოქნილი. ერთი ოპერატორის სამუშაო უბანზე სამუშაოს დაგროვებისას სხვა უბნებისათვის პასუხისმგებლებს შეეძლოთ მაშინვე აღმოეჩინათ დახმარება. აგრეთვე იყო შეუსრულებელი სამუშაოს ერთი ცვლიდან მეორეში დელეგირების შესაძლებლობა. განსახილველი სისტემის ფარგლებში გამარტივდა ახალი მუშაკების გაწვრთნაც: მოკლევადიანი შესავალი კურსის შემდეგ ახალბედას შეეძლო გამკლავებოდა ადვილ დავალებებს. სირთულეების წარმოშობისას კი დასახმარებლად მოდიოდნენ თავისი რჩევებითა და ძალით კვალიფიცირებული გამოცდილი მუშები. შრომის ორგანიზაციის ახალმა ფორმამ საგრძნობლად შეამცირა სამუშაოზე არ ყოფნის პრობლემა. ავადმყოფობის შემთხვევაში შეეძლოთ შეეცვალათ ნებისმი-

ერი მუშა. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ მუშა ჯგუფებს ცვლაში შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ქარხნის მუშაობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქარხანაში მთლიანად სამუშაო ძალა დროებით მცირდებოდა 20-30 პროცენტამდე.

ექსპერიმენტის შედეგად მიღწეული იქნა ყველა ძირითადი მიზანი: გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა, შრომა შეივსო შინაარსით, მუშაკებმა მიიღეს საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებისა და ინიციატივის გამოჩენის უფლება, შემცირდა სტატუსთა ბარიერები სხვადასხვა დონის მუშაკებს შორის, ამაღლდა მუშების კომპეტენცია, შემცირდა გაცდენების რიცხვი და კადრების დენადობა. ამიტომ მიღებული გამოცდილება შეიძლება ჩაითვალოს საინტერესოდ და სასარგებლოდ.

იმისათვის, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მოხდეს ტექნოკრატიული აზროვნებისა და მისი მავნე შედეგების გაუვნებლობა, შრომის ჰუმანიზაცია, შინაგანი გამდიდრება და მიმზიდველობის ზრდა, შესაძლებელი გახდეს მოქნილობის შეტანა ზეცენტრალიზებულ ორგანიზაციაში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ფორმებისა და კომპანიების მსგავსად, ჩვენთანაც დაინერგოს და გავრცელდეს ავტონომიური მუშა ჯგუფები.

თეორიაში შემოთავაზებულია ავტონომიურობის შემდეგი კრიტერიუმები:

1. ჯგუფს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ჯგუფის წინაშე დასმულ მიზნებზე, მათ შორის:

ა) კვალიტატიურ (თვისებრივ) ასპექტებზე, ე. ი. რა აწარმოოს;

ბ) კვანტიტატიურ (რაოდენობრივ) ასპექტებზე, ე. ი. რამდენი და რა პირობებით აწარმოოს (ჯგუფსა და ხელმძღვანელობას შორის უშუალო მოლაპარაკებების გზით წარმოების მოცულობის, შრომის პირობებისა და ხელფასის შესახებ).

პუნქტი „1-ბ“ დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს როგორც პუნქტ „ა“-ზე, ისე პუნქტ „ბ“-ზე. ეს გულისხმობს, რომ მოლაპარაკებაზე მხარეები გამოდიან თანასწორ პარტნიორებად.

2. ჯგუფს შეუძლია მიმართოს თავისი მუშაობა შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი წყვეტს, სად იმუშაოს (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია წარმოების გადაადგილება);

ბ) როდის იმუშაოს;

— როდის რომელი დავალებები შეასრულოს (ე. ი. გეგმები და მეთოდები);

— სამუშაო დროის დადგენა.

„2-ბ“ დაკმაყოფილებულია, თუ დაკმაყოფილებულია როგორმე შემდეგი პუნქტები:

(1) თუ ჯგუფს შეუძლია შეზღუდოს ჯგუფის, როგორც მთელის, სამუშაო საათების რაოდენობა;

(2) თუ ჯგუფს შეუძლია გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა ვინმეს ჯგუფის წევრთაგან წავიდეს სამუშაო დროს სამუშაოდან;

(3) თუ ჯგუფს შეუძლია გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა და როდის შეასრულოს საზეგანაკვეთო სამუშაო.

გ) ჯგუფს შეუძლია გადაწყვეტოს, როგორი სხვა საშუალო შეუძლია მას შეასრულოს. კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ ჯგუფს შეუძლია წავიდეს სამუშაოდან და გააკეთოს შესვენებები საკუთარი შეხედულებისამებრ; თუ ჯგუფის წევრებს შეუძლიათ შეასრულონ ინდივიდუალური სამუშაო ან სხვა საქმეები, როცა შესრულებულია წარმოებრივი დავალებები.

3. ჯგუფი დებულობს აუცილებელ გადაწყვეტილებებს წარმოების მეთოდის არჩევაში. ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ ჯგუფი ატარებს სრულ პასუხისმგებლობას წარმოების საშუალებებისათვის და თუ:

ა) არსებობს ალტერნატიული მეთოდები;

ბ) პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჯგუფს, არ ერევიან მეთოდის არჩევაში.

4. ჯგუფი თვითონ ახორციელებს დავალებების შინაგან დანაწილებას. როგორც მესამე, მეოთხე კრიტერიუმიც დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) არსებობს დავალებების დანაწილების ალტერნატიული შესაძლებლობები (ტიქნოლოგიურ შეზღუდვებს და ფორმალურ მოთხოვნებს შეუძლიათ შეზღუდონ არჩევანი);

ბ) პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჯგუფს, არ ერევიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კრიტერიუმი გამოუსადეგარია, თუ „ა“ არ არის დაკმაყოფილებული.

5. ჯგუფს გამოაქვს გადაწყვეტილებები თავისი წევრების მიმართ. არსებობს არჩევანის 3 შესაძლებლობა:

ა) ჯგუფი ირჩევს და ნიშნავს ადგილზე ახალ წევრებს;

ბ) ჯგუფი ათავისუფლებს არასაკუთარ წევრებს;

გ) ხელმძღვანელობა ირჩევს წევრებს და ჯგუფს არ გააჩნია თანამონაწილეობის შესაძლებლობა.

მოცემული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ პროცედურა განისაზღვრება „ა“ და „ბ“ პუნქტებით.

6. ჯგუფი თვითონ წყვეტს საკითხს მართვის ორ არსებით ასპექტთან დაკავშირებით.

ა) სჭირდება თუ არა მას ხელმძღვანელი, რომელიც დაკავებული იქნება ჯგუფში წამოჭრილი საკითხებით, და იმ შემთხვევაში, თუ სჭირდება, მაშინ ვინ იქნება;

ბ) სჭირდება თუ არა მას ხელმძღვანელი გარეშე შემზღუდავი პირობების რეგულირებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ სჭირდება, მაშინ ვინ იქნება.

7. ჯგუფის წევრები წყვეტენ, როგორ შეასრულონ სამუშაო ოპერაციები (ინდივიდუალური ავტონომიური ობიექტების კრიტერიუმი).

არსებობს 3 შესაძლებლობა:

ა) მუშა თვითონ ირჩევს თავის მეთოდს (კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია);

ბ) ვიღაც სხვა, მაგალითად, საამქროს უფროსი ან ვინმე მგეგმავებიდან, ირჩევს მეთოდს (კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული);

გ) ტექნოლოგია არ ტოვებს არჩევანის არსებით შესაძლებლობას (ამ შემთხვევაში კრიტერიუმი უადგილოა).

უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილების საფუძველზე გამოიკვეთა ავტონომიური მუშა ჯგუფების 3 სხვადასხვა ტიპი:

1. ჯგუფები, რომლებიც შედგებიან უმეტესწილად დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებისაგან და ფუნქციონირებენ ჩამოყალიბებულ, მოძველებულ წარმოებრივ დარგებში. ამგვარ დარგებში ხელმძღვანელობის ძირითადი მიზანია ხარჯების შემცირება, მათ შორის დანახარჯებისა ადმინისტრაციის შენახვაზე.

2. ჯგუფები, რომლებიც შედგებიან ჩვეულებრივ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისაგან და ფუნქციონირებენ წარმოებრივ დარგებში ავტომატიზაციის მაღალი ხარისხით. ამგვარ ორგანიზაციებში მიზნად დასახულია მაქსიმალური მოქნილობა და ტექნოლოგიური კომპეტენტურობა.

3. ჯგუფები, რომლებიც შედგებიან მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე სპეციალისტებისაგან (ხშირად მის წევრებს აქვთ აკადემიური განათლება) და ფუნქციონირებენ განვითარებადი ტექნოლოგიის სფეროში. ამგვარი ჯგუფები ჩვეულებრივ ყალიბდება როგორც ავტონომიური და ძალზედ მოქნილი ქვედანაყოფები. მათი ავტონომიურობა ემყარება მოცემული პროფესიის ტრადიციულ დამოუკიდებლობას და იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია იმის კონტროლირება, რის შესახებაც არაფერი არ იცი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული სამი ტიპიდან, ყველაზე პერსპექტიულად ითვლება მესამე.

საქართველოს მრეწველობის პირობებიდან გამომდინარე, ავტონომიური მუშა ჯგუფები შეიძლება ყველაზე უფრო მისაღები მართვის სტრატეგია იყოს მოძველებულ წარმოებრივ სისტემაში („დაბერებულ“ საწარმოებში), სადაც ისინი ხელს უწყობენ შრომის უფრო მოქნილი ორგანიზაციის შექმნას, ამასთან პოზიტიურ მომენტებად თან ახლავს მინიმუმამდე დაყვანილი ადმინისტრაციული ხარჯები და შრომითი კონფლიქტების მნიშვნელოვანი შემცირება.

დასასრულს, მოვიყვანთ საზღვარგარეთელი მეცნიერების დასკვნას იმის შესახებ, რომ ავტონომიურ მუშა ჯგუფებზე ხელმძღვანელობა ყოველთვის რაღაცაში მოიგებს და ძალიან ცოტას წააგებს.

### Н. Д. ТЕРАШВИЛИ

## АВТОНОМНЫЕ РАБОЧИЕ ГРУППЫ — ПРОГРЕССИВНАЯ ФОРМА ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА

### Резюме

Приводятся критерии автономности и типы автономных рабочих групп. Дается рекомендация о внедрении в промышленности Грузии передового зарубежного опыта.

## რეკონსტრუქციის პრობლემა

### ეკონომიკის რეკონსტრუქციის პრობლემა

ხატოვანდ რომ ვთქვათ, ყველაფერი ფულთანაა დაკავშირებული (რაც თქმა უნდა მაღალწონიერების ღირებულებების გარდა).

წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურების არასრულფასოვნების აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს მთელი ფულადი სისტემის რეორგანიზაციასთან კონტექსტში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე კონვერტირებული ეროვნული ფულის არსებობა მნიშვნელოვანი საფეხურია. კონვერტირებული ვალუტის წარმოშობის საფუძველს საქართველოს რესპუბლიკაში გვაძლევს საგარეო ვაჭრობისათვის ხელსაყრელი მდებარეობა (შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზი), რაც გამოყენებულ უნდა იქნეს ექსპორტის დაწინაურებისათვის. კონკურენტუნარიანი პროდუქციის სპექტრის გარეშე ვალუტის გამოცხადება მხოლოდ დეკლარაციად დარჩება.

ეროვნული ფულის მოჭრა და მისი კონვერტულობა გარკვეულ წინაპერიოდსა (1-2 წელი) და მოსამზადებელ სამუშაოებს საჭიროებს, რაც გულისხმობს: ა) ცენტრისაგან რეალური ჩაურევლობის მიღწევას საგადასახადო პოლიტიკისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების სფეროში; ბ) ბაზრის გარკვეულ გაჯერებას საქონლის საჭირო სტრუქტურით; გ) ფულის ნიშნების მოჭრის საწარმოო-ტექნოლოგიური ასპექტების მოგვარებას; დ) მსოფლიო სავალუტო მიმოქცევაში შესვლასა და ქართული ფულის თავისუფლების ხარისხის მატების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ცალ-ცალკე თითოეული პრობლემათაგან რთული რიგის ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება. მაგრამ მოქმედებაში გააზრებულმა სითავამემ მიწი-მუშამდე უნდა დაიყვანოს მათი გადაჭრის ხანგრძლივობა.

ვალუტის კონვერტირებულობა (ზოგიერთ ავტორთან შექცევადობა), ანუ მისი თავისუფლების ხარისხი, შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი და თითქმის მთლიანად იზოლირებული. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ეკონომიკისა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული (ჩაკეტილი) სისტემის ქვეყნებისათვის. ნაწილობრივი სავალუტო შეზღუდვები ეხება მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების დიდ უმრავლესობას (ცხრილი 1): მაგალითად, მოთხოვნები საექსპორტო შემოსულობათა ჩაბარების ან რეპატრიაციის შესახებ აღერიცხება 151-დან 122 ქვეყანას, შეზღუდვები კაპიტალებისა და კრედიტების მოძრაობის სფეროში 120-ს, მიმდინარე ოპერაციების მიხედვით — 84-ს. სრული კონვერტულობის ვალუტა აქვთ მხოლოდ ზოგიერთ მაღალგანვითარებულ უმსხვილეს ინდუსტრიულ ქვეყნებსა და ძირითად ნავთობექსპორტიორებს. მათ რიცხვშია: აშშ, დღია ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, კანადა, დანია, ნიდერლანდები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, საუდის არაბეთი, კუვეიტი, სინგაპური, ჰონკონგი და სხვა. საფრანგეთსა და

მსოფლიოში სავალუტო შეზღუდვათა გავრცელებულობის შესახებ<sup>1</sup>  
(ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მოცემული სახის შეზღუდვას იყენებენ)

სავალუტო შეზღუდვის სახეობა	მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს შორის
I. სავალუტო კურსების სიმრავლე:	
ა) სხვადასხვა კურსები ყველა ან ზოგიერთი სასაქონლო ოპერაციის მიხედვით	37
ბ) ერთზე მეტი კურსი იმპორტის მიხედვით	28
გ) ერთზე მეტი კურსი ექსპორტის მიხედვით	30
დ) იმპორტის მიხედვით კურსების განსხვავება ექსპორტის მიხედვით კურსებისაგან	35
II. ორმხრივი საგადასახადო შეთანხმებები:	
ა) მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მიხედვით	41
ბ) მსოფლიო სავალუტო ფონდში გაუწევრიანებელი ქვეყნების მიხედვით	28
III. შეზღუდვები მიმდინარე ოპერაციების მიხედვით	84
IV. შეზღუდვები კაპიტალებისა და კრედიტების მოძრაობის სფეროში	120
V. საავანსო იმპორტული დემონეტები	119
VI. მოთხოვნები საექსპორტო შემოსულობათა ჩაბარების ან რეპატრაციის შესახებ	122

იტალიასაც კი არ მიუღწევიათ სრული კონვერტულობისათვის, ინარჩუნებენ რა ზოგიერთ შეზღუდვებს კაპიტალებისა და კრედიტების მოძრაობის სფეროში.

საქართველო ამჟამად იმყოფება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შეძლებისდაგვარად ნაკლებად მტკიცენიული, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიების გზაზე. ამიტომ ქვეყანაში არსებული სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, არ შეიძლება რომელიმე სხვა სახელმწიფოს გამოცდილების შექანიკურად გადმოტანა ჩვენს პირობებში. ამასთან ერთად, ეჭვგარეშეა ის, რომ უნდა შევისწავლოთ და რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც პროგრესული და სასარგებლოა ცივილიზებულ ქვეყნებში<sup>2</sup>.

მისანშეწონილად მიგვაჩნია ვერსია თავისუფლად კონვერტირებადი სტაბილური ვალუტის თეთრის მიმოქცევის მექანიზმის შესახებ, რომლის მიხედვით „საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში რჩება მანეთი... პარალელურად მიმოქცევაში უნდა გამოვიდეს საქართველოს საკუთარი ვალუტა — თეთრი (ან ქართი — რ. ლ.), რომლის მიმოქცევის სფერო უნდა შემოიფარგლოს იმ სასაქონლო მასით, რომელზეც არის სტაბილური მოთხოვნა საერთაშორისო ბა-

<sup>1</sup> Annual Report on Exchange Arrangements and Exchange Restrictions.—Как сделать рубль конвертируемым? (По материалам международного конкурса), Москва, Финансы и статистика, 1990, გვ. 29-30.

<sup>2</sup> ა. გუნია, საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები, თბ., მეცნიერება, 1991, გვ. 10.



ზარზე. ამ მოთხოვნის გაფართოების კვლობაზე გაფართოვდება თეთრის მიმოქცევის სფეროც, ისე რომ ის თანდათან გამოდნის მიმოქცევიდან მანეთს და საბოლოოდ ჩვენ გვეჩვენება სტაბილური კონვერტირებადი ვალუტა<sup>3</sup>. უმჯობესია გვეჩინდეს მცირე რაოდენობის, მაგრამ ძლიერი, სტაბილური ვალუტა უზრუნველყოფილი კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციით, ვიდრე გაუფასურებისადმი მიდრეკილებადი ფული, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ დესტაბილიზაციას თუ მოგვიტანს.

საქართველოში წარმოებული პროდუქციის 26 პროცენტი გადის რესპუბლიკის გარეთ, მათ შორის მხოლოდ 1,7 პროცენტი შეადგენს საექსპორტო პროდუქციას<sup>4</sup> (საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გატანილს). თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პროდუქციის ნაწილი ცენტრის იდეოლოგიური მოსაზრებებით ნაწილდებოდა, სტაბილური ვალუტის უზრუნველყოფის იმედს დღესდღეობით გვიტოვებს მთლიანი პროდუქციის დაახლოებით მხოლოდ 1%.

საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი პროდუქციის თავისუფლად განკარგვის საშუალებას მოგვცემს. სამამულო ვალუტის კონვერტულობის სურვილმა არ უნდა გამოიწვიოს უნიკალური ბუნებრივი რესურსების განაივება ექსპორტის გადიდების მიზნით. სწრაფად უნდა ვეცადოთ ვატანის ცალმხრივი სანდღლეულო ორიენტაციის შეცვლას მრავალფეროვანი სტრუქტურით. გემოკვების პროდუქცია, ფეროშენადნობები, ქვანახშირი თანდათან უნდა შეივსოს მეცნიერებატევადი დარგების პროდუქციით. საქართველოში მაღალრენტაბელობით ხასიათდებიან ელექტროენერგეტიკა, ნავთობქიმიური (განსაკუთრებით რეზინოასბესტის) მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, საგზაო-სამშენებლო და კომუნალური მანქანათმშენებლობა, ტყავის, ბეწვის და მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგები, თევზის მრეწველობა, უალკოჰოლო სასმელების, ლუდისა და ღვინის წარმოება, პოლიგრაფიული მრეწველობა, ტურნიზმი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგები (უნდა აღინიშნოს, რომ დიდი რეზერვებია მომსახურების სფეროს გაფართოებაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ყველაზე მეტად დაწინაურებულ დარგს წარმოადგენს. საერთო ნაციონალურ პროდუქტში მისი ხვედრიწონა 47-48 პროცენტის დონეზეა, მაშინ როცა მრეწველობა 34, ხოლო სოფლის მეურნეობა მხოლოდ 18%-ს შეადგენს. საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მომსახურების სფეროს ხვედრიწონა 18-20 პროცენტს არ აღემატება). მაღალრენტაბელობი და კონკურენტუნარიანია რესპუბლიკაში წარმოებული ელექტრომანქანები, სამადნე ელმავლები, ცვლადი დენის ელექტრო ამძრავები, დაბალვოლტიანი კომპლექტური მოწყობილობა, მაგნიტური გამწვებები, ვაზის ქურები, სამზარეულო ავეჯი, ქართული ცხიმიანი ყველი (სულგუნი), სამარკო ღვინო, ლიქიორ-არაყის ნაწარმი, თეთრეული-ტრიკოტაჟი (დასახელებული პროდუქციის რენტაბელობის დონე თვითღირებულებასთან 32-დან 61%-ს აღწევს). მრეწველობის ძირითადი ფონდების რეგიონალური სტრუქტურის ენტროპიის მეთოდით ჩატარებულმა ეკონომიკურ-მათემატიკურმა ანალიზმა, აგრეთვე საკუთარი მიდგომებითა და ევროპის ეკონომიკური კომი-

3 საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია (ავტორთა კოლექტივი ელ. პაპეას ხელმძღვანელობით), თბ., მეცნიერება, 1991, გვ. 48.

4 საქართველო ციფრებში. მოკლე სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1991, გვ. 10.

სიის ექსპერტთა შეფასებებით გაკეთებულმა გაანგარიშებებმა გვიჩვენეს ტერიტორიული სტრუქტურის მკვეთრი უთანაბრობა, ამასთან სტრუქტურის ეფექტიანობის ამაღლების დიდი რეზერვები ვლინდება მაღალმთიანეთის შრო. მითი და მატერიალური რესურსების უკეთ გამოყენებაში. ეროვნული ვალუტა მყარი და კონვერტირებადი ვერ იქნება, თუ ვერ მოვახერხებთ წარმოების ეფექტიანობის არსებით გადიდებას.

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურად მიღებული ფულის ერთეულია მანეთი. ამასთან მოსალოდნელია, რომ 1961 წლის სახაზინო და საბანკო ბილეთები, 1991 წლის საბანკო ბილეთები გადახდის კანონიერი საშუალება იქნება 1996 წლის პირველ იანვრამდე და შეუზღუდავად გადაივლება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ბილეთებზე<sup>5</sup>. ამდენად რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს მანეთის რეალური კურსის სტაბილურობა. 1990-1991 წლების მონაცემებით უმათერესი საზღვარგარეთული ვალუტების ოფიციალური კურსები მანეთებში დაახლოებით შემდეგ ინტერვალებში იცვლება: დოლარი (აშშ, კანადის, ავსტრალიის) — 0,46—0,62; კრონი (შვეიცის, ნორვეგიის, დანიის) — 0,09—0,10; ფრანკი (შვეიცარიის, საფრანგეთის, ბელგიის) — 0,11—0,41; მარკა (გერმანული, ფინური) — 0,15—0,36; ინგლისური ფუნტი სტერლინგის — 1,0—1,02; ევროპული სავალუტო ერთეული — 0,72—0,73. იგივე ვალუტების (ევროპული ერთეულის გარდა) კომერციული და ე. წ. შავი ბაზრის კურსები მანეთებში 45-50-ჯერ აღემატება ოფიციალურს, რაც პარადოქსული ანომალიაა.

საერთოდ სახელმწიფოს ფულადი სისტემის სტაბილიზაცია, კერძოდ მანეთის კონვერტულობა და მიმოქცევის გაჯანსაღება საჭიროებს ვალუტის კურსის ცვლილებას მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმის შესაბამისად (ამ ეტაპზე აუცილებელია მანეთის მნიშვნელოვანი დევალვაცია), სავალუტო შეზღუდვათა გამოყენებას მხოლოდ გამოუვალ კრიზისულ სიტუაციებში, ინფლაციური პროცესების რეგულირებას და მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის შემცირებას (უმათერესად ჰიპერტროფირებული სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა-პრივატიზირების გზით), საბანკო, საგადასახადო და ფასების სისტემის სრულყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, საგარეო ეკონომიკური რეჟიმის ლიბერალიზაციასა და გარე კონვერტულობის პრიორიტეტს, ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეროვნული ვალუტის არსებობის დასაწყის ეტაპზე მიზანშეწონილია სავალუტო კურსების სიმრავლის ინსტრუმენტის გამოყენება სახალხო მეთურნეობის იმ დარგებისა და ქვედარგების სტიმულირებისათვის, რომლებიც არ არიან მზად საგარეო ბაზარზე გასასვლელად. დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ ქვეყნებთან საერთო ინტერესის სფეროების გამონახვას, რათა პირველ ხანებში მივალწიოთ საჭირო ინტელექტუალური თუ ფინანსური დახმარების მიღებას. უნდა ვიზრუნოთ პროგრესული ერთობლივი წარმოებების განვითარებისათვის. განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს ქართული ფირმები უცხოეთში, რომლებიც ქართული მეწარმული ტრადიციების აღორძინებას უნდა ემსახურებოდნენ. ამასთან ახლად ფორმირებადი სამეურნეო ერთეულების მხარდაჭერისას მკაცრად გასათვალისწინებელი მათი ფუნქცი-

<sup>5</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სისტემის შესახებ (პროექტი), — გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, № 127-128, გვ. 2.

4. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 1

ონირების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რათა ბანკების მიერ გაცემული სესხების დაბრუნებაში ვადაგადაცილებული დავალიანებების უკვე დამკვიდრებულმა პრაქტიკამ კიდევ უფრო არ გააღრმავოს ინფლაციური პროცესები.

მსოფლიო სავალუტო სისტემაში შესვლისას შემუშავებული უნდა იქნეს ეროვნული ვალუტის სიმტკიცის დამცავი მექანიზმი, რათა მცურავი სავალუტო კურსებისა და „ფულის გაძვირების“ კრიზისმა კატასტროფულად არ დააზიანოს რესპუბლიკის გადახდისუნარიანობა. ერთ-ერთ საჭირო ღონისძიებად მიგვაჩნია საერთო კავკასიური ვალუტის არსებობა. ევროპისა და აზიის საზღვარზე არსებული კავკასიის რეგიონი, რომელიც სატრანსპორტო და საკურორტო ფუნქციების გარდა ფართე სპექტრის მეწარმეობითაც შეიძლება დავასაიათოთ (მათ შორის როგორც ნავთობის მომპოვებელი და გადამმუშავებელი რეგიონი), უნდა ფლობდეს ასეთ ვალუტას, რაც მეზობელი სახელმწიფოების ძალისხმევით გაერთიანებას მოითხოვს. გამოცდილებისთვის შეიძლება გავიზიაროთ კოლექტიური სავალუტო ერთეულების მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა: ა) მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ 1970 წლიდან შემოღებული ერთეული სესხების სპეციალური უფლებით; ბ) ევროპის სავალუტო ერთეული 1979 წლიდან საერთო ბაზრის ქვეყნებისათვის; გ) 80-იანი წლებიდან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ათობით საერთაშორისო ფულადი ერთეულები — არაბეთის საანგარიშო დინარი, ანდის პაქტის პესო, სამხრეთ ბანკის ვალუტა და ა. შ.

ეროვნული ვალუტის სიმტკიცე და ავტორიტეტი საჭიროებს მსოფლიოში უძლიერეს ფირმებთან („შელლი“ „ბრიტიშ პეტროლიუმი“, „აი-ბი-ეში“, სხვა სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო-ფინანსური კორპორაციები<sup>6</sup>) მჭიდრო თანამშრომლობას, რისთვისაც ყოველმხრივ უნდა წახალისდეს ქართველი კაცის ინიციატივანი ბუნება.

ცნობილია, რომ სავალუტო გარიგებების 90% პირდაპირ არაა დაკავშირებული სამრეწველო-სავაჭრო ოპერაციებთან, არამედ ხორციელდება საერთაშორისო ბანკების მიერ, რაც მათ დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. დღის განმავლობაში აქ სიტუაციები რამდენჯერმე იცვლება. თუ ევროპული ბანკის სავალუტო განყოფილების თანამშრომელი დილით შედის ბიუროში, იგი ანტერესდება არა გასული დღის კურსებით, არამედ მიმდინარე საათის მდგომარეობით სინგაპურსა და ტოკიოში. განსაკუთრებით ხშირად იცვლება კურსები მაშინ, როცა ევროპაში ღამეა. ცალკეული ბაზრები შორეულ აღმოსავლეთსა და ამერიკაში გაცილებით მცირეა ევროპულებთან შედარებით, რაც კურსების რხევას არაევროპულ რეგიონებში უფრო მგრძობიარესა და დამოკიდებულს ხდის ცალკეულ მსხვილ სავაჭრო გარიგებებზე.

მცირეოდენი ექსკურსი მსოფლიო სავალუტო სისტემის ისტორიაში. ფულის სისტემებსა და მის რეფორმებს იცნობდნენ ჯერ კიდევ ძველი მსოფლიოს სახელმწიფოები. XIX საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობის არნახული ტემპებით განვითარებამ ფულის მიმოქცევის მოწესრიგება აუცილებლობად აქცია. მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა შემოიღეს „ოქროს სტანდარტი“, რაც ნიშ-

<sup>6</sup> იხილეთ: Mercer D. IBM: How The World's Most Successful Corporation is Managed.—London, Kogan Page Ltd. 1991, p. 28.

<sup>7</sup> В о л ь ф г а н г Х о й е р. Как делать бизнес в Европе.—М., Прогресс, 1990, 33. 87—94.

ნავდა, რომ სავალუტო უწყებები (სახელმწიფო ბანკები) ვალდებული იყვნენ ქალაქის ფული გაეცვალებათ შესაბამისი ოქროს რაოდენობაზე სტანდარტის მიხედვით. პირველი ასეთი სტანდარტი შემოიღო დიდმა ბრიტანეთმა. 1821 წლიდან 1 ფუნტი სტერლინგის ოქროს შემცველობა შეადგენდა 7,322385 გრამს, გერმანული მარკა 1873 წლიდან შეესაბამებოდა 0,385422 გრამ ოქროს. მასთანამე მარკის სავალუტო კურსი ფუნტ სტერლინგთან შედარებით განისაზღვრებოდა შეფარდებით 1:20,43. მსოფლიო სავალუტო სისტემა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ხასიათდება გადახვევით „ოქროს სტანდარტის“ სისტემისაგან. სახელმწიფოებმა და მათმა ბანკებმა მიიღეს საშუალება გაეფართოებინათ ქალაქის ფულის მიმოქცევა, რამაც მძლავრი ინფლაცია და მსოფლიო კრიზისი გამოიწვია. 1944 წლის ივლისში მსოფლიოს უმსხვილესმა ქვეყნებმა შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად შექმნეს მტკიცე სავალუტო კურსების „გრეტონფუნდის სისტემა“, რომლის არსი მდგომარეობს სტაბილური ნორმატივების დადგენაში უმნიშვნელო რხევების ინტერვალით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრმა ქვეყნებმა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან ერთად (რომელიც შეიქმნა იმავე კონფერენციაზე), დააფიქსირეს თავიანთი ვალუტის კურსები დოლარებში ან ოქროში, ხოლო დოლარი ოქროს დაუკავშირდა პროპორციით — 35 დოლარი 1 უნცია ოქროზე. 1971 წლის მაისში მიიღეს გადაწყვეტილება ვალუტების თავისუფალი რხევის შესახებ. მტკიცე ინვალუტური კურსების სისტემის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ფულის მოძრაობა მიზანშეწონილი გახდა იმ ვალუტებში, რომელთაგანაც მოსალოდნელია კურსის სტაბილური განვითარება. უკანასკნელ ხანებში ასეთი პოპულარობით სარგებლობს გერმანული მარკა და შვეიცარიის ფრანკი.

ეროვნული ვალუტის პოპულარობა განისაზღვრება არაიმდენად ქვეყნის მასშტაბებით, არამედ მისი სიმტკიცითა და სტაბილურობით. საქართველოში იჭრებოდა საკმაოდ განვითარებული „ქართული თეთრი“. უნდა აღინიშნოს დავით აღმაშენებლის რეფორმის შესახებ, რომელმაც ვერცხლის მონეტა შეცვალა სპილენძით და ძვირფასი ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომია მისცა ერს.

ქართული ფული — ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობისა და აღმავლობის პირველი ნიშანი, გვჩერა რომ ჭეშმარიტად იქნება სამამულო ტექნიკა-ტექნოლოგიის განვითარების საწინდარი, საფუძველი ქართული საზოგადოებრიობის კეთილდღეობისა.

## Р. ЛОРТКИПАНИДЗЕ

### ВОПРОС НАЦИОНАЛЬНОЙ ВАЛЮТЫ

#### Резюме

В труде рассмотрены вопросы и этапы формирования национальной конвертируемой денежной единицы в контексте с мировой валютной системой. Дан экономико-математический структурный анализ производства для выявления направлений усиления конкурентоспособного экспорта. Поставлен вопрос о кавказской валютной единице как средстве обеспечения стабильного курса региона с нефтедобывающим статусом. В работе сделан краткий экскурс в историю мировой валютной системы и показано, что популярность национальной валюты определяется не столько масштабами страны, сколько ее стабильностью.



თვით სპეციალისტებსაც არ შეიძლება აკმაყოფილებდეთ ისეთი მომზადება, რომელიც საკმარისი პროფესიონალური ჩვევებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებას ვერ უზრუნველყოფს.

სავსებით გასაგები ხდება, აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტა უმაღლესი სკოლებისა და იმ საწარმო-დაწესებულებათა ძალისხმევის გაერთიანებითაა შესაძლებელი, რომელთათვისაც მზადდება სპეციალისტი. საჭიროა ისეთი ორგანიზაციული ფორმების დაძვება, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლებისა და დაწესებულებათა ურთიერთდაინტერესებას გამოიწვევს სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების საერთო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მტკიცება იმისა, რომ უმაღლესი სკოლისა და მატერიალური წარმოების ინტეგრაციის ამოცანა პრინციპულ სიახლეს წარმოადგენს, გაუმართლებელი იქნებოდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორის ინტეგრაციას მასიური ხასიათი აქამდე არ ჰქონია.

უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოთა დონეზე ეკონომიკურ ურთიერთობათა რეალიზაციის შემდეგი სახეებია ცნობილი: ა) საწარმოთა ხარჯზე სტუდენტების სტიპენდიალური უზრუნველყოფა (1988/89 სასწავლო წელს საწარმოსაგან სტიპენდიას ლებულობდა 1076 სტუდენტი, რაც სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობის 2%-ს შეადგენს<sup>1</sup>); ბ) სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, გ) სამინისტროებისა და უწყებების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით უმაღლესი სკოლებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემა და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ ურთიერთობათა ძირთად თავისებურებას მათი არარეგულარული ხასიათი წარმოადგენს. პარტნიორებს შორის კავშირების დამყარება ძირითადად სასწავლო დაწესებულებებისა და დარგის შორისმხედველ ხელმძღვანელთა პირადი ინიციატივის შედეგს უდრო წარმოადგენს. ვიდრე რაიმე სახის ორგანიზაციული და სამეურნეო-ეკონომიკური მოთხოვნილებებით განპირობებულ აუცილებლობას.

ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებსა და საწარმოთა შორის პირდაპირი კავშირების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. ამ კავშირების ჩამოუყალიბებლობა დიდ ზარალს აძლევს ეკონომიკას. საწარმო-დაწესებულებებს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიმართ თანდათანობით ჩამოუყალიბდათ სტერეოტიპი, რომლის მიხედვით ისინი მუქთ სამუშაო ძალად იქნა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ფართო მასშტაბები მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტებზე შეკვეთის დაუსაბუთებელმა ზრდამაც. უმაღლესდამთავრებულთა მკაცრი და აუცილებელი განაწილება საწარმოებში ხშირ შემთხვევაში მხარეთა ინტერესების გაუთვალისწინებლად წარმოებს — ორგანიზაციებს ძალით უგზავნიან ახალგაზრდა სპეციალისტს ან პირიქით, ხდება სპეციალისტის განაწილება მისთვის არასაინტერესო და ზოგჯერ არამაპროფილებელ სამუშაო ადგილებზე, რაც იძულებითი გამომუშავების მავნე ტრადიციას ეფუძნება.

დეცენტრალიზებულ ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი მოქნილი და ეფექტიანი შრომითი მოწყობის ფორმების ძიებისა და

<sup>1</sup> განაგარიშებულია საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

რეალიზაციის აუცილებლობა, რომლებიც ორივე მხარის ინტერესებს ასახავს. უმაღლესი განათლების როლის ამაღლება რესპუბლიკის ეკონომიკურა და სოციალური განვითარების დაჩქარებაში მხოლოდ და მხოლოდ უმაღლეს სკოლასა და საწარმოთა შორის კავშირითიერთობათა ასეთი, თვისებრივად ახალი სისტემის პირობებშია შესაძლებელი, რომელიც მათ მრავალმხრივ ინტეგრაციას იქნება დამყარებული.

ნებისმიერი პროცესი, როგორც ინტეგრაციული მოვლენა, ახალი მთლიანობის, სისტემურ ნიშან-თვისებათა მქონე თვისობრიობის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომლის შეფასებაც მხოლოდ მისი შემადგენელი ელემენტების, მათ შორის კავშირითიერთობის მექანიზმისა და აგრეთვე აღნიშნულ ელემენტთა უკუხეობამდებით გამოწვეულ ცვალებადობათა ანალიზის პირობებშია შესაძლებელი. ინტეგრაცია არა მარტო კავშირების გააქტიურებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ამოსავალ ელემენტთა ხარისხობრივ ცვლილებებს გულისხმობს. თუკი ასეთ ცვლილებებს ადგილი არ აქვს, მაშასადამე, არ არსებობს კავშირითიერთობათა გააქტიურებაც და იგი იცვლება ისეთი შემეკავშირებელი მექანიზმით, რომელიც ეფექტს არ იძლევა.

უმაღლესი სკოლის ფუნქციონირების ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი უმაღლეს სასწავლებელსა და საწარმოთა შორის კავშირითიერთობათა ახალი ტიპის უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ამ მხრივ საინტერესოა აღნიშნულ კავშირითიერთობათა მასტიმულირებელი შემდეგი ფაქტორების ვათვალისწინება და მათი პრაქტიკული რეალიზაცია:

1. სტიმულირების ფორმები უმაღლესი სასწავლებლებისათვის;

1.1. სამრეწველო საწარმოთა ხვედრითი წილის ამაღლება უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებაში;

1.2. სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის საწარმოთა ლაბორატორიებისა და მოწყობილობა-დანადგარების გამოყენება;

1.3. სასწავლო-სამეცნიერო პროცესში პრაქტიკის მოთხოვნების დროული ასახვა, სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარება;

2. სტიმულირების ფორმები საწარმოებისათვის;

2.1. სტუდენტების სახით წარმოების დამხმარე პერსონალით უზრუნველყოფა;

2.2. უმაღლესი სასწავლებლების მიერ შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების საქმის ორგანიზება;

2.3. უმაღლესი სასწავლებლების მიერ საწარმოთა სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფა, უმაღლესი სკოლების სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება წარმოებაში.

ჩვენი აზრით, უმაღლეს სკოლასა და მატერიალურ წარმოებას შორის შესაძლო კავშირებისა და მათი ფორმების განსაზღვრისათვის, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია ახალი ტიპის სპეციალისტთა მომზადება სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო საქმიანობაში სტუდენტთა უშუალო მონაწილეობის გარეშე. როგორც ლ. ფილიპოვა აღნიშნავს, „კერძო მონაბოლისტური კაპიტალის უმაღლეს სკოლასთან ურთიერთობის პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას უკა-

ნასკნელ ათწლეულებში წარმოადგენს მათი სწრაფვა უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად<sup>2</sup>.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართო გავრცელება ჰპოვა სწავლების „კომპერტიულმა პროგრამამ“ რომლის მიხედვით უმაღლესი სასწავლებელი და ბიზნესი პარტნიორების როლში გამოდის. სტუდენტებიც, რომლებიც ამ პროგრამის მიხედვით სწავლობენ, დროის მნიშვნელოვან ნაწილს, სემესტრს ან მთელ წელიწადს, რიგრიგობით საწარმოში ატარებენ. ამით ისინი იმტიციებენ სასწავლებელში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, ფირმას შესაძლებლობა ეძლევა სტუდენტებს შორის აარჩიოს არა მარტო საუკეთესონი, არამედ მოახდინოს ვაგლენა მათი პროფესიონალური ცოდნის ფორმირებაზე მისთვის საჭირო მიმართულებით. ეს იდეაში პასუხობს არა მარტო მეწარმეთა, არამედ უმაღლესი სკოლებისა და სტუდენტთა ინტერესებსაც.

როგორც ცნობილია, ახალი დარგები განუწყვეტილად საჭიროებენ შესაბამისი პროფილის სპეციალისტებს, რომელთა მომზადების ორგანიზაცია უმაღლესი განათლების სისტემაში, ჩვეულებრივ, ნელა მიმდინარეობს, ამიტომ სასწავლებლები ცდილობენ უმაღლეს სასწავლებლებთან კოოპერირებას, რათა ამ უკანასკნელთ დაეხმარონ წარმოებისათვის ესოდენ საჭირო სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

უმაღლესი სკოლებთან მჭიდრო კონტაქტები საწარმოებს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს წარმოების პროცესის არა მარტო აუცილებელი როდენობის, არამედ საჭირო ხარისხის კადრებით. მოცემულ სფეროებს შორის ინტეგრაციის განვითარების მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მისი აგება ერთიან ეკონომიკურ ბაზაზე, მეურნეობრიობის ერთიან პრინციპებზე, ინტეგრაციული სისტემის საქმიანობის რეგულირებისა და სტიმულირების ერთიანი მეთოდებისა და ბერკეტების გამოყენებით. ამ ერთიანი ეკონომიკური ბაზის ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი — „სავანმანათლებლო სისტემა უპირველეს ყოვლისა შრომითი რესურსების მომწოდებელია და ამიტომ ობიექტურად სახალხო მეურნეობის კონტრაგენტად გვევლინება. აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი ურთიერთდამოკიდებულება ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის ხასიათს ატარებდეს და არ ხდებოდეს ერთმანეთის იგნორირება“ — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ს. კაზარცევი<sup>3</sup>.

აუცილებელია საწარმო-დაწესებულებათა უშუალო ეკონომიკური მონაწილეობა კადრების მომზადების საქმეში, რაც მათ მიერ სწავლების სულ უფრო მზარდ ოდენობის ანაზღაურების გზით უნდა ხდებოდეს და რაც ძირითადად სპეციალისტთა მომზადების ხარისხის სასურველი შედეგების მიღწევასთანაა დაკავშირებული.

მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება-ვადამზადება ამჟამად უმაღლესი სასწავლებლებსა და დარგობრივ სამინისტროებს შორის დადებული ძირითადად შემდეგი ორი ტიპის ხელშეკრულებათა საფუძველზე ხორციელდება: ა) ხელშეკრულება სამინისტროებს შორის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე და ბ) ამავე მიზნით დადებული ხელ-

<sup>2</sup> Филиппова Л. Д. Высшая школа США. Москва: Наука, 1981, с. 83.

<sup>3</sup> Казарцев С. Т. Это платное бесплатное образование «Вестник высшей школы», 1988, № 9, с. 12.



შეკრულება უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებს შორის. ამგვარ ორსაფეხურიან ხელშეკრულებათა დადების აუცილებლობა შემთხვევითი არაა. ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გარდამავალ ხასიათს ატარებს. მეურნეობრიობის მკაცრად დეტერმინირებული საგეგმოდირექტორული სისტემის გვერდით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს საბაზრო მექანიზმზე დაფუძნებული ახალი მეთოდები. უმაღლეს სკოლასთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ ამ სფეროში სახელშეკრულებო ურთიერთობანი შემოიტანება სპეციალისტთა მომზადებასა და გადამზადებაზე არსებული სახელმწიფო გეგმების გვერდით, ხოლო ეს უკანასკნელი ამცირებს უმაღლეს სასწავლებელთა შესაძლებლობას ამა თუ იმ სპეციალობების მიხედვით მოახდინოს სპეციალისტთა მომზადების ვარიანტი.

ჩვენ ვვფიქრობთ, რომ ხელშეკრულების დადების ის სისტემა, რომლის დროსაც უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ პარტნიორებთან კავშირს ამყარებენ სამინისტროების მიერ დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, იძულებითი ღონისძიებაა. სამინისტროები, რომლებიც მსგავს ხელშეკრულებებს დებენ, გამოდიან დაქვემდებარებული საწარმოების გარანტიის როლში. უეჭველია, რომ ხელშეკრულება უმაღლესი სასწავლებლისა და დაწესებულების დონეზე უნდა დაიდოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს შესაძლებელი გახდება ეკონომიკის ვამართული სამეურნეო მექანიზმის პირობებში, როდესაც საწარმოები შეძლებენ რეალური, პირდაპირი სამეურნეო კავშირები დაამყარონ თავისი პროდუქციის მომხმარებლებთან და მატერიალური რესურსების მომწოდებლებთან, შეძლებენ რეალურად შეაფასონ განვითარების პერსპექტივები. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე დაფუძნებული იქნება არა საშუალო გარეგნობაზე, არამედ კონკრეტული წარმოების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, როდესაც სამუშაოზე მიღების მთავარი კრიტერიუმი იქნება ფაქტორი კვალიფიკაცია და არა ვანათლების ფორმალური დონე — იმპლემი. აღიარებენ რა მუშაკთა კვალიფიკაციას რესურსად, საწარმოები იძულებული გახდებიან უზრუნველყონ მისი შექმნისა და გამოყენების პროცესების რესურსდამოკიდებულება ხასიათი. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორებს იმის შესახებ, რომ „სპეციალისტთა შრომის მომხმარებელი საწარმოები და ორგანიზაციები უმაღლეს სასწავლებლებს უნდა უნაზღაურებდეს დანახარჯებს კადრების მომზადებაზე „სპეციალისტის ფასის“ სახით“<sup>4</sup>.

შესაძლებელია თუ არა უმაღლესი სკოლა გამოვიდეს სპეციალისტის გამოყიდვის როლში? უნდა აღვნიშნოთ, რომ სპეციალისტი არამც და არამც არ შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, არამედ ერთგვარ ღირებულებით შეფასებას იქნის მხოლოდ სწავლების პროცესში შექმნილი მისი ცოდნა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანი, რომელიც იქნის ცოდნას, ამ ურთიერთობებში უფლებამოსილი და თანასწორი პარტნიორია. იგი თავისი სახელით უნდა დებდეს ხელშეკრულებას და მიგვაჩნია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, საწარმოსა და სტუდენტებს შორის სწორედ პერსონალური კავშირის დამყარებაა აუცილებელი. იგი საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მომავალი სპეციალისტის დაინტერესება იმ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლებასა და გამოყენებაში, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ სამუშაო ადგილზე მოღვაწეობისათვის.

<sup>4</sup> Лукошкин А. П., Минько Э. В. Хозрасчетный механизм в вузе, «Вестник высшей школы», 1989, № 2, с. 16.

ხელშეკრულება სტუდენტებთან სასურველია დაიდოს მეოთხე-მეხუთე სემესტრიდან, ხოლო იმ პირებთან, რომლებიც საწარმო-დაწესებულებებიდან არიან მივლინებულნი — პირველი კურსიდან. საწარმოთა წარმომადგენლებს საშუალება უნდა მიეცეთ დაკვირვება აწარმოონ იმ სტუდენტთა პროფესიონალური მომზადების დონის ზრდაზე, რომლებიც მოცემული საწარმოს დაინტერესებას იწვევენ და თუ სტუდენტის მომზადება აკმაყოფილებს კონკრეტული წარმოების მოთხოვნებს, მაშინ შეიძლება მასთან ხელშეკრულების დადება. სტუდენტები, რომლებიც მსგავსი ხასიათის კონტაქტებს გააფორმებენ, გადაყვანილი უნდა იქნან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე და მათ დადგენილთა შედარებით მაღალი სტიპენდია უნდა მიეცეთ. რა თქმა უნდა, მისი ზომა განსაზღვრული იქნება კონტრაქტში. ამასთან, სტუდენტის სწავლების ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს კრედიტის ფორმით, რაც მის შემდგომ აუცილებელ მუშაობას ითვალისწინებს ამ საწარმოში.

ამრიგად, საწარმო-დაწესებულებებსა და სტუდენტებს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულებების შემოღებით, ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩაერთვებიან არა მარტო საწარმოები და უმაღლესი სასწავლებლები, არამედ სტუდენტები, ახლგაზრდა სპეციალისტები.

სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარება უმაღლესი განათლების სისტემის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება.

დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ფინანსური მონაწილეობა კადრების მომზადების საქმეში, არა მარტო აფართოებს უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების წყაროების წრეს, არამედ იგი ხელს უწყობს სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას, აძლიერებს დაწესებულებათა დაინტერესებას მათი შემდგომი რაციონალური გამოყენების საქმეში.

Л. И. БАКРАДЗЕ

## ИНТЕГРАЦИЯ МЕЖДУ ВУЗАМИ И ПРЕДПРИЯТИЯМИ В ОБЛАСТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ КАДРОВ

Резюме

В настоящее время система высшего образования стоит перед комплексом сложных проблем. Одной из наиболее острых стал стрыв вузов от реальной жизни, отсутствие взаимосвязи между сферой высшего образования и труда.

Важнейшим моментом развития интеграции между вузами и предприятиями является необходимость построения ее на единой экономической базе на единых принципах хозяйствования. Основное содержание этой экономической базы заключается в новом хозяйственном механизме, широком использовании товарно-денежных отношений.

Финансовое участие заинтересованных предприятий в подготовке кадров расширит источники финансирования подготовки специалистов, будет способствовать не только повышению ее качества, но и усилению заинтересованности в дальнейшем эффективном использовании этих специалистов.

Н. Е. АЧЕЛАШВИЛИ, К. В. АЧЕЛАШВИЛИ

## ОБ ОСНОВАХ УПРАВЛЕНИЯ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТЬЮ В УСЛОВИЯХ РЫНКА

Внедрение рыночных отношений в практику хозяйствования приводит к реальной заинтересованности предприятий в рациональном использовании как живого, так и овеществленного труда, поскольку от уровня эффективности производства зависит экономическая устойчивость предприятий в условиях конкуренции.

Производительность труда является одним из важнейших показателей эффективности производства, который характеризует результативность конкретного труда. Поэтому управление производительностью труда следует рассматривать как часть управления эффективностью производства. Это предполагает выработку таких управленческих решений в области использования живого труда, которые ориентировали бы предприятия на минимизацию как живого, так и овеществленного труда.

Производительность труда является единственным источником реального экономического роста и прогресса. Чтобы достигнуть и сохранить высокий уровень жизни в условиях конкуренции на мировом рынке, государство должно поддерживать конкурентоспособный уровень производительности труда, особенно в ключевых отраслях экономики. Поэтому вопросы управления производительностью труда находятся под контролем правительств в высокоразвитых в экономическом отношении странах. Так, например, в США при президенте страны создан центр по управлению производительностью, который ведет контроль над уровнем производительности. В настоящее время в США наблюдается более низкий уровень производительности по сравнению с Японией, что вынуждает правительство США принимать соответствующие меры с целью изменения нежелательной тенденции в экономическом развитии страны.

Рыночные условия хозяйствования обуславливают необходимость формирования соответствующих им подходов к управлению производительностью, более умелое применение экономических рычагов и стимулов повышения эффективности производства. Это предполагает решение целого комплекса проблем применительно к рыночным отношениям, связанных с измерением, анализом, планированием и материальным стимулированием роста производительности труда. При этом следует отметить, что нецелесообразно отказываться от научного и практического опыта, накопленного в области изучения проблем производительности труда, несмотря на то, что он не в полной мере отвечает рыночной системе ведения хозяйства. При определенной доработке и переосмыслении этот задел может быть полезен для разработки основ управления производительностью применительно к рыночным условиям хозяйствования.

Что касается зарубежного опыта по вопросам управления производительностью труда, то заимствовать его полностью вряд ли окажется правомерным, поскольку высокоразвитые капиталистические

страны в течение десятилетий приходили к осознанной необходимости управления производительностью на уровне фирм и отдельных предприятий и по мере экономического развития в условиях рыночной конкуренции совершенствовали методологию и методику управления производительностью. Аналогичным образом и в нашей республике этот процесс будет идти постепенно, по мере формирования и становления рыночных структур ведения хозяйства и соответственно накопления определенного опыта управления производительностью.

მიწის როგორც სახელმწიფო საკუთრების გადაცემა მუდმივ სარგებლობაში, აგრეთვე, იჯარით ხანგრძლივ მფლობელობაში გარანტირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო კანონით, ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობის საფუძველზე. გარკვეულწილად ამგვარი საკუთრებითი ურთიერთობა შეიძლება გავრცელდეს მატერიალური წარმოების სფეროს ყველა დარგზე, რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაზე, ოჯახურ და იჯარის ყველა სახეობაზე გადასვლის დროს. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ საჭიროა იჯარის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება და არჩევანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინების საფუძველზე. აუცილებელია, სოფლად მაქსიმალურად ავამოქმედოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა უზარმაზარი პოტენციალი, მეურნეობრივობის ახალი მექანიზმის — კოოპერაციის, იჯარის, გლეხური მეურნეობის ეფექტობა, რომელიც სოციალური საკუთრების ურთიერთობათა გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა, ამ ეტაპზე კი შესაძლოა ვადაამწყვეტი გზა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის საფუძველია კერძო საკუთრება.

ოჯახური იჯარა შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ხდება ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრის, მოზარდის, პენსიონერის ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ე. ი. შრომითი რესურსების, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, პროდუქციის წარმოების ზრდა პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის გადიდებით, ესთეტიკურ პროდუქციაზე ფულად-მატერიალური დანახარჯების შემცირება სრული სამეურნეო ანგარიშის მიზანობის დაწერვა ადგილისა და დროის კონკრეტულ პირობებში.

ოჯახური იჯარა ბრიგადული იჯარის მსგავსად იწოდება იქ, სადაც უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იქნება, იჯარა შეიძლება ყველგან დაინერგოს, მაგრამ მაღალმთიან რაიონებს უფრო მიესადაგება მისი დაწერვა, სადაც ბუნებრივი პირობები უფრო მკაცრია, მიმოსვლა გაძნელებულია და ფაქტურად მოწყვეტილი არიან ცენტრიდან. სამუშაოთა მეტი ნაწილი ხელით სრულდება, ნაკვეთები დანაწევრებულია, მთავორიანია, დაბალია მექანიზაციის გამოყენების დონე და სხვა.

ოჯახური იჯარის საფუძველია ის, რომ იჯარაში ჩართული ოჯახი კისრულობს ვალდებულებას მეურნეობიდან მიიღოს პირუტყვის გარკვეული რაოდენობა ან მიწის ნაკვეთი, ან ორივე ერთად და ამ ობიექტიდან აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია ტექნოლოგიური რუქით გათვალისწინებულ ვადებში და მეურნეობას ჩააბაროს ნატურით. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარე ოჯახს შეუქმნას მუშაობის ნორმალური პირობები, დააკმაყოფილოს მატერიალური საშუალებებით, შეუფერხებლად გამოუყოს ოჯახის საწარმოო დავალებიდან გამომდინარე საკვები სახეების მიხედვით, განახორციელოს შეუფერხებელი ზოოვეტერინალური მომსახურება და ა. შ. — ყოველივე ეს ფორმდება ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ერთი ცალი რჩება ოჯახს, ხოლო მეორე ცალი

იჯარის გამცემს, რომელიც ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებს, დამოწმებულია ბეჭდებით და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება სხვადასხვა დროით იჯარის ობიექტის შესაბამისად<sup>5</sup>.

საიჯარო ხელშეკრულებაში მოცემულია: იჯარით გასაცემი ქონების ღირებულება და შემადგენლობა, იჯარის ვადები, საიჯარო ქირის ოდენობა და მისი გადახდის წესი, იჯარით აღებული ქონების მიმართ მოიჯარეთა უფლებები და ვალდებულებები.

მოიჯარე იჯარით აღებული ქონებისათვის იხდის საიჯარო ქირას<sup>6</sup>. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს: საიჯარო პერიოდის ყოველი წლისათვის იჯარით აღებული ქონების ყოველწლიური ფაქტობრივი ღირებულების მიმართ ფიქსირებული პროცენტის სახით, ყოველწლიურად შესატანი აბსოლუტური თანხის სახით.

საიჯარო ქირა შეიძლება დაწესდეს იჯარით აღებულ მთელ ქონებაზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე თითოეული ობიექტის მიხედვით, ფულადი, ნატურალური ან შერეული ფორმით. საიჯარო ქირის გადახდის წესი და ვადები განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებით. იჯარის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ფიქსირდება ხელშეკრულებაში.

იჯარის პერიოდში მოიჯარესა და იჯარის გამცემს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო თავისი კომპენტაციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

სოფლად სწორედ იჯარის მეშვეობით შეიძლება დაუბრუნოთ ადამიანს მიწის სრულუფლებიანი მებატრონის გრძნობა და გადავიყვანოთ გლეხურ მეურნეობაზე. საქართველოში ყველაზე მოხერხებულად ეს მომენტი განხორციელდა ადიგენის რაიონში, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიის 1,14%-ს შეადგენს. ამ ტერიტორიაზე 1990 წლამდე ფუნქციონირებდა 16 საბჭოთა მეურნეობა. ამჟამად მხოლოდ ერთი ვარხნის მებოსტნეობა-მერძეეობის საზოგადოებრივი მეურნეობაა. ამ მეურნეობაში ერთ ნამუშევარ კაცდღეზე მთლიანი შემოსავალი შეადგენს 13 მანეთსა და 70 კაპ., დასაძაბატის გამოკლებით კი 10 მანეთია. ეკონომიკური დონე ბორჯომის საზოგადოებრივი მეურნეობებთან შედარებით 178%, ხოლო ახალციხის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობის 1987 წლის მონაცემებთან შედარებით 220%. ქარხნის მეურნეობაში შრომის ანაზღაურება საშუალო წლიურ მომუშავეზე 2315 მანეთი და 65 კაპიკა ე. ი. თვეში 193 მანეთი. ერთ ნამუშევარ კაცდღეზე დარიცხულია 12 მანეთი და 30 კაპიკი. ამავე ზონის ბორჯომის რაიონში ეს მაჩვენებელი მერყეობს 2 მანეთი და 91 კაპ. (ზანავრველის კოლმეურნეობა) — 13 მანეთი და 83 კაპიკი (ბაკურიანის მეცხოველეობის საზოგადოებრივი მეურნეობა).

ადიგენის რაიონის ვარხნის საზოგადოებრივი მეურნეობის რენტაბელობის დონე 18%-ია მაშინ, როდესაც ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებში რენტაბელობის დონე მერყეობს 1,8%-იდან (წალვერის კოლმეურნეობა) — 18,2%-მდე (ჭიხარულას კოლმეურნეობა).

ადიგენის რაიონის 15 საზოგადოებრივი მეურნეობა და კოლმეურნეობა გადავიდა გლეხურ მეურნეობაზე. გლეხური მეურნეობებისათვის ფართობები

<sup>5</sup> ქ. წიკლაური, „ოჯახური იჯარა საქართველოს მაღალმთიანეთში“, „მეცნიერება“, 1990, გვ. 8.

<sup>6</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 8 აგვისტო.

ნაწილდება საკრებულოს ტერიტორიაზე ცალკეულ მოსახლეთა მიხედვით იმ ანგარიშით, რომ ნაკვეთების მიმაგრებისას, პირველ რიგში, უპირატესობა მიეცემათ მეურნეობათა ყოფილ მუშებსა და კოლმეურნეებს, შემდეგ კი სხვა მუშა-მოსამსახურეებს. მიწა ეძლევათ უვადო ფლობის უფლებით, რაც შეიძლება გადაცემული იქნას ოჯახის წევრებზე მემკვიდრეობით, მაგრამ მიწა რჩება საზოგადოებრივ საკუთრებაში, მისი ჩამორთმევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მიცემული ნაკვეთი არ იქნა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად, თუ რაიმე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა შენდება, თუ არ იქნა დაცული კულტურული მოვლავლასლოტაციის წესები და ამის შედეგად გაუარესდა მიწის ნაყოფიერება და სხვა.

შექმნილი კომისიის საშუალებით გლეხურ მეურნეობებზე გაცემული მიწები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ფასდებული გახდა. მთლიანად რაიონში 2480 ოჯახზე აქტივ გაიკა 1424 ჰა. სახნავი, 1227 ჰა სათიბი, 19500 ჰა საძოვარი და 132 ჰა ბალი.

აღიგენის რაიონი მეცხოველეობა-მეზობტნეობის მიმართულებისა და ეს დარგები მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა. რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი უფრო მოხერხებულად (გაყიდვის წესით) განაწილდა მოსახლეობაზე. გაყიდვა მოხდა მაშინ მომქმედი სახელმწიფო შესყიდვის ფასებით. ცოცხალი წონის მიყიდვა შეხორცების მიხედვით ერთი კგ-ის ფასი იყო 1,5 მანეთიდან — 2,40 მანეთამდე. ოჯახებს თითო ძროხის შესყიდვა დაუჯდათ დაახლოებით 300-400-500 მანეთამდე. მთლიანად მიეყიდა 7320 სული პირუტყვი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში და კერძოდ შთიან რაიონებში აგრობიზნესის განვითარებას, რომელმაც არსებითი ზეგავლენა უნდა იქონის საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაზე და მის შემდგომ განმტკიცებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ აუცილებლად მიღწეულ უნდა იქნეს ძირითადად სპეციალიზებული დარგების პრიორიტეტული განვითარება, რაც უზრუნველყოფს დარგობრივი სტრუქტურის ძირეულ გარდაქმნას მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მისაღწევად. მაგალითად, გლეხური მეურნის — ჯემალ იაკობიძის ოჯახს ჰყავს 10 სული პირუტყვი და მიმაგრებული აქვს 3,3 ჰა. მიწის ფართობი. მისი ოჯახის შემოსავალმა გასულ წელს შეადგინა 7800 მანეთი ანუ ოჯახის თითოეულ წევრზე 2450 მანეთი. აქედან გლეხური მეურნეობის ნაწილი 1200 მანეთია ანუ ძირითადი შემოსავლის 48% ოჯახის ერთ სულზე.

გურამ ქიმაძის ოჯახს ჰყავს 2 ძროხა და ორი ღორი. მიმაგრებული აქვს ერთი ჰა მიწის ფართობი, რაზედაც გასულ წელს მოიყვანა კომბოსტო, ლობიო, ხილი და ა. შ. მისი ოჯახის შემოსავალი შეადგენს 7850 მანეთს ანუ ოჯახის ერთ წევრზე 2916 მანეთს. აქედან გლეხური მეურნეობის ნაწილია შესაბამისად 1356 მანეთი ანუ ძირითადი შემოსავლის 46,5%.

ვაჟა თათეიშვილის ოჯახს ჰყავს პირად საკუთრებაში 5 სული პირუტყვი და მიმაგრებული აქვს 0,9 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოიწია კარტოფილი ლობიო, კომბოსტო, ხილი. მისი ოჯახის შემოსავალმა გასულ წელს

შეადგინა 9200 მანეთი ანუ ოჯახის ერთ წევრზე 2300 მანეთი, ხოლო ოჯახის ერთ შრომის უნარიანზე 4600 მანეთი.

მეურნე დანიელ გიგოლაშვილს ამჟამად ჰყავს 4 ძროხა და 3 ღორი, მიმაგრებული აქვს 0,85 ჰა მიწის ფართობი, მისი ოჯახის შემოსავალი გასულ წელს შეადგენდა 20300 მანეთს. მათ შორის 10000 მანეთი მეცხოველეობის და 8800 მანეთი მეხილეობა-მეხოსტნეობის რეალიზაციიდან არის მიღებული. ოჯახის ერთ წევრზე შემოსავალი შეადგენს 5075 მანეთს, ამ თანხაში გლეხური მეურნეობიდან შემოსავალი შეადგენს 4700 მანეთს ანუ ძირითადი შემოსავლის 90,3 პროცენტს.

ავგისტინე ვარდიძის ოჯახს ჰყავს ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2 ღორი. მის ოჯახს მიმაგრებული აქვს 0,55 ჰა მიწის ფართობი. აქედან 0,05 ჰა ხილის ბაღი. მისი ოჯახის შემოსავალი შეადგენს 5040 მანეთს, ოჯახის ერთ წევრზე შემოსავალი შეადგენს 2520 მანეთს ანუ 205 მანეთით მეტს ვარხნის საზოგადოებრივი მეურნეობის მუშაყის საშუალო წლიურ ანაზღაურებაზე.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახის მთლიან შემოსავალში მეტი ხვედრი წილი უკავია გლეხური მეურნეობიდან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს. ოჯახის მთელ შემოსავალზე რომ ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ, უნდა დავუმატოთ ნატურით არსებული ის პროდუქცია, რომელსაც ოჯახი იყენებს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მომავალი წლისათვის ინახავს სათესლე მარაგად.

ჩვენი კვლევის ანალიზიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია: მომარაგდეს ოჯახები მცირე მექანიზაციით, მანამდე კი დროებით შეიქმნას მომსახურეობის საწარმო, რომელიც თავის თავზე აიღებს რაიონში არსებულ მექანიზაციის თავმოყრას და უზრუნველყოფს ნაკვეთების დროულად და ხარისხიანად დამუშავებას გლეხური მეურნეობისათვის, ან გაიყოს და განაწილდეს რაიონში არსებული მექანიზაცია, საკრებულოების (უბნების) მიხედვით და ისე მოემსახურონ მათს გამგებლობაში მყოფ გლეხურ მეურნეებს.

ბეგარიდან ამოღებული თანხებიდან, თუ ასეთი არსებობს, პირველ რიგში შეძენილ იქნეს მცირე მექანიზაციის საშუალებები გლეხური მეურნეობისათვის.

ადიგენის მოსახლეობა უხამ-ქიმიკატებისა და სასუქების შესაძენად დიდ მანძილს გადის ახალციხემდე (ისიც საკითხავია ერთი წასვლით შეიძენს თუ არა). თითოეული გლეხური მეურნის და ტრანსპორტის მოცდენას რომ არ ჰქონდეს ადგილი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია და გლეხური მეურნეებიც ითხოვენ საკრებულოების აქტიურობას, რაიონის ტერიტორიაზე რამდენიმე სოფელში მაღაზიები დასაპეციალდეს უხამქიმიკატების, მცირე მექანიზაციის, მიწის ხელით დასამუშავებელი ინვენტარისა და სხვათა შესაძენად.

დროულად უნდა გადაწყდეს საკითხი გლეხური მეურნეობების შექმნის ნიადაგზე გამონთავისუფლებული შენობა-ნაგებობების გამოყენების შესახებ, რომელიც 15 მეურნეობაში საკმარისი რაოდენობით არის და შეიქმნას პრივატული სექტორი, მაქსიმალურად და შეძლებისდაგვარად დასაქმდეს და დაიტვირთოს საქმით ის მუშაკები, რომლებიც გამონთავისუფლდნენ სამსახურიდან გლეხური მეურნეობის შექმნის დროს. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნას მცირე საწარმოები, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში შუალედი რგოლია, ბაზარსა და მომხმარებელს შორის. მიეცეს ფული და გა-

ეწიოს დახმარება მათ, ვინც ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებს ისეთი მცირე საწარმოს გახსნის აუცილებლობას, რომელიც გამოუშვებს იმგვარ პროდუქციას, პირველ რიგში რომ დააკმაყოფილებს მოსახლეობის პირველად სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, ან გამოუშვებს იმ პროდუქციას, რომელიც შეიძლება გახდეს სავალუტო შემოსავლის წყარო (მაგალითად ხეზე კვეთა, ხალიჩების ქსოვა, სპეცტანსცმლის კერვა, წინდების ქსოვა, მინერალური წყლის ჩამოსხმა და ა. შ.) და არ იქნება ეკოლოგიურად საშიში.

ჩვენი ეკონომიკის გადარჩენა შეიძლება ყველა იმ რეზერვების ამოქმედებით რაც საქართველოში არსებობს. იყოს ეკონომიკის თავისუფლება, მისი წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია. ეკონომიკის თავისუფლებაში ვგულისხმობთ სოფლად პრივატიზებული მეურნეობის მრავალნაირი ფორმით არსებობას. ინდივიდუალური, ჯგუფური, ბრიგადული, კოლექტიური, სახელმწიფო და ამის შესაბამისად მიწათსარგებლობის მრავალნაირი ფორმით განვითარებას.

ახალი სოფლებისათვის ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა მომზადდეს პრივატიზების ვარიანტები. მათ საშუალება ექნებათ შეირჩიონ თავისთვის სასურველი ვარიანტი.

ამრიგად, ოჯახური იჯარა ახლებურად მუშაობის და გარდაქმნის მძლავრი ბერკეტია, რომლის მეშვეობით მტკიცდება შრომის დისციპლინა, იზრდება დრო, რადგან საზოგადოებრივ შრომაში ბუნებრივად ერთვებიან ოჯახში მყოფი მოზარდები და პენსიონერები. ხდება შრომის დანაწილება ოჯახის წევრებს შორის შესაძლებელი უნარისა და კვალიფიკაციის მიხედვით. იზრდება შრომის ნაყოფიერება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად. იზრდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდებით, ხდება მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცება.

К. М. ЦИКЛАУРИ

## СЕМЕЙНЫЙ ПОДРЯД И КРЕСТЬЯНСКИЕ ХОЗЯЙСТВА В ПЕРЕХОДНЫЙ ПЕРИОД ПРИВАТИЗАЦИИ

Резюме

В статье рассмотрены сущность и виды семейного подряда, даны экономические оценки земель и земельный кадастр, проанализировано современное состояние крестьянского хозяйства в Адигенском районе, а также еще пяти крестьянских хозяйств.

Семейный подряд и крестьянские хозяйства являются основой приватизации в условиях свободной экономики. Исходя из этого, очень легко и безболезненно можно перейти на частную собственность, потому что каждая семья уверена в своих возможностях.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ინსტიტუტმა



## სამართალი

მარინა კვახაძე

### აუცილებელი ნორმების ფარგლებში გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის და განზრახ მკვლელობის გამიჯვნა

აუცილებელი ნორმების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის და განზრახ მკვლელობის გამიჯვნა იურიდიულ ლიტერატურაში და სამართლო პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში საქმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ეხება. განზრახ მკვლელობა საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხით და მართლწინააღმდეგობით ხასიათდება. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის კანონმდებელი ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილით დასჯას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხ.). აუცილებელი ნორმების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა კი პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ და საზოგადოებრივად საშიშია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს.

მკვლელობა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულ მოსპობას წარმოადგენს. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა, არა მარტო საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება, არამედ კანონმდებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი არ აწესებს მისთვის. ასეთი შემთხვევებია: სიკვდილით დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა (ადამიანის სიკვდილით დასჯა); აუცილებელი ნორმების ვითარების მართლწინააღმდეგობის პირობები და სხვ.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები. აუცილებელი ნორმების ფარგლების გადაცილებისას, დანაშაულები ხელყოფს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრეს. კანონმდებელი უფლებას აძლევს მოქალაქეს თავი დაციკვას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, მაგრამ ეს უფლებები უსაზღვრო არ არის. დაცვის ფარგლები კანონით არის განსაზღვრული.

ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, რომ კანონი თავის დაცვის ქვეშ იყვანს დანაშაულებს (ხელყოფს), საზოგადოებრივად საშიშ პირს, მაგრამ მოქალაქეს მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის წინააღმდეგ მოგერიება, გარკვეული პირობების დაცვით და კანონით დადგენილ ფარგლებში. დაცვის ამგვარი შეზღუდვა არა მარტო არ ასუსტებს დანაშაულობასთან ბრძოლას, არამედ უფრო ეფექტურს ხდის მას.

კანონმდებელი აუცილებელი ნორმების ფარგლების გადაცილებისას ჩადენილი დანაშაულის ობიექტად თვლის ერთ შემთხვევაში ადამიანის სიცოცხ-

ლის (საქართველოს სსრ სსკ 107-ე მუხ.) და მეორე შემთხვევაში — ადამიანის ჯანმრთელობას (საქართველოს სსრ სსკ 114-ე მუხ.).

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულების ობიექტისაგან განსხვავებით, ჩვენს მიერ განსახილველი დანაშაულის ობიექტს არა ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ხელმყოფელს.

დამნაშავეს ქმედობასა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. განზრახ მკვლელობაში ის გამოვლინდება მაშინ, როდესაც მოქმედება არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ე. ი. როდესაც მოქმედების არარსებობის შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა. ასევე, მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის დროს, ე. ი. ხელმყოფელის სიკვდილი არის მომგერიებლის მოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მაგრამ ამ დროს მომგერიებელმა გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

განზრახ მკვლელობა შესაძლებელია, როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. დამნაშავეს ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) მისი ნების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა უმეტეს შემთხვევაში აქტიური მოქმედება და ხელყოფის არამართლზომიერ მოგერიებაში გამოიხატება<sup>1</sup>. ხელყოფა, როგორც აუცილებელი მოგერიების საფუძველი, ხორციელდება მოქმედებით (უმეტესად აშკარად, აგრესიულად). მოგერიება კი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უმოქმედობითაც განხორციელდეს<sup>2</sup>. მაგალითად, მომგერიებელი ხელმყოფელის უკან ხედავს ხრამს ან ხელმყოფელის სიცოცხლისათვის საშიშროებას, მაგრამ არ აფრთხილებს მას და თავისი უმოქმედობით ხდება მოწინააღმდეგის სიკვდილის მიზეზი.

სისხლის სამართლებრივად დასჯადი, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა წარმოადგენს დაცვის „აშკარა შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“ (საქართველოს სსრ სსკ მე-15 მუხ.).

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება ანუ „დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებისადმი“, გულისხმობს ისეთ მოგერიებას, რომლის დროსაც აშკარად დარღვეულია ხელყოფის ინტენსივობასა და დაცვას შორის შესაბამისობა: „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად ისეთი შემთხვევები ჩაითვლება, როდესაც მომგერიებელი დაცვის ისეთ საშუალებებსა და მეთოდებს მიმართავს, რომელსაც არც თავდასხმის ხასიათი და არც რეალური ვითარება არ მოითხოვდა“<sup>3</sup>.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. განზრახ მკვლელობისათვის ადრე ნასამართლევ პლოტნიკოვს მიესაჯა სსკ 218-ე მუხ. I ნაწ. და

<sup>1</sup> იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის გარშემო სხვადასხვა შეხედულებები არსებობს: ა) ნ. პაშე-ოზერსკის მიაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება მხოლოდ აქტიური მოქმედებით არის შესაძლებელი. ასეთივე შეხედულებისა ტიშკვინი.

<sup>2</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულიძე, „საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“, თბილისი, 1988 წ., გვ. 114.

<sup>3</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—77 гг., т. II, М., 1981, с. 63.

6. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 1

102-ე მუხ. „ი“ პუნქტით გათვალისწინებული სასჯელი. მას ბრალად ედებოდა ნ. გორბუნოვის განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა და ტარება.

ექსპედიციის წევრები, მათ შორის პლო-ვი, გორ-ი ნ. და გორ-ი ი. აღნიშნავდნენ ჩირ-ის დაბადების დღეს. პლო-სა და ნ. გორ-ს შორის მოხდა შელაპარაკება, რაც შემდეგ გადაიზარდა ნ. გორ-სა და პლო-ს შორის ჩხუბში. ამ ჩხუბის დროს ნ. გორ-მა ცემა პლო-ი. მალე მოვიდა ი. გორ-ი და ნ. გორ-თან ერთად მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება პლო-ს. ამის შემდეგ ნ. და ი. გორ-ი წავიდნენ და დაემუქრნენ პლო-ს, რომ მალე დაბრუნდებოდნენ და განავრძობდნენ მის ცემას. შეშინებულმა პლო-მა მოამზადა თავისი 16-კალიბრიანი სანადირო თოფი და უკან დაბრუნებული ნ. გორ-ი მოკლა.

სასამართლომ პლოტნიკოვს შეუფარდა რსფსრ სსკ 102-ე მუხ. „ა“ პუნქტი და 218-ე მუხ. I ნაწ. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ სასამართლოს განაჩენი შეცვალა. კოლეგიამ მიუთითა, რომ პლოტნიკოვის ბრალდება განზრახ მკვლელობაში არ ეფუძნება ფაქტიურ გარემოებათა სწორ შეფასებას და არ არის გათვალისწინებული ბრალდებულის მოქმედების მოტივი. მისი მოქმედება გადაკვალიფიცირდა რსფსრ სსკ 105-ე მუხლით.

ჩვენ აზრით, რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილება სწორად უნდა ჩაითვალოს.

პლო-ი გორ-ს არ გაჰკიდებია მოსაკლავად და ამიტომ ხელახალი მისვლა პლოტ-თან, ამ უკანასკნელმა მიიღო როგორც მუქარის განხორციელების რეალური საშიშროება. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პლო-ის მოქმედება გამოწვეული იყო თავდაცვის მიზნით, ე. ი. ის იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამავე დროს, პლოტნიკოვის მიერ მიყენებული ზიანი და გამოყენებული საშუალება აშკარად არ შეესაბამებოდა კონკრეტულ ვითარებას და ხელყოფის ინტენსივობას, მიუთმეტეს, რომ მოწინააღმდეგე არ იყო შეიარაღებული.

განზრახ მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. განსხვავებით განზრახ მკვლელობისაგან, საქართველოს სსკ 107-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის განხილვისას, ჩვენ ამ დანაშაულის სუბიექტური მხარის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებებს ვაწყდებით.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხს წარმოადგენს, თუ ბრალის რომელი ფორმაა საჭირო, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას პირი მიეცეს პასუხისმგებლობაში. იურიდიულ ლიტერატურაში ვაწყდებით სხვადასხვა კომბინაციას: 1) ი. ტიშკევიჩს, პაშე-ოზერსკის მიაჩნიათ, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ამასთან, დასაშვებია განზრახვის ორივე ფორმა<sup>4</sup>. 2) მ. იაკუბოვიჩი აღნიშნავს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარ-

<sup>4</sup> 4 Тишкewич И. С., Условия и пределы необходимой обороны, М., 1969, с. 86; Паше-Озерский Н., Необходимая оборона и крайняя необходимость, М., 1962, с. 109.

გლების გადამეტება მხოლოდ გაუფრთხილებლობით არის შესაძლებელი<sup>5</sup>.  
 3) თ. შავგულიძის აზრით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შესაძლებელია, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. მაგრამ ამ კომბინაციაში დასაშვებია მხოლოდ ევენტუალური განზრახვა<sup>6</sup>.

ჩვენის აზრით, სწორია შეხედულება, რომლის მიხედვითაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება გამორიცხავს პირდაპირ განზრახვას. თუკი პირი ითვალისწინებს, რომ მის მიერ ხელმყოფელისათვის მიყენებული ზიანი აშკარად აღემატება ხელყოფის ინტენსივობას, ან საერთოდ არ არის სავალდებულო თავდასხმის მოგერიებისათვის, მაგრამ სურს მიაყენოს ხელმყოფელს ზიანი, თუნდაც სიცოცხლის მოსპობითაც კი, სახეზეა განზრახ მკვლელობა.

სხვა მდგომარეობაა ევენტუალური განზრახვის დროს. აქაც მომგერიებლის მთავარ მიზანს დაცვა წარმოადგენს, ხოლო შედეგს მომგერიებელი ურიგდება, როგორც ფაქტს, რომელიც შეიძლება მის მოქმედებას მოჰყვეს. ჩვეულებრივ ასეთ ვითარებაში მომგერიებელი ურიგდება ხელმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობას. მისთვის მთავარია სამართლებრივი სიკეთის დაცვა უზრუნველყოფილი იყოს.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება ხშირად გაუფრთხილებლობითაც ხორციელდება.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის მიზანია დაცვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები, თავისი თავი ან სხვა ადამიანი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, თუნდაც ხელმყოფელს მიადგეს ზიანი სიკვდილითაც კი. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის კვალიფიკაციით ჰიდდერის მოქმედება ჩაითვალა განზრახ მკვლელობად, რომელიც ჩადენილი იყო უეცრად აღძრული სულიერი აღელვების მდგომარეობაში<sup>7</sup>.

გარკვეულ სიძნელეს იწვევს სასამართლო პრაქტიკაში აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ჩადენილი მკვლელობის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის გამოჩენა. მაგალითად, მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკის (საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხ. მე-6 პ.) აქ დამნაშავეს მიზანია დაზარალებულს ან მის ახლობელს განსაკუთრებული ტანჯვა-წამება მიაყენოს მოკვლის დროს. მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა შეიძლება იგივე ნიშნებს შეიცავდეს, რასაც განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემთხვევა სასამართლოს პრაქტიკიდან. ქ. ქუთაისში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი შ. დანით ხელში მივიდა ქუჩაში მყოფ ორ მოქალაქესთან ბ.-სთან და მის ცოლთან და დაუწყო უცენზურო სიტყვებით შეურაცხოვდა ბ.-ს ცოლს. შემდეგ შ. გაემართა ბ.-ს ცოლისაკენ და ნით და მოკვლის მუქარით. ბ.-მ აიღო ქუჩაში დაგდებული ბლაგვი საგანი და რამდენჯერმე თავში ჩაართყა შ.-ს, რითაც არ მისცა ამ უკანასკნელს საშუალებ

<sup>5</sup> Якубович М. И., Вопросы теории и практики необходимой обороны. М., 1961, с. 147—148.

<sup>6</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

<sup>7</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი,

ბა დანა დაერტყა მისი ცოლისათვის. შ. თავში დარტყმის შედეგად გარდაიცვალა.

ქ. ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1984 წლის 19 ნოემბრის განაჩენით ბ.-ს ქმედობა ჩათვალა განზრახ მკვლელობად დამამძიმებელ გარემოებაში (საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხ. მე-6 პუნქტი).

1985 წლის 9 იანვარს აღნიშნული საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და სცნო, რომ ბ.-მ დანაშაული ჩაიდინა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში<sup>8</sup>.

ჩვენი აზრით, უმაღლესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ არის სწორი. ბ.-ს მოქმედება გამოწვეული იყო შ.-ს საზოგადოებრივად საშიში ხელყოფით. ბ. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში. ბ.-ს ეს მოქმედება გარეგნულად გავს 104-ე მუხლის მე-6 პუნქტის ნიშანს — მკვლელობას ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით. მაგრამ მოყვანილ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ბ. მოქმედებდა კანონიერი ინტერესების (ამ შემთხვევაში თავისი ცოლის სიცოცხლის) დაცვის მიზნით. ამიტომ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა და ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შემამსუხუქებელ გარემოებად.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობად, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელის მოქმედებაში აღმოჩნდა განსაკუთრებული სისასტიკისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა მრავალი სხეულებრივი დაზიანების მიყენება ან მკვლელობის ჩადენა მოკლულის ნათესავთა თანდასწრებით. ამ დადგენილებაში მხედველობაშია მიღებული ის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება პასუხისმგებლობის შემამსუხუქებელი გარემოებაა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა გამოყოფილია ცალკე, 107-ე მუხლის შემადგენლობად.

მკვლელობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 107-ე მუხლით და არა როგორც კვალიფიციური მკვლელობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მოკლულია ორი ან რამდენიმე პირი, ან ორსული ქალი, ან დანაშაული ჩადენილია ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენენ მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, ან ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან ისეთი პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა განზრახ მკვლელობა.

არ დაკვალიფიცირდება ქმედობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მე-4 პუნქტით (ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა), როდესაც მკვლელობა ჩადენილია შემამსუხუქებელ გარემოებებში: ორი პირის მკვლელობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც დამამძიმებელ გარე-

<sup>8</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება გან.-ის საქმის გამო. 1985 წლის 9 იანვრის № 20 დადგენილება.

მოებაში ჩადენილი მკვლელობა, თუ ერთ-ერთი მათგანი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ორი ან რამდენიმე პირის დანაშაულებრივი ხელყოფის მოგერიებაზე. მაგალითად, შეიძლება მოყვანილ იქნეს სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი საქმე:

1982 წლის ზაფხულში გ.-მ ქალაქ გორში მცხოვრებ ზ.-ს, კურორტ „გორიჯვარის“ მომხმარებელს მისცა 42 მანეთი, სესხად ვინაიდან ზ. აგვიანებდა ფულის დაბრუნებას, გ. იძულებული შეიქმნა 6 თვის განმავლობაში რამდენჯერმე მისულიყო ზ.-ს სახლში და მოეთხოვა ფულის უკან დაბრუნება. 1982 წლის 2 დეკემბერს დაახლოებით 19 საათზე გ. ამავე მიზნით მივიდა ზ.-ს ბინაში. იქ მას დახვდა ზ.-ს ძმა პ. პ.-სა და გ.-ს შორის ატყდა ჩხუბი. მალე პ.-ს ზ. შეუერთდა. ძმებმა გ. წააქციეს და ცემა დაუწყეს. გ.-მ ჯიბიდან ამოიღო დანა და წამოდგომისთანავე დაარტყა პ.-ს მარცხენა გვერდის არეში, ხოლო შემდეგ ორჯერ — მუცლის არეში ბ.-ს. სიბნელის გამო ძმებმა ვერ შენიშნეს გ.-ს ხელში და განაგრძობდნენ გ. ცემას. გ.-მ დანა დაარტყა პ.-ს, რომლის შედეგადაც პ. გარდაიცვალა, ხოლო ზ.-ს სხეულის მძიმე დაზიანება მიადგა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 1983 წლის 3 მარტის განაჩენით გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 17, 104-ე მუხ. მე-4 პუნქტით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 8 აგვისტოს დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი შეცვალა და გ.-ს ქმედობა გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 17, 104-ე მუხლზე<sup>9</sup>.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საქმის 17—104 მუხლით დაკვალიფიცირება არ უნდა იყოს სწორი. საქმის გარემოებიდან ჩანს, რომ დაზარალებული პ. და ზ.-ს მხრიდან გ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა უკანონო ძალადობას. გ.-ს საფუძველი ქონდა მიეღო თავდაცვის ზომები, იგი აუცილებელი მოგერიების ვითარებაში აღმოჩნდა. მას თავს დაესხა ორი პიროვნება და მისი ცემა გრძელდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში. გ.-ს მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია არა მარტო მაშინ, როდესაც ფულის დასაბრუნებლად მივიდა, არამედ მაშინაც, როდესაც მას სცემდნენ პ. და ზ. ის მხოლოდ თავდაცვის მიზნით მოქმედებდა, მაგრამ თავდაცვის დროს გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. ეს გარემოება მოწმობს, რომ გ.-მ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რადგან მის მიერ თავდაცვისათვის გამოყენებული იქცა ინტენსივობის თვალსაზრისით, შეუსაბამო იყო თავდაცვის ინტენსივობასთან.

კანონი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს განზრახ მკვლელობის ჩადენას განსაკუთრებულად საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც აღრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა. მაგრამ, ზემოთ აღნიშნული პირების მოქმედება შეიძლება არ იქნეს მიჩნეული დამამძიმებელ გარემოებად, თუკი აღრე ასეთ პირებს ჰქონდათ ჩადენილი მკვლელობა გათვალისწინებული 106-ე და 107-ე მუხლებით. მკვლელობა ამ დროს თვით დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით არის გამოწვეული და „...არ არის შედეგი იმ განსაკუთრებული დანაშაულებრივი ჩვეებისა, იმ მძიმე ამორალური განწყო-

<sup>9</sup> საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1983 წლის 3 მარტის განაჩენი.

ბილგებისა, რის გამოც გამოაცხადა კანონმდებელმა 104-ე მუხლის მე-9 პუნქტში მოხსენებული მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად<sup>10</sup>.

საქართველოს სსკ 105-ე მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას, ჩადენილს დამამძიმებელი გარემოებების და 106-ე და 107-ე მუხლებში აღწერილი შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. 105-ე მუხლით კვალიფიცირდება მაგალითად, მკვლელობა ექვიანობის, შურისძიების ნიადაგზე, მკვლელობა ჩხუბის დროს და სხვ.

ამირად ჩხუბი შეიძლება მკვლელობითაც დამთავრდეს. ჩხუბი ორი ან მეტი პირის ურთიერთ შეხლავს, რომელსაც თან სდევს მოჩხუბართა მიერ ერთმანეთისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენება<sup>11</sup>. ამ დროს თითოეული მისი მონაწილე ახორციელებს საზოგადოებრივად საშიშო ხელყოფას. თუკი ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე ან ორივე პირი ცდილობს მოკლას მოწინააღმდეგე და კიდევაც აღწევს ამგვარ მიზანს, მაშინ დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა (105-ე მუხ.), რა თქმა უნდა, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი.

ჩხუბის დროს შეიძლება ისეთი სიტუაციაც შეიქმნას, როდესაც ერთ-ერთი მონაწილე თავს ესხმის მეორეს და ისწრაფვის მიაყენოს მას დაზიანება, ხოლო მეორე, იცავს თავს და იძულებულია განახორციელოს მოწინააღმდეგის მიმართ საპასუხო მოქმედება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ორმხრივ შეჯახებასთან, ჩხუბთან, არამედ ერთი პირის ცდასთან მოიგერიოს მეორის თავდასხმა.

განზრახ მკვლელობა მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, ე. ი. მისი შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს — შედეგის დადგომა, სხვა პირის სიკვდილი წარმოადგენს. თუ შედეგი არ განხორციელდა, მაშინ სახეზეა ან მკვლელობისათვის მზადება ან მკვლელობის მცდელობა. განვიხილოთ როგორ წყდება ეს საკითხი 107-ე მუხლთან მიმართებაში.

საქართველოს სსკ 107-ე მუხლის სუბიექტური მხარის თვისებები შეუძლებელია ხდის ამ დანაშაულის მომზადებას. საქართველოს სსკ მე-18 მუხლის მიხედვით „დანაშაულის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა, თუ მომარჯვება ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადგინად“, ე. ი. დამნაშავე ქმნის პირობებს იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახადოს დანაშაულის განხორციელება ან გააადვილოს მისი ჩადენა<sup>12</sup>.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი დანაშაულისას განზრახვა უეცრად წარმოიშობა. ამიტომ, მომგერიებელს არა აქვს საშუალება აუცილებელი მოგერიებისათვის მოემზადოს. გარდა ამისა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ხდება ან ევენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ამ ფორმების დროს საერთოდ არ წარმოიშობა საკითხი დანაშაულის მზადების შესახებ. მომგერიებლისათვის თავდასხმა უმეტეს შემთხვევაში მოულოდნელად ხორციელდება და მას ფიზიკურად არ ძალუძს მოემზადოს თავდასხმის მოსაგერიებლად.

<sup>10</sup> თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, თ. შავგულიძე, მ. მაჭავარიანი, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“. თბ., 1980 წ., გვ. 34.

<sup>11</sup> Кузнецова Н. Ф., «Вопросы квалификации умышленного убийства». ВМГУ, № 2, 1961, с. 38—39.

<sup>12</sup> საქართველოს სსსსლის სამართლის კოდექსის კომენტარი. თბილისი, 1976 წ., გვ. 114.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის შესახებ<sup>13</sup>. დანაშაულის მცდელობა უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად მიმართული მოქმედება, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მოყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დანაშაულის მცდელობისათვის სავალდებულოა პირდაპირი განზრახვა და დაუშვებელია ევენტუალური განზრახვა ან გაუფრთხილებლობა.

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პირი, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას, თოფს ესვრის თავდამსხმელს, მაგრამ ვერ მოახვედრებს, ანხორციელებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის მცდელობას. შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვა, ხელმოყოფის არავითარ ზიანს არ აყენებს, არ წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ვითარებას და ე. ი. ვერც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობას გამოიწვევს.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება საქართველოს სსკ 17. 107 მუხლით დაკვალიფიცირების შემთხვევები. მაგალითად: ქ. ბათუმში, ლიბენეტის ქუჩაზე წაიჩხუბნენ ა. და კ. კ. შეეცადა ა.-სათვის დანა გაეყარა. ა.-მა თავდასხმის მოსაგერიებლად თვითნაკეთი პისტოლელი ამოიღო, ისროლა და კ.-ს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა. საგამომძებლო ორგანოებმა ა.-ის ქმედობა დააკვალიფიცირა როგორც მკვლელობის მცდელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით. აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ ეს კვალიფიკაცია სწორად არ სცნო და ა.-ს მოქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის მცდელობად დააკვალიფიცირა<sup>14</sup>.

ჩვენი აზრით, არც საგამომძებლო ორგანოების და არც აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაცია არ უნდა იყოს სწორი, რადგან ა.-ს კ.-ის მოკვლის განზრახვა არ ქონდა და იარაღი მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ კ. მას დანით ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, ა.-ს მოქმედება არ იყო კ.-ის მოსაკლავად მიმართული, იარაღიც მხოლოდ თავდაცვის მიზნით იხმარა. ა.-ს რომ კ.-ის მოკვლა სდომებოდა, მას ქონდა შესაძლებლობა დანაშაული ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. იმიტომ ა. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, მაგრამ გადაცილდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 114-ე მუხლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუსლიმური სამართალი მკაცრად იცავს საკუთრების უფლებას, რაც ნათლად ჩანს ქურდობისა და ყაჩაღობისათვის დაწესებულ სასჯელებში. ამაზე მიუთითებს შვეიცარიელი მკვლევარი ა. მეცოც. იგი წერს: „ყველაზე მკაცრი სასჯელი, რაც შეიძლება მუსლიმ მოსამარ-

<sup>13</sup> ვ. კირიჩენკოს აზრით, მცდელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით შესაძლებელია, ხოლო პაშე-ოზერსკი კი უარყოფს მზადებასც და მცდელობასაც ამ ვითარებაში. ასეთივე შეხედულებისაა თ. შავგულიძე.

<sup>14</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.



თლეს მიესაჯა, იყო ჩაქოლვა — გარკვენილებისათვის. შემდეგ მოდიოდა ხელფების მოკვეთა შარავნის ყაჩაღობისათვის და ხელის მოჭრა ქურდობისათვის“<sup>23</sup>.

М. О. КВАЧАДЗЕ

## ДИФФЕРЕНЦИАЦИЯ УБИЙСТВА ПРЕВЫШЕНИЕМ ПРЕДЕЛОВ НЕОБХОДИМОЙ ОБОРОНЫ И УМЫШЛЕННОГО УБИЙСТВА

Резюме

Дифференциация убийства с превышением пределов необходимой обороны и умышленного убийства представляет интерес как в судебной практике, так и в теории уголовного права. В данной статье дан обзор свойств этих двух видов убийств; на примере уголовных дел из судебной практики анализируются внешнее сходство и разграничительные признаки данных видов убийств. Особое внимание уделено проблеме разграничения убийств с повышением пределов необходимой обороны и убийств с особой жесткостью, убийства двух или более лиц, убийств при драке и т. д.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

<sup>23</sup> Мещ А., «Мусульманский репрессанс», М., 1973, с. 298.

ბ. ნაღარავილი

„პატრონობა“ სიტყვის მნიშვნელობისათვის  
„ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველის პოემაში ავთანდილი ასე მიმართავს ფატმანს:  
„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა,  
მე ვარ სპასპეტი მალღისა მეფისა როსტევეანისა;  
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,  
მაქვს პატრონობა მრავალი საჭურჭლე — ზარახანისა“ (1262).

ზემოთ მოტანილ სტროფში ჩვენი ყურადღება მიიქცია ტერმინის „პატრონობა“-ს მნიშვნელობა.

„ვეფხისტყაოსნისთვის“ პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილ ლექსიკონში პატრონი, პოემის სათანადო სტროფების დამოწმებით, განმარტებულია, როგორც ბატონი, უფროსი, მფარველი, ხელმწიფე, მეუფე. ავტორის ყურადღება დაუმსახურებია აგრეთვე „პატრონობა“-საც ი. აბულაძეს რუსთაველის თხზულების 156, 161, 168 სტროფების დამოწმებით ის განმარტებული აქვს, როგორც უფროსობა, უფლება, მართვა-გამგეობა<sup>1</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „პატრონობა“ სიტყვის იუსტინე აბულაძისეული განმარტება არ მოიცავს რუსთაველის პოემის 1262-ე სტროფს. როგორც ჩანს, მას ვათვალისწინებელი ჰქონდა, რომ ხსენებულ სიტყვას აქ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ვიდრე 156, 161, 168 სტროფებში.

„პატრონობა“ სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში პოემის 161 და 163-ე სტროფების დამოწმებით განმარტებული აქვს აგრეთვე აკად. აკაკი შანიძეს, როგორც „პატრონის მოვალეობის შესრულება“<sup>2</sup>. „პატრონობა“ — სიტყვას, რუსთაველის ენის საუკეთესო მცოდნე, მართებულად გვიხსნის, მაგრამ ისიც მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არ იმოწმებს რუსთაველის პოემის 1262-ე სტროფს.

ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებულ სტროფში „პატრონობა“-ს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს პოემის სხვა ადგილებში მოცემულ ხსენებული სიტყვის მნიშვნელობასთან შედარებით.

პატრონი რომ რუსთაველთან სუზერენს, ხელმწიფეს, მფლობელს ნიშნავს არ არის სადაო. ჩვენ პირველყოფლისა გვანტერესებს „პატრონი“ — სიტყვა მფლობელის, მესაკუთრის მნიშვნელობით. პატრონი უკვე მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ნიშნავდა „უფალს“, მფლობელს ან მესაკუთრესაც კი. „მოვიდა პატრონი იგი დრაკუნისა, გინა უფალი“ ვკითხულობთ „მამათა ცხოვრება“-ში.

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1951, იხ. ლექსიკონი შედგენილი იუსტინე აბულაძის მიერ, გვ. 364.

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სახელგამო. თბილისი, 1957, გვ. 378.

ზოგჯერ პატრონი კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა: გამგებლის, ბატონ-პატრონის, მეურნის მნიშვნელობით. რუსთველთან „პატრონი“ ხშირად გვხვდება:

„ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარაენისა დიდისა“ (1073)  
 „ვკადრე: „მითხარ, ვინ ხარ მზეო, ანუ შეილი ვისთა ტომთა?  
 იმა ზანათა სით მოჰყვანიდი შენ, პატრონი ცისა ხომთა?“  
 (1139)

„ვეფხისტყაოსანს“—ვივე ვხვდებით ასეთ სტროფს:

„სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“ (38)

აკ. შანიძის მართებული მოსაზრების თანახმად, შენაფლობი აქ უნდა ნიშნავდეს დაუფლებულს, დასაკუთრებულს.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი არ დამკვიდრებულა, თუმცა ამ მიმართულებით მცდელობის ნიშნებმა ჩვენამდეც მოაღწიეს.

საზეპერო, საკუთრება, ჩემება ერთიმეორის გვერდით გამოხატავდნენ მიხლოებით იმ შინაარსს, რასაც მოგვიანებით კერძო საკუთრების ცნებაში ათავსებდნენ.

ძველ სამყაროში კერძო ანუ ინდივიდუალური საკუთრების უფლება ეს იყო ყველაზე ვრცელი უფლება ნივთზე, რომელიც კი შეიძლებოდა ჰქონოდა ინდივიდს. რადგანაც ერთ ღროს სამართლის თვალში მონაც ნივთად ითვლებოდა, ამ უკანასკნელის მიმართ მის მესაკუთრეს სრული სუვერენული უფლებები გააჩნდა. საკუთრების უფლებას ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერიც კი განიხილავს, როგორც ინდივიდის კვაზისუვერენულ უფლებას. რომაული იურისპრუდენციის წიაღში წარმოიშვა საკუთრების უფლების სამ შემადგენელ ელემენტად დანაწევრება, რომელიც შემდგომ აითვისა ბურჟუაზიულმა სამართალმაც.

ეს ელემენტებია:

1. *jus utendi*, ანუ ნივთის სარგებლობის უფლება ყველაზე აბსოლუტური საშუალებებით, რამდენადაც ამას წინ არ ეღობება კანონები ან მესამე პირთა კანონიერი უფლებები. ესაა ნივთის სარგებლობის უფლება რაგინდარა არაკანონსაწინააღმდეგო მიზნით. ეს უფლება გულისხმობს, რომ პირი ნივთის მფლობელია.

2. *jus fruendi*, ანუ უფლება ყველა იმ ნაყოფზე, რომელსაც ნივთი იძლევა ე. ი. ნივთის ბუნებრივ-სასარგებლო თვისებებით სარგებლობის უფლება. შემოსხენებული უფლებამოსილება გულისხმობს ნივთის გაქირავების, სესხად გაცემის ან ნივთის სარგებლობის გზით შემოსავლის მიღების უფლებას.

3. *jus abutendi*, ანუ ნივთის ნებისმიერად განკარგვის, გასხვისების გაყიდვის, დაგირავების უფლება.

ძირითადი სანივთო უფლება საკუთრების უფლებაა, რომლის მიხედვითაც იგულისხმება მესაკუთრის სრული ძალაუფლება ნივთზე.

საკუთრების უფლების რომაული კონცეპციის თანახმად, რომელსაც X—XIII საუკუნეების საქართველოში კარგად იცნობდნენ, მესაკუთრის სრული ბატონობა (*dominium*) ნივთზე თავისთავად იგულისხმებოდა.

რადგანაც მესაკუთრის სრული ბატონობა ნივთზე, ქონებაზე საკუთრებად წარმოიდგინებოდა, მსოფლიოს მრავალი ცივილიზებული ხალხის ენაში საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი ძალუფლებასთან დაკავშირებული სიტყვების მეშვეობით იქმნებოდა.

„დომინუს“ ლათინურში ნიშნავდა ბატონს, პატრონს (მეპატრონეს), მფლობელს, ხელმწიფეს. თანდათანობით „დომინუს“-იდან ნაწარმოებმა „დომინიუმ“-მა მიიღო ჭერ მფლობელობის და შემდეგ საკუთრების მნიშვნელობა ამასთან ერთად ის ნიშნავდა ძალუფლებას და ბატონობასაც.

პატრონიდან ნაწარმოებია პატრონობა.

რუსთაველის სიტყვები „მაქვს პატრონობა მრავალი საქურჭულ ზარადხანისა“ ნიშნავს საკუთრებაში მაქვს, ჩემს განკარგულებაშია მრავალი ძვირფასეულობა (ძვირფასი განძი) და აბჯრის შესანახი სახლი (სადაც ალბათ აბჯრები იქნებოდა შენახული).

„პატრონობა“ სიტყვას ჩვენ ვხვდებით გვიანი შუა საუკუნეების ქართულ დოკუმენტებში, აგრეთვე ვახტანგ მეექვსის ბრძანებით სომხურიდან ნათარგმნ სამართლის წიგნებში.

კახა თორელის შეწირულების დაწერილში რკონის მონასტრისადმი (1259 წ.) ვხვდებით გამოთქმას „წინამძღუარი მეტად ნუ ჰპატრონობს“. იგულისხმება, რომ წინამძღვარი ამიერიდან არ უნდა განკარგავდეს მონასტრის საქონლებს.

1660 წ. 1/V ვაკემულ დომენტი კათალიკოზის წყალობის წიგნში ზოგაშვილისადმი ვკითხულობთ: „...ამას გარდა მიეცათ ნიშნის პატრონობა მეფისა და დედოფლისა, ბატონისშვილებისა, დარბაისლებისა და უფლისწულებისა“.

„მიეცათ ნიშნის პატრონობა“ აქ ნიშნავს ნიშნის სახელით ცნობილი შემოსავლის ბოძებას, ამ შემოსავალზე საკუთრებას. სხვა შემთხვევებში პატრონობა მეფობის მნიშვნელობით იხმარებოდა. სირიულ-რომაული სამართლის სომხური ვერსიის ქართულ თარგმანში<sup>3</sup> „პატრონობა“ რიგ შემთხვევებში ნიშნავს სამეკიდრო ქონებას, მემკვიდრეობას, მემკვიდრე-მესაკუთრედ ყოფნას.

„ვინ შეირთოს ცოლი ორი მზითვით მისული, წინამ მიიტანოს მზითვეი და უკანამ არა, დარჩეს შვილი ორისაგანვე, თუ ინდომოს მამამ ორისა ცოლის ნაყოფი, სწორედ მისცეს პატრონობა“ (12 ე. მ.).

„რომელიც შვილი მამამან ანდერძით დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა, და რომ დარჩეს ვალი, რომელიც რომ დააპატრონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია თუ ცოტა. და თუ ვერ იკისროს პატრონობა და ვალის გარდაკდა, აიღოს კელი. ვალი მოვალემ მამულსა და მის კაცის ქონებასა სთხოოს“. (123-ე მუხ.).

მზითარ გოშის სამართლის წიგნის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „კაცი თუ მიიცვალოს და შვილი არა ჰყუანდეს, მისცენ პატრონობა ქალთა მისთა“. (251-ე მ.).

საკუთრივ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში უშუალოდ სიტყვა „პატრონობა“-ს ვერ ვხვდებით მაგრამ პატრონი კი ხშირად იხმარება ქონების მესაკუთრის მნიშვნელობით. „თუ კაცმან მამულის ცილებაში მამულის პატრონი

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970, №-122, გვ. 528.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963, გვ. 231, 259.

მოკლას“ ამასთან პატრონი სამართლის წიგნში ყმის მებატონესაც ნიშნავს, ქალის მშობლებსაც და ა. შ.

„დიდი სჯულისკანონის“ ქართულ რედაქციაში ერთგან ბერძნულ დედან-ში ნახმარ საკუთრების გამომხატველ ტერმინს შეეფარდება ქართული „საბატრონო“ (გვ. 202).

ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში ზოგჯერ საკუთრების მნიშვნელობით „მონაგები“-ც იხმარებოდა. თანაც თვით ბერძნულში საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი „დესპოტეა“ ძირითადი მნიშვნელობის გარდა ნიშნავდა პატრონობას, მეპატრონეს. ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ იურიდიულ ძეგლებში საკუთრების გამომხატველ მეორე ტერმინს „კტემა“-ს შეესატყვისებდა ზოგჯერ მამულიც.

1259 წ. შედგენილ მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის დაწერილში ვხვდებით გამოთქმას „წინამძღუარი მეტად ნუ ჰპატრონობს“ ხოვლეცო.

შეწირულების წიგნში შალვა ქვენიფნეველ ერისთვისა ლარგვისისადმი (1470 წ.) კრულვით ნაწილში ნათქვამია, რომ თუ ვინმემ შემწირველის დანაწესი შეცვალოს „ნუ მძლავრობით, ანუ პატრონობით, ანუ მიტაცებითა რა-ითამა“ ღმერთმა დასაჯოს და გაიკითხოსო. „პატრონობა“ აქ საეჭვოა, რომ საკუთრების მნიშვნელობით იყოს ნახმარი.

1577 წელს ალექსანდრე მეფის სახელით შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ როდესაც „მამა ჩუენი პატრონი ლეონ“ გარდაიცვალა, სამეფო სახლის წევრთა შორის „მეფობისა და პატრონობის საქმეზედ“ შულლ ჩამოვარდაო. ამავე დოკუმენტში კრულვით ნაწილში ნათქვამია, თუ ვინმემ ჩვენი ბრძანება და ნება დაარღვიოს ქრისტემ შესცვალოს „მეფობისა და პატრონობისა მისისაგან“-ო. 1722 წ. შედგენილ ცნობილ ღმერთების გუჯარში ორგზის ვხვდებით გამოთქმას „მეფობა და პატრონობა“-ს, მაგრამ აქაც პატრონობის სამართლებრივი მნიშვნელობა მთლად გარკვეული არ არის და საეჭვოა ის საკუთრების მნიშვნელობით იხმარებოდეს. (იხ. ქსდ II, გვ. 61, 141, 196, 197, 358).

პატრონობა, როგორც ვხედავთ, სამართლის წიგნების მთარგმნელისათვის თავისი მნიშვნელობით საკუთრებასთან არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ფეოდალურ საქართველოში „პატრონობა“-ს რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობდნენ და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო ცალკე იურიდიულ ტერმინად ჩამოყალიბებული.

მეორე სიტყვა, რომელსაც ქართულში ლათინური „დომინიუმ“-ის ან „პროპრიეტას“-ის ცნება უნდა გამოეხატა, ეს იყო „საკუთრება“. ამ უკანასკნელ ქართულ სიტყვასაც თავდაპირველად სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ. ისევე როგორც ლათინური ზედსართავი სახელი „პროპრიუს“ ნიშნავდა საკუთრად კუთვნილს, საკუთრებად კუთვნილს. ქართულშიც „საკუთარი“ ნიშნავდა კერძოს, თავისს, დაახლოებულს. მაგრამ ამის შესახებ ცალკე მსჯელობაა საჭირო.

საერთოდ იურიდიულ ტერმინთა წარმოქმნის პროცესი ძირითადად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნულში, ლათინურში, რუსულსა და ქართულ ენებში.

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ

О ЗНАЧЕНИИ СЛОВА „პატრონობა“ (ПАТРОНОБА)  
В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

Слово «патроноба» в поэме Руставели употребляется в значении собственности (строфа 1262). Указывается, что «патроноба» с приблизительно аналогичным значением встречается в грузинских юридических документах и судебных актах.

Слово «патрон» в грузинском языке употребляется в значении собственника, господина, титула царя, а «п а т р о н о б а» — собственности, верховенства.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ

თ. ჯავახიძე

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული  
მუსლიმური სამართლის მიხედვით

მუსლიმური სამართალი შუა საუკუნეებს აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სპეციფიური სამართლებრივი სისტემაა. მუსლიმური სამართლის მკვლევარები ჩვეულებრივ ყურადღებას აქცევენ მისთვის დამახასიათებელ და ურთიერთგანმარტებელ ორ თავისებურებას — რელიგიურ წარმოშობას და იურიდიული დანაშაულების კავშირს მუსლიმურ დოგმატიკას (ღვთისმეტყველებას), მორალურ ნორმებს, კულტობრივ წესებსა და საერთოდ ისლამის ნორმებთან.

„მსოფლიო“ რელიგიებიდან ისლამი ყველაზე ახლოს დგას სახელმწიფოსა და სამართალთან. მათ დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება მუსლიმური სამართალი და ისლამის სამართლებრივი იდეოლოგია. თავის მხრივ, ხაზს უსვამდა რა ისლამის სახელმწიფოებრივ ხასიათს, მუსლიმური სამართალი ყოველთვის იდგა ამ მოძღვრების შუაგულში და აღიქმებოდა არა მხოლოდ როგორც ნორმების სისტემა, არამედ როგორც უნივერსალური პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინაც<sup>1</sup>.

მუსლიმური სამართლის ავტორიტეტული მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ისლამი ერთდროულად არის „რწმენა და სახელმწიფო“, ხოლო მუსლიმური სამართალი (ფიკჰი) — სამართალი და რელიგია. რ. შარლის აზრით, მუსლიმური სამართალი — ეს პირველ რიგში რელიგიაა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო და კულტურა<sup>2</sup>. ისლამი — ხაზს უსვამს რ. დავიდი — ეს კანონის რელიგიაა, ხოლო მუსლიმურ სამართალს გააჩნია არა რაციონალური, არამედ „ღვთიური“ ბუნება<sup>3</sup>. ა. მასე აღნიშნავს, რომ მუსლიმურ სამართალში რიტუალის საკითხები შერწყმულია რელიგიურ ნორმებთან<sup>4</sup>. საბჭოთა მეცნიერი ი. პეტრუშევსკი ღვთის მეტყველებას (თეოლოგიას) და სამართალს (ფიკჰს) ახასიათებს, როგორც მუსლიმური „რელიგიური კანონის“ (შარიათის) ორ დარგს<sup>5</sup>.

მუსლიმური სამართლის, როგორც ისლამის რელიგიურ სისტემაზე დაფუძნებული იურიდიული ფენომენის თავისებურება, პირველ რიგში იმაში მქალავდება, რომ მის ბირთვს შეადგენენ ნორმები, რომელთა წყაროს შესაბამისი რელიგიური დანაშაულები — ყურანისა და სუნას (მუჰამადის ქცევითა და გამონათქვამების კრებულის) დებულებები (არაბ. — ნუსუს), წარმოადგენენ.

<sup>1</sup> Сюкияйнен Л. Р., «Мусульманское право», М., 1986, с. 3.

<sup>2</sup> Шарль Р., «Мусульманское право», М., 1959, с. 11.

<sup>3</sup> Давид Р., «Основные правовые системы современности», М., 1967, с. 386.

<sup>4</sup> Массе А., «Ислам», М., 1982, с. 80.

<sup>5</sup> Петрушевский И. П., «Ислам в Иране в VII—XV вв.», Л., 1966, с. 125.

ყურანში ალაჰის სახელით პირდაპირაა ნათქვამი: „Мы виспослали: его (Коран—თ. გ.) как арабский судебник“.

მუსლიმური სამართლის უაღრესად მკიდრო კავშირი რელიგიურ დოგმებთან, ნათლად ჩანს მუსლიმი იურისტების მიერ შემუშავებული დანაშაულის მოძღვრებაში. სამართალდარღვევების მუსლიმური თეორია გამომდინარეობს ორი ფუძემდებლური ფილოსოფიურ-ლეთისმეტყველური საწყისიდან. პირველ რიგში, ითვლება, რომ ადამიანის ყველა ქცევა და აზრიც კი წინასწარ განსაზღვრულია ალაჰის ნებით. ამიტომაც, ყოველი სერიოზული გადაცდომა განიხილება როგორც მუსლიმური სარწმუნოებით აკრძალული ქმედება, ისლამის „ხუთი ძირითადი ფასეულობის“ — რელიგიის, სიოცხლის, გონების, შთამომავლობის გაგრძელებისა და საკუთრების, სამართლებრივი პრინციპისა და ნორმების დარღვევა. მეორე, არსებითად მნიშვნელოვანი მომენტია დანაშაულისადმი მიდგომა, როგორც ალაჰის ნების წინააღმდეგ წასვლა. ამიტომაც, იურიდიული თვალსაზრისით, ყოველი არამართლზომიერი ქცევა არა მარტო მუსლიმური სამართლის დანაწესებიდან გადახვევაა, რომელსაც შესაბამისი „მიწიერი“ სანქცია მოჰყვება, არამედ — რელიგიური ცოდვაც, რასაც იმქვეყნიური სასჯელი შეეფარდება.<sup>6</sup>

საერთოდ, მუსლიმური სამართლის სისტემა შეიცავს პრინციპებისა და ნორმების კომპლექსებს, რომლებიც არეგულირებენ მუსლიმის ცხოვრების სამ ძირითად სფეროს: მართლმორწმუნეთა ურთიერთობას ალაჰთან, ადამიანებს შორის ურთიერთობებს, და, აგრეთვე, სახელმწიფოებს ან რელიგიურ კონფესიებს შორის კავშირებს. მუსლიმურ-სამართლებრივი დოქტრინა ამ სამ დარგთან ერთად გამოპყოფდა სამ სხვასაც — „სახელისუფლო ნორმების“ დარგს, საპროცესო სამართალს და „სიიარ“-ის ნორმებს — დარგს, რომელსაც პირობითად „მუსლიმურ საერთაშორისო სამართალს“ უწოდებენ. მოცემული კლასიფიკაცია ამჟამად ყველაზე მეტადაა გავრცელებული მუსლიმური სამართლის მკვლევარებს შორის.

მუსლიმური სამართლის ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებით აინტენება ამ სამართლის ზოგიერთი თავისებურება: რიგი ინსტიტუტების არქაული ხასიათი, მისი კაზუსტურობა და ერთიანი სისტემის უქონლობა. მუსლიმური სამართალი მნიშვნელოვან წილად კერძო სამართალია, რომელიც ისტორიულად წარმოიშვა საკუთრებრივი ურთიერთობების, მიმოცვლისა და პირადი არაქონებრივი კავშირებისაგან<sup>7</sup>. მასში მთავარი ადგილი უჭირავს ქცევის წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ რელიგიური პრინციპებიდან და რელიგიურ-მორალური კრიტერიუმებიდან. ამიტომაც კანონზომიერია, რომ განსაკუთრებულ და ყველაზე მეტად განვითარებულ დარგს წარმოადგენს „პირადი სტატუსის სამართალი“. რ. დავიდი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „პირადი და საოჯახო სამართალი, რომლებიც მოიცავენ რიტუალური და რელიგიური ქცევის ნორმებს, ყოველთვის ითვლებოდნენ ყველაზე მნიშვნელოვნად შარიათში“<sup>8</sup>. თანამედროვე არაბი იურისტის აბდ ალ-აზიზ ამირის აზრით,

<sup>6</sup> «Коран», перевод и комментарии И. Ю. Крачковского, М., 1963, с. 13, 37 (აქა და შემდგომ ციტატები ყურანიდან მოტანილია რუსულ ენაზე, რადგან ქართული თარგმანი — „ყურანი მაჰმადისა“, ტფ., 1906 წ., არასრულყოფილია.

<sup>7</sup> С ю к н и я и н е н Д. Р., Указ. соч., с. 182—183.

<sup>8</sup> С ю к н и я и н е н Л. Р., Указ. соч., с. 84.

<sup>9</sup> Давид Р., Указ. соч., с. 404.



ამ დარგის ძირითადი ინსტიტუტებია ქორწინება — განქორწინება, ნათესაობა, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, შვილების აღზრდის მოვალეობანი, ანდერძი, „კანონისმიერი“ მემკვიდრეობა და ა. შ. კერძო-სამართლებრივ დარგებს მიეკუთვნება „სამოქალაქო სამართალი“-ც (არაბ. მუყამალათ), რომელიც აწესრიგებს საკუთრების საკითხებს, ვარიგების სხვადასხვა სახეებს და მათ უზრუნველყოფას, ვალდებულებების შესრულების წესებს და ა. შ.<sup>10</sup>

მუსლიმური დელიქტური (სისხლის) სამართალი, ზემოთ დასახელებულ ორ დარგთან შედარებით, გამოირჩევა გარკვეული სქემატურობით და ნაკლები დეტალიზაციით. ყურანისა და სუნას რამდენიმე დებულების საფუძველზე მუსლიმმა სწავლულმა სამართალმცოდნეებმა ვერ შექმნეს სისხლის სამართლის ერთიანი სისტემა. რ. შარლი წერს, რომ ისლამი დანაშაულად თვლის კანონით აკრძალულ ქმედებას<sup>11</sup>. აქ ალბათ ნაგულისხმევია როგორც რელიგიური, ასევე ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი. მუსლიმურ სისხლის სამართალში გაერთიანებულია საჯარო და კერძო სამართლის ნორმები, რომელთა შორის ზღვარი ძნელი დასადგენია. თუმცა, საჯარო სამართლებრივი ნორმები, პირველ რიგში, ეხება მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს, რომელთა ჩადენისათვის ყურანი, სუნა ან „მოციქულის თანამოღვაწეების ერთსულოვანი აზრი“ (იჯმა), აწესებს ზუსტად განსაზღვრულ სასჯელს. დანარჩენი სამართალდარღვევების უმრავლესობა კი კერძოდ ითვლება, რადგანაც ცალკეული პირების უფლებებსა და ინტერესებს ეხება.

მუსლიმური სისხლის სამართლის ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, სამართალდამრღვევები იყოფა სამ ჯგუფად. პირველში შედის საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ „ალაჰის ინტერესებს“ (ე. ი. მთელი მუსლიმური თემის ინტერესებს) და ისჯებიან ზუსტად განსაზღვრული სანქციით — ხადით. მეორე ჯგუფი აერთიანებს დანაშაულებს, რომლებიც ცალკეული პიროვნების უფლებებს არღვევენ და დადგენილი სასჯელი შეეფარდებათ.

მესამე კატეგორიის დელიქტები, რომელთა შესაბამისი სასჯელები მკაცრად არ არის განსაზღვრული, შეიძლება ხელყოფილდეს როგორც „ალაჰის“ უფლებებსაც (ყველა რელიგიური მოვალეობის დარღვევა), ასევე კერძო პირის ინტერესებს.

„ხადი“-ის კატეგორიის სამართალდარღვევებს მიეკუთვნებიან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრება ერთ-ერთი იმ ხუთი ფასეულობათაგანია, რომელსაც ისლამი მკაცრად იცავს. ამიტომაცაა, რომ კერძო საკუთრების ხელყოფისათვის მუსლიმური სამართალი ითვალისწინებს სასტიკ სასჯელებს, მაშინ როცა, მკვლელობისათვის მხოლოდ ნათესავეებს აძლევს შურისძიების უფლებას<sup>12</sup>.

აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავს: „შარიათის დამახასიათებელი თვისებაა — საკუთრებაზე განსაკუთრებული ზრუნვა და ნაკლები ყურადღება ადამიანის პიროვნებისადმი“<sup>13</sup>.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან მუსლიმური სისხლის სამართალი განიხილავს ქურდობას და ყაჩაღობას.

<sup>10</sup> Суюкыйнен Л. Р., Указ. соч., с. 84.

<sup>11</sup> Р. Шарль, Указ. соч., с. 41.

<sup>12</sup> Малышева Д. Б., «Ислам» (журн. «Вопросы истории», 1980, № 11, с. 102).

<sup>13</sup> Бартольд В. В., «Сочинения», т. 6, М., 1966, с. 87.

ქურდობა მიეკუთვნება „ხად“-ის კატეგორიის ისეთ დანაშაულთა რიცხვს, რომლისთვისაც ყურანი ზუსტად განსაზღვრულ სასჯელს აწესებს:

«Вору и воровке отсекайте их руки в воздаяние за то, что они приобрели, как устрашение от Аллаха. Поистине, Аллах — великий мудрый! А кто обратится после своей несправедливости и исправит, то Аллах обратится к нему, Поистине, Аллах — прощающий, милосердный»<sup>14</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმურ-სამართლებრივმა თეორიამ შეიძლება მკაცრი ნორმატიული მოთხოვნები ქურდობის სუბიექტური და ობიექტური მხარეების მიმართ, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს „ხად“-ის კატეგორიის დანაშაულად. მუსლიმური იურიდიული სკოლების უმრავლესობის წარმომადგენლები თვლიან, რომ ასეთი სასტიკი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს თავისუფალ, სრულწლოვან და შერაცხად პირს; მხოლოდ შაფიელები და ხანბალიელები სკოლები უშვებდნენ მონების, არასრულწლოვანების და გონებასუსტების დასჯას ხელის მოჭრით<sup>15</sup>.

„ხად“-ის კატეგორიის ქურდობად ითვლება განზრახული და ფარული პარვა, ხოლო სხვისი ქონების აშკარა მითვისება (ძარცვა) ასე მკაცრად არ ისჯება. ამასთანავე, მუსლიმი სამართალმცოდნეების უმრავლესობის აზრით, ქურდობის მომენტში მოპარული ქონების ადგილსამყოფელი და მასზე საკუთრების უფლება ზუსტად უნდა იყოს დადგენილი. ეს ნიშნავს, რომ ქურდი ხელის მოკვეთით ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნივთი (ქონება) მოპარულია მისი მუდმივად შესანახი ადგილიდან, სადაც დამნაშავეს თავისუფლად შეღწევა არ შეუძლია. ამიტომაც, თუ საიუველირო სამკაული მოპარულია არა იქიდან, სადაც იგი უსაფრთხოების წესების დაცვით ინახება ჩვეულებრივ, და აღებულია სხვა ადგილიდან, სადაც შემთხვევით აღმოჩნდა, ქურდობა ხელის მოკვეთით არ ისჯება. ანალოგიურად წყდება პასუხისმგებლობის საკითხი ისეთ შენობაში ჩადენილი ქურდობისათვის, რომელშიც დამნაშავეს დაუბრკოლებლად შეუძლია შესვლა; მაგალითად, თუ მსახურმა რაიმე მოიპარა თავისი ბატონის ოთახიდან, შეიღმა — მამის, ხოლო სტუმარმა — მასპინძლის ქონებიდან და ა. შ. ზოგიერთი მუსლიმი იურისტის აზრით, „ხად“-ის კატეგორიის დანაშაულად არ ითვლება საზოგადოებრივ ადგილებში (საზოგადოებრივ აბანოში, სავაჭრო ფარულში ან ბაზარში) ჩადენილი ქურდობა, აგრეთვე ღია საძოვრებიდან შინაური ცხოველების ან დაუცველი ბალიდან ხილის მოპარვა. ამის საფუძველზე, ზოგიერთი სამართალმცოდნე ფიქრობდა, რომ ჯიბის ქურდი არ უნდა დასჯილიყო ხელის მოჭრით, მაშინ როცა, სხვები არ ანთავისუფლებდნენ მას ასეთი სასჯელისაგან<sup>16</sup>.

ხელის მოკვეთით ისჯება ის დამნაშავე, რომელიც სხვა პირის კერძო საკუთრებაში მყოფ ქონებას მოძარავდა. ამიტომაც, ხადის კატეგორიის დანაშაულად არ ითვლებოდა საერთო ნადავლის ან საკუთრების, ნასესხები ფულის მითვისება, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება ვრცელდებოდა სახელმწიფო ქონების მიტაცებაზეც. ასე მაგალითად, „სახელმწიფო ხაზინის ქურდობა არ მიეკუთვნებოდა „ხად“-ის კატეგორიის დანაშაულს, რად-

<sup>14</sup> «Коран», V, 42/38—43/39.

<sup>15</sup> Сюкияйнен Л. Р., Указ. соч., с. 184.

<sup>16</sup> Сюкияйнен Л. Р., Указ. соч., с. 185.

7. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 1

გან უკანონო ქმედება ჩადენილი იყო არა ქურდისაგან დამოუკიდებელი იურიდიული აგენტის წინააღმდეგ; ხოლო დამნაშავე კი, ისევე როგორც ყველა სხვა მუსლიმი, ნაწილობრივ ითვლებოდა „მალ ალჰაჰ“-ის (არაბ. — ალჰაჰის ქონება, ამ შემთხვევაში — ხაზინა — თ. ჯ.) მფლობელად<sup>17</sup>.

იმისათვის, რომ ქურდი ხელის მოკვეთით დაისაჯოს, მოპარული ნივთი (ქონება) გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ასე მაგალითად, ნაქურდალის ღირებულება არ უნდა იყოს დადგენილ მინიმუმზე დაბალი, რომელიც სხვადასხვა იურიდიული მოძღვრების მიხედვით მერყეობდა 1/4-დან 1 დინარამდე. შემდეგ, მოპარული ქონება მუსლიმებისათვის „დასაშვები“ უნდა იყოს და ბაზარში იყიდებოდეს. ამიტომაც, ღვინის ან ღორის ხორცის ქურდობა არ მიეკუთვნებოდა „ხად“-ის კატეგორიის დანაშაულებს, რადგან ამ პროდუქტების ხმარებას ისლამი კრძალავს<sup>18</sup>. თუ აღნიშნული პირობები არ იყო დარღვეული, დამნაშავე ხელის მოკვეთით ისჯებოდა. მეორედ ქურდობისათვის დამნაშავე მარცხენა ფეხის მოკვეთით ისჯებოდა. ანალოგიური დანაშაულის მესამედ ჩადენისათვის შაფიელთა იურიდიული სკოლის წარმომადგენლები მოითხოვენ მარცხენა ხელის, ხოლო მეოთხედ ჩადენილი ქურდობისათვის — მარჯვენა ფეხის მოკვეთას. თუმცა, მუსლიმი სამართალმცოდნეების უმრავლესობის აზრით, მესამედ ქურდობის შემდეგ, დამნაშავე უნდა დასჯილიყო მოსამართლის გადაწყვეტილების (არაბ. თაზირი) შესაბამისად, რომელსაც შეეძლო ბოროტმოქმედი ციხეში ჩაესვა ან სიკვდილით დაესაჯა, თუკი მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო.

როცა ქურდობაში რამდენიმე პირი მონაწილეობდა, ისინი ერთნაირად აგებდნენ პასუხს დანაშაულისათვის.

სასამართლოში ქურდობის დასამტკიცებლად აუცილებელი იყო მოწმეების ჩვენება ან დამნაშავის აღიარება. ამავე დროს, მუსლიმი სამართალმცოდნეები უშვებენ ქურდის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, თუ დაზარალებულები მას აპატიებენ, სანამ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ხელისუფლება შეიტყობდეს. ამ შემთხვევაში, ბოროტმოქმედი შეიძლება დასჯილიყო „თაზირ“-ით — სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. მაგრამ ზოგი იურიდიული მოძღვრების მიხედვით, დამნაშავე დაზარალებული მხრიდან პატიების შემთხვევაშიც ხელის მოკვეთით უნდა დაესაჯათ. ამავე დროს ცნობილია, რომ ხანიფელები არ მოითხოვდნენ ხელის მოკვეთას ღარიბისათვის, რომელმაც გაჭირვების გამო ჩაიდინა ქურდობა, ხოლო ხალიფა ომარი საერთოდ არ იყენებდა ამ სასჯელს „შიმშილის წლებში“, გამოდიოდა რა მუსლიმური თემის „საერთო ინტერესებიდან“<sup>19</sup>.

ისევე როგორც ქურდობას, მუსლიმური სამართალი ყაჩაღობას განიხილავს როგორც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დანაშაულს. ყაჩაღობისათვის ყურანი აწესებს ზუსტად განსაზღვრულ სასჯელს. მასში ვკითხულობთ:

«Действительно, воздаяние тех, которые воюют с Аллахом и Его посланником и стараются на земле вызвать нечестие, в том, что они будут убиты, или распяты, или будут отсечены у них руки и ноги накрест, или будут они изгнаны из земли. Это для них — позор в бли-

<sup>17</sup> Фон Гронебаум Г. Э., «Основные черты арабо-мусульманской культуры», М., 1981, с. 58.

<sup>18</sup> Сякуняйнен Л. Р., Указ. соч., с. 185.

<sup>19</sup> Там же, с. 186.

жайшей жизни, а в последней — для них — великое наказание, — кроме тех, которые обратились прежде, чем вы получили власть над ними»<sup>20</sup>.

რა თქმა უნდა, ყურანის ამ ერთი პასაჟის საფუძველზე ყაჩაღობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, დეფინიცია საკმაოდ რთულია. ამით აიხსნება ყურანის აღნიშნული დებულების განმარტებისადმი მუსლიმი სწავლული იურისტების თავისუფალი მიდგომა. ამ ნორმის ანალიზის საფუძველზე, სამართალმცოდნეებმა დაადგინეს, რომ ყაჩაღობისათვის პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ სრულწლოვანმა და შერაცხადმა მამაკაცმა — მუსლიმმა. ამასთანავე, დანაშაულის მსხვერპლი აუცილებლად მუსლიმი უნდა იყოს, ხოლო გატაცებული ქონება — მისი საკუთრება, ან მისი კანონიერ მფლობელობაში მყოფი<sup>21</sup>.

ყურანში არსებულმა მითითებამ საშუალება მისცა მუსლიმ სამართალმცოდნეებს დაედგინათ სასჯელი ამ დანაშაულისათვის მისი შედეგების სიმძიმის მიხედვით. შაფიელთა სკოლის წარმომადგენელთა აზრით, თუ ყაჩაღობას თან სდევს მკვლელობა და ქონების გატაცება, დამნაშავე სიკვდილით უნდა დაისაჯოს და ჯვარს აცვან. მკვლელობა ქონების გატაცების გარეშე ისჯება ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთით (შაყის კვრა), ხოლო დაშინება (მუქარა) მკვლელობისა და ქონების გატაცების გარეშე — გასახლებით, ან დაპატიმრებით. მუსლიმი იურისტები ერთხმად მიიჩნევენ, რომ თუ ყაჩაღობას თან სდევს მკვლელობა, დამნაშავე სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაშაულის ყველა თანამონაწილე ასევე სიკვდილით ისჯება.

ყურანში მოცემული ნორმის საფუძველზე, მუსლიმი სწავლული-სამართალმცოდნეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, თუ ხელისუფლების ორგანოების მიერ მის დაჭერამდე, ყაჩაღმა მოინანია (ალიარა) დანაშაული, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ, თუ დამნაშავე დაიჭირეს მონანიებამდე, მას ყურანში მითითებული სასჯელი შეეფარდება. მუსლიმური სამართალი უფლებას აძლევს ქურდობის, ან ყაჩაღობისაგან დაზარალებულს „დღისით და ღამით სდიოს დამნაშავეს და მოკლას იგი, რათა გატაცებული ქონება დაიბრუნოს<sup>22</sup>. ამ შემთხვევაშიც, იგი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან, რადგან მისი ქმედება განიხილება როგორც კანონიერი თავდაცვა.

<sup>20</sup> «Коран», V, 37/33—38/34.

<sup>21</sup> Ш а р л ь Р., Указ. соч., с. 44.

<sup>22</sup> Ш а р л ь Р., Указ. соч., с. 44.

Т. Г. ДЖАПАРИДЗЕ

ПРЕСТУПЛЕНИЕ ПРОТИВ СОБСТВЕННОСТИ  
ПО МУСУЛЬМАНСКОМУ ПРАВУ

Резюме

Собственность — одна из пяти основных ценностей, строго охраняемая исламом. Исходя из этого, мусульманское право устанавливает суровые наказания за посягательства на частную собственность. Такой подход мусульманской уголовно-правовой концепции рассмотрен в статье на примере двух видов преступлений против собственности — кражи и разбоя.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებამ

ბასარიონ ზოიძე

## გვერდითი ხაზის ნათესავთა მემკვიდრეობა ქართულ სამართალში

სამემკვიდრეო ურთიერთობებში აღმავალთა ყველაზე რეალური კონკურენტები არიან გვერდითი ხაზის ნათესავები. კანონმდებლობა ურყევად დგას მათს მემკვიდრეებად მოწოდებაში. იერემია ბენტამი ერთ დროს დაჟინებით ილაშქრებდა გვერდითთა მემკვიდრეობის წინააღმდეგ და მთელს მემკვიდრეობას წრეს შვილებითა და მშობლებით მოხაზავდა<sup>1</sup>. კანონმდებლობა არ წასულა ამ გზით, როგორც ჩანს მისი მომხრეები არც ისე ბევრი ყოფილა. სხვა საქმეა მემკვიდრეობის ფარგლები — ზოგჯერ იმდენად შორს მიდის ნათესავობის ხარისხი, რომ მემკვიდრეებად მოიწოდებიათ „სრულიად შემთხვევითი პირები“ — ისეთები, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მემკვიდრეობის არსებობაზე. ამისი დაშვება მით უფრო სავარაუდებელია იმ ხალხთა მემკვიდრეობით სამართალში, რომლებიც საერთოდ არ ზღუდავენ რაიმე ხარისხით მემკვიდრეობის ფარგლებს. ამის მიუხედავად, საერთოდ უარყოფა გვერდითთა მემკვიდრეობისა, როგორც ამას გვთავაზობს ბენტამი, მილი, როშერი და სხვები, არაა გამართლებული. საქმე ისაა, რომ მათ კონსტრუქციებს მივყავართ სახელმწიფოს უფლებების გაფართოებასთან. ვთქვათ არ არიან არც დამავალი და არც აღმავალი მემკვიდრენი, ვინ დაუფლებია სამკვიდროს — თუ გვერდითები არა, ცხადია სახელმწიფო. ეს აზრი აქვთ ჩადებული მათ თავიანთ მოძღვრებაში, რაც არ პასუხობს არც ბუნებითი სამართლის მოთხოვნებს (ისინი ხომ პირიქით ამტკიცებენ ეს უფრო პასუხობს). მემკვიდრეობა არსებითად ნათესაურ ურთიერთობაზე დამყარებული კატეგორიაა და სახელმწიფოსთან, თემთან ასეთი კავშირების დანახვა ცხადია არაბუნებრივია. თუ რა შედეგს იძლევა საჯარო ინტერესების იდეალიზაცია კერძოს ხარჯზე ეს თავის დროზე ი. პოკროვსკიმ გვაჩვენა კარგად და საბჭოთა სახელმწიფო ამისი უნიკალური მაგალითია. იგი ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩათვლილია მემკვიდრედ და ისე დიდია მისი უფლებები, რომ თითქოს „მემკვიდრეობის ნათესავებში“ საპატიო ადგილი ეკავოს. საერთოდ გასარკვევია, რამდენად გამართლებელია სახელმწიფო ჩვენ მივიჩნით, როგორც მემკვიდრე.

ჩვენში გვერდითი ხაზის ნათესავთა მემკვიდრეობა თავიდანვე გამოკვეთილი ჩანს. „...გვიან ანტიურ და ადრეფეოდალურ საქართველოში ტანტის დამკვიდრების დროს პირველი რიგის მემკვიდრეებად, სწორედ, გვერდითი ხაზის ნათესავები გამოდიოდნენ. მეფის ხელისუფლება ამ დროს, როგორც წესი, მამის შემდგომ მის უფროს ან რომელსამე შვილზე კი არ გადადიოდა, არამედ გვერდითი ხაზით ყველაზე ახლობელ და უხუცეს ნათესავზე“<sup>2</sup> — დაასკვნის გ. ნადარეიშვილი სტრაბონის ცნობაზე დამყარებით. სტრაბონი კი, იბერიელთა შესახებ წერს: „ასევე ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყან-

ნაში: ერთი [გვარია] და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მანლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“<sup>3</sup>. თ. ყაუხჩიშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა სტრაბონის ცნობები გაურკვევლად თვლის იმას, თუ ვინ იგულისხმება უხსლოეს ნათესავად — „საინტერესოა, რა მიაჩნდათ მაშინ უფრო მახლობლად — ძმა თუ შვილი“. ვარაუდობს, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო შვილი, ვიდრე ძმები<sup>4</sup>. ასე თუ გავიგებთ სტრაბონის ცნობას, მაშინ გამოვა, რომ ტახტის მემკვიდრეა არა გვერდითი ხაზის ნათესავი, არამედ შვილები — მათგან უხუცესი. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდი ძალზედ მოკრძალებულია და თანაც უფრო კითხვას სვამს იგი საკითხის გასარკვევად, ვინემ პასუხობდეს. ივ. ჭავჭავიძელმა გულდასმით შეისწავლა სტრაბონის მოცემული ცნობა და შენიშნა, რომ მასში „...ნათლად არის აღნიშნული, რომ მემკვიდრეობის რიგი პირდაპირი კი არ იყო, მამის შემდგომ მეფობის უფლება შვილზე პირმშობლის წესით კი არ გადადიოდა, არამედ წლოვანობასა, უფროსობაზე და მსცოვანებაზე, უხუცესობაზე იყო დამყარებული: განსვენებული მეფის შემდგომ ვინც სამეფო საგვარეულოში ყველაზე უფროსი იყო ხნიერებით და ყველაზე მახლობლად ითვლებოდა, იმას ეკუთვნოდა კიდევ იბერიის სამეფო ტახტი“<sup>5</sup>. საგვარეულოში წლოვანებით უხუცესი ვერ იქნებოდა შვილი და ამდენად იგი გვერდითი ხაზის ნათესავი უნდა ყოფილიყო<sup>6</sup>. ივ. ჭავჭავიძელმა კონკრეტული მაგალითებით აჩვენა ქეშმარიტება აღნიშნული დებულებისა: იგი თვლის, რომ რევი, რომელიც მირიანის შემდეგ ავიდა სამეფო ტახტზე — იყო მისი ძმისშვილი — ბაკურის ძე. რევის შემდეგ კი სამეფო ტახტზე ჯდება მისი ძმა თრდატი და არა მისი ძე, თრდატის შემდგომ — ვარაზბაკური და არა ბაკური — მისი შვილი<sup>7</sup>. აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ჩვენში გვერდითთა მოწოდება სამეფო ტახტის დამკვიდრებაში უნდა ყოფილიყო საკმაოდ ჩამოყალიბებული წესი. ხოლო თუ რა მდგომარეობა იყო ამ დროს ქონების მემკვიდრეობის დარგში — ამაზე ისტორიული საბუთები დღემან. გ. ნაღარავიშვილი კი ვარაუდობს, რომ აქაც ანალოგიური ხაზი შეიძლება ყოფილიყო.

გვერდითთა მემკვიდრეობის საბუთებს ჩვენ ვხედავთ ადრეფეოდალური ხანიდან. გავიხსენოთ, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოტანილი ეპიზოდი, საიდანაც ჩანს, რომ მშობლის მემკვიდრეები პირველ რიგში შვილებია. მაგრამ აქ საინტერესოა ის, რომ ზენონი, რომელმაც თავის დასთან ერთად მიიღო მშობელთა სამკვიდრო, ბოლოს უარს ამბობს მასზე და მთელ თავის ქონებას უტოვებს დას, თვითონ კი ბერად აღიკვეცა: „და ზენონ გულს — ეტყოდა, რათამცა მამული და დედული [171] მონაგები დასა თუსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თუმცა იქმნა მონაზონ უტხოვებასა შინაჲ. როგორც ჩანს, მას მამულისა და დედულის დატოვება ისე არ გაჭირვებია, როგორც მონაგებისა, რომელიც პირადად ნაღვაწ-ნაშოვარ ქონებას შეადგენდა: „...რამეთუ მონაგებთა დატევება სისხლთა დათხევასა ემსგავსების!“ მაგრამ, რა გზით დაუტოვა თავისი ქონება ზენონმა დას? შესაძლებელია, მან ანდერძიც კი შეადგინა და ამ გზით განიზრახა ემემკვიდრებინა და ქონებისათვის. მაგრამ, ასეთი ვარაუდი უფრო გამორიცხულია, რადგანაც როგორც ჩანს, მას შემდეგ რაც ზენონი ბერად შედგა, მის ქონებაზე დამ უკვე მოიპოვა უფლება. უფრო სწორი იქნება აქ დავგენასა ვალდებულებითი ურთიერთობა, შესაძლოა ნაუქრობითი. ბუნებრივია, ისეთ ვითარებაში, როდესაც ქალი მშობელთა მემკვიდრეა, ასევე ძმისგანაც დებულობა მამულს, დედულსა და მონაგებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იქნებოდა კანონისმიერი მემკვიდრე გვერდითი ხაზისა. სერა-

პიონ ზარზმელის ცხოვრებაში<sup>9</sup> ეს აზრი უფრო კარგად გამოსჭვივის. ოღონდ, იქ გვერდითები გამოიყურებინან, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტები, სახელობრ, ესენია — დისშვილები, რომელთაც დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი უტოვებს ყველაფერს, რაც კი გააჩნია — რააცა აქუნდა“. რაც შეეხება იმ ვითარებას, ანდერძი რომ არ ყოფილიყო, დისშვილები დაიმკვიდრებდნენ თუ არა ბიძის ქონებას, როგორც გვერდითი ხაზის ნათესავები — ეს მეტად საორჭოფოა. ფაქტიურად არც ერთ საბუთში, რომელნიც კი ჩვენ მოვიძიეთ ადრეფეოდალური ხანის სინამდვილეზე — პირდაპირ არსად არაა მითითებული, რომ გვერდითები დაიმკვიდრებენ გარდაცვლილის ქონებას, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეები. საერთოდ, ძუნწი ცნობებია შემონახული ამ ხანის მემკვიდრეობაზე. მაგრამ, ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს ბერძნული წყაროები. ასე მაგალითად, ბიზანტიის კეისრის (912-959) კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოწოდებული ცნობიდან ირკვევა, რომ გვერდითი ხაზის ნათესავი — ძმა, შვილის შემდგომ, ძმის მემკვიდრეა. რადგანაც კეისრის ცნობაში სხვაც ბევრი საინტერესო რამ დგინდება, ამიტომ, ჩვენ მას სრული სახით მოვიტანთ: „საცოდნელია, რომ ბაგრატი და დავითი, რომელსაც მამფალიც ეწოდებოდა, რაც გადმოითარგმნება „ყოვლად წმინდა“ იყვნენ ძინი დიდი სუმბატ იბერისა და ადრანუჯი წილად ზედა ბაგრატს, ხოლო დავითს ერგო სხვა ქვეყანა. ბაგრატს ჰყავდა სამი ვაჟი: ადარნასერი, გურგინი და პატრიკიოსი აშოტი, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა, და გაუყო მათ თავისი მიწა წყალი, და ადრანუჯი ერგო გურგენს და, როდესაც ის უძეოდ გარდაიცვალა, დაუტოვა იგი თავის ძმას აშოტს, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა. ხოლო, აშოტ პატრიკიოსმა, კისკასმა, აიყვანა სიძედ, თავისი ქალის ქმრად, ის გურგენ მაგისტროსი, რომელმაც ხელისუფლება რომ მიიღო, ძალით წაართვა თავის სიმამრს აშოტს, ადრანუჯი და ამას საბადლოდ მისცა მას ტიროკასტრონი და აჭარის წყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანის მოსაზღვრე იყო კოლორისთან. პატრიკიოს აშოტ კისკასსა, ცოლად ჰყავდა გიორგი მაგისტროსის, აფხაზეთის მთავრის და, და როდესაც ერთმანეთში აიშალნენ გურგენ მაგისტროსი და გიორგი, მაგისტროსი და აფხაზეთის მთავარი, რადგან აფხაზეთის მთავარს გამოესარჩლა აშოტ პატრიკიოსი, გურგენმა შესძლო და წაართვა აშოტს ის საბადლო ქვეყანაც, რომელიც მან მისცა მას ადრანუჯის მაგიერ, და გააძევა იგი. ისიც გაემგზავრა აფხაზეთში. ხოლო როდესაც გურგენ მაგისტროსი გარდაიცვალა, ადრანუჯი დარჩა მის ცოლს, აშოტ პატრიკიოსის, კისკასის ქალიშვილს, როგორც მისი მამისეული. ხოლო როდესაც გურგენ მაგისტროსის მიწა-წყალს ინაწილებდნენ იარალის სამთაულებით აშოტ კუროპალატს, აფხაზეთის მთავარი გიორგი მაგისტროსი და ბაგრატ მაგისტროსი, ზემოსხენებული კუროპალატის ძმა, ისინი მორიდდნენ და თითოეულმა წაიღო თავისი სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა. ადრანუჯი ახლოს მდებარეობდა ზემოსხენებული დავითის ძის სუმბატისთვის; მაშინ შეიპყრეს გურგენ მაგისტროსის მეუღლე, ესე იგი აშოტ პატრიკიოსის, კისკასის ქალიშვილი და უთხრეს: „შენ ქალი ხარ და არ შეგიძლია გეპყრას ციხე“. მაშინ სუმბატმა ციხის მაგიერ მისცა ქალს სხვა მიწები და ხელთ იგდო ეს ციხე ადრანუჯი“<sup>10</sup>.

ეს ვრცელი ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო. როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ შვილების არყოლისას ძმები არიან უახლოესი მემკვიდრეები — აკი ცნობა გვეუბნება, რომ „ადრანუჯი ერგო გურგენს და, როდესაც ის უძეოდ გარდაიცვალა, დაუტოვა იგი თავის ძმას აშოტს“... მაგრამ, აქ მეორე მნიშვნე-



ლოვანი ცნობაც გვაქვს ქალის მემკვიდრეობაზე. ქალი მემკვიდრეა არა მეუღლის ქონების, არამედ მშობლის. საქმე ისაა, რომ გურგენ მაგისტროსის გარდაცვალების შემდეგ, მის ცოლს დარჩა „ადრანუჯი“, „როგორც მისი მამისეული“. მაგრამ, გურგენ მაგისტროსის მეუღლეს სამემკვიდრეო ქონებადან ციხეს ათმობინებენ: „შენ ქალი ხარ და არ შეიძლება გეპყრას ციხე“. სამაგიეროდ, მას სხვა მიწებს აძლევენ. აქ, ეტყობა, ჩანს, რომ ციხე არ შედიოდა „საქალო“ ქონების სიაში, იგი „საკაცო“ ქონებაა. საკაცო ქონებაშიც ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი იმ ობიექტებს ეჭირა, რაც ბრძოლისათვის (თავდაცვისათვის) გამოდგებოდა. მაგრამ, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გურგენ მაგისტროსის მეუღლე შეიპყრეს, რათა ხელი აეღო ციხეზე. როგორც ჩანს, რაღაც უფლება უნდა ქონოდათ ქალებსაც ამ მიმართებით. ძველ რუსეთში ყოფილა შემთხვევები, როცა მთავრის ცოლებს ჯარიც კი ყოლიათ.

გვერდითა სამემკვიდრეო უფლებებს ვხედავთ XIII საუკუნის ცნობილ დოკუმენტში, როგორიცაა „შეწირულობის დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი“<sup>11</sup>. იგი ფართოდ შეისწავლა პროფ. გ. ნადარეიშვილმა. ეს ძეგლი უნიკალურია ანდერძით მემკვიდრეობის დარღვი. მაგრამ, მასში კანონისმიერი მემკვიდრეობის პრინციპებიც მოსჩანს. საქმე ისაა, რომ კახა თორელი დამწუხრებულია შვილის არყოლით და თავის ქონებას სწირავს რკონის მონასტერს. თუმც, იმედი მაინც შერჩენია მისი ყოლისა. ძეგლიდან ჩანს, რომ მისი მემკვიდრეა შვილი და გვერდითა ხაზის ნათესავებიდან — ძმა. თუმცა აქ არ ჩერდება იგი და უფრო შორეულ ნათესავებშიც ხელავს თავის მემკვიდრეს. ეს აზრი ძეგლის სხვადასხვა ადგილებიდან საბოლოოდ ნათლად იკვეთება: როცა მის ქონებაზე უფლების საკითხი დაისმება, შვილის გვერდით ძმები მოიხსენიებიან. ასე მაგალითად, საუბრობს რა შეწირვის მოტივებზე, იგი აღნიშნავს: „შვილი არ გუეს[ვა და ვიყიდეთ სოფელი ხოვლე თქუენითეს... ბატონმან მამამ ჩემმა ეზოში მამული დამ[იგდო, რომე თუმცა] სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა, ესეც ჯელ[მეწიფებოდა], მაგრა თუ შვილი მომეცემის, მას არ ვემართლები. და თუ შვილი არ მომეცემის, ჩემთა ძმათა არ უზმიდი, და ჩემგან ნასყიდი უკეთუ დაგრჩებოდა“<sup>12</sup>. ახ კიდევ, ავიღოთ ძეგლის სხვა ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ შეწირულ ხოვლეზე უსაფუძვლოა შვილისა და ძმის პრეტენზიები: „და არ ამაღ შემოგუწირავს, თუ შვილი არ გვესო: თუ მოგვეცეს, ეგეც თქუნდა მოგუესენებია. ჩემის სულისათეს მიყიდა და არავის საქმე უც ხოვლეს გუერლდ, [არცა] შვილისა და არც ძმასა“<sup>13</sup>. ძეგლიდან შეწირულობის შესაძლებელ დამარღვევად ისევ შვილი და ძმა მოსჩანან. მაგრამ, ამას ემატება სხვა ნათესავიც: „მერმე თუ ვინ ამისი მომშლელი გამოვიდეს: ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყვასი“<sup>14</sup>. ჩანს, რომ მის ქონებაზე პრეტენზიის განმცხადებელთა წრეშია „მოყვასი“, მოგვარე („ჩემის გუარის კაცი“). აქ უკვე გვაქვს გარკვეული თანმიმდევრობა მემკვიდრეთა: შვილი, ძმა, მოყვასი. ეს უკეთ ჩანს შემდეგი ადგილიდან: „თუ შვილი მოგუეცეს, საურავად მისი კელი შევიდოდეს, არ მისად მოსაჯმარებლად რაისიმე — ჩუენის სულისათვის. და თუ შვილი არ მოგუეცეს, რომელსაც ჩემსა ძმასა შევავედრო. იგი ურვოდეს. და თუ ვერცა ამას ვესწრა, რომელიც ჩემის გვარის კაცი მონასტრისათვის უკეთესი იყოს, მისგან იურვებოდეს“<sup>15</sup>. როგორც ჩანს, მოგვარეთა უფლებები განსხვავებული იყო იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის ქონებასთან გვეჭონდა საქმე. ასე მაგალითად: „და რა გინდა ვალი და ნუ

დაჭირება დაემართოს ჩემსა გუარის კაცსა, ვითა გიშელთა და ფანასკერტელთა მამულსა თანა არაი საქმე უც, ეგრევე ხოვლესთან არაი საქმე ეღვას<sup>16</sup>. გ. ნა-  
 დარეიშვილი, რომელმაც სწორედ გვერდითთა მემკვიდრეობის კუთხით შეის-  
 წავლა მოცემული სიგელი, ფიქრობს, რომ მოგვარებებს ხოვლზე, როგორც  
 საკუთარი შრომა-გარჯილობით შეძენილზე, არ ჰქონდათ უფლებები. მათი  
 უფლებები ვრცელდებოდა, თანაც შეზღუდულად, მხოლოდ საოჯახო-სამემ-  
 კვიდრეო მფლობელობაზე. სწორედ თანამოგვარეთა (შორეულთა) პრეტენზი-  
 ების არსებობა მას აფიქრებინებს, რომ მემკვიდრეები იყვნენ არა მარტო გა-  
 უყრელი ძმები, არამედ გაყრილებიც<sup>17</sup>.

რაც შეეხება საკანონმდებლო ძეგლებს, უნდა დავასახელოთ გიორგი  
 ბრწყინვალის სამართალი. მასში ჩანს, რომ გაუყოფარი გვერდითი ხაზის  
 ნათესავები მემკვიდრეებია. იგი, მართალია სისხლის დაურევებას ეხება, მაგ-  
 რამ გარკვეული დასკვნები ქონებრივ ურთიერთობებზეც შეიძლება გაკეთ-  
 დეს. ასე მაგალითად, მე-7-ე მუხლიდან გამომდინარე, მემკვიდრეთა წრე-  
 ში ექცევიან: „...ჯევისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შიგან მოახლე  
 ერთ სახლის კაცი... მამა, ბიძა, ძმა, ბიძას ძე, ძმის წული, რა გინდა რა მისის  
 გუარისა მისი მოახლე“...<sup>18</sup> განმსაზღვრელი ფაქტორი მემკვიდრეობისა აქ  
 არის ის რომ გაუყოფარი იყოს ნათესავი. რაც შეეხება განაყოფებს, როგორც  
 ჩანს, მათი მკვლელობისათვის, როგორც ჯევისბერის ნათესავისათვის, საკმაოდ  
 მაღალი სისხლია დაწესებული. მაგრამ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ მემ-  
 კვიდრებს. მე-17-ე მუხლიდანაც იგივე აზრი გამოსჭვივის, რომ მოკლული კა-  
 ცის მემკვიდრეებია შვილი, „მოახლე გაუყოფელი“. სწორედ ამის გათვალის-  
 წინებით უნდა გავიაზროთ გიორგი ბრწყინვალის სამართლის 28-ე მუხლი, რო-  
 მელიც ბეითალმანს ეხება. ეტყობა, ხაზი სამემკვიდრეო ურთიერთობათა გან-  
 ვითარებაში ნათესავთა წრის შემოზღუდვისაკენაა მიმართული — მთელი გვა-  
 რიდან ოჯახისაკენ — აი ხაზი ამ ევოლუციისა. ამ შემთხვევაში ისლა დაგვრჩე-  
 ნია ვთქვათ, რომ ძეგლის დადებიდან გვერდითი ხაზის ნათესავთა საკმაოდ  
 ფართო წრე გამოიყურება, როგორც სავარაუდო მემკვიდრეები. ბექასა და  
 აღბუღას სამართალი ერთობ ძუნწ ინფორმაციას გვაწვდის ამ საკითხზე. ბე-  
 ქას სამართლის 48-ე მუხლში საუბარია ძმის ურთიერთობაზე ძმასთან ან სხვა  
 ახლობელთან (მეყვისი) და დადგენილია, რომ ძმამ, რომ ძმა ან მეყვისი სახ-  
 ლიდან გააძევეს და „მამულისაგან გააბეზროს“, მობრუნების შემთხვევაში  
 მათ მამულის მემკვიდრეობას ვერავენ დაუშლის — „მამულისა ეგრევე მოსაქმე  
 იყოს“. (სავარაუდოა ეს მამული თუ ძმის? უფრო პირველი?). ვახტანგ VI-ის  
 სამართალი რამდენიმე ნორმას შეიცავს, რომელშიც გვერდითი ხაზის ნათესავ-  
 თა მემკვიდრეობა ემუქვს არ იწვევს. ასე მაგალითად, 139-ე მუხლი, რომელიც  
 სავალო ურთიერთობას ეხება, მემკვიდრეობასთან ჭრილში ადგენს: „საქარ-  
 თველოს რიგით, ძმა თუ ძმისწული ან ბიძაშვილი გაუყრელი დარჩა, იმ მკუდ-  
 რის წილი მამულიცა და საქონელიც მისი არის და ვალიც იმათ უნდა გარდი-  
 ხალოს“<sup>19</sup>. ამ მუხლის ბოლო ნაწილიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ გაუყრელად  
 მცხოვრები მამა-შვილი ერთიმეორის მემკვიდრეებია. ან კიდევ ავიღოთ  
 107-ე მუხლი, რომლიდანაც ასევე ჩანს, რომ ოჯახის წევრებს (ეტ-  
 ყობა გაუყრელებს) სამკვიდროდ დარჩენილთა ქონება „ან მამისა ან დედისა, ან  
 უშვილოს ბიძისა თუ ძმისა“..., რომელსაც შემდგომ გაყრისას იყოფენ<sup>20</sup>. ვახ-  
 ტანგის სამართლით უშვილო ძმის საუფროსოს ძმა ეუფლება. იგივე წესი მოქ-  
 მედებს საუმცროსოს მიმართ. 110-ე მუხლიდანაც დასტურდება, რომ უშვი-

ლოდ ამოგარდნილი ძმის ქონებას ძმები ეუფლებიან იმის გამოკლებათ, რაც მის უკანონო შვილს (ბუშს) ერგება.

საქართველოს ჩვეულებითი სჯულის ნორმებში უაღრესად ცხადადაა ნაჩვენები გვერდითა სამეკვიდრო უფლებები. 30-ე მუხლიდან ჩანს, რომ ვაკა-შვილთა გარდა მემკვიდრეებია „გაუყრელი ძმა, ანუ ძმისწული“. მსგავსი რიგი მემკვიდრეთა სხვა მუხლებშიც მეორდება: „გაუყრელი ძმა ანუ ბიძაშვილი“ (მუხლი 32), „გაუყრელი ძმა , ბიძა და ბიძაშვილი“ (მუხლი 33), და ა. შ. მემკვიდრეებია გვერდითები — ოღონდ გაუყრელნი. ამავე აზრს ადასტურებს ჩვეულებითი სამართლის ნიმუშები, რაც ეთნოგრაფთაგან არის მოძიებული. ბეთალმანზე უფლების საკითხი კიდევ უფრო აზუსტებს გვერდითა მემკვიდრეობის საკითხებს.

მუსლიმანური სამართლით აღიარებულია გვერდითა მემკვიდრეობა. ჯერ, რაც შეეხება დედით ღვიძლ დებსა და ძმებს. „ისინი მკვიდრობენ მამიან, თუკი არ არიან ღვიძლი ვაჟიშვილები და შვილიშვილები, ქალიშვილები და შვილიშვილები მამაკაცის ხაზით, მამა და პაპა და ღებულობენ, როგორც წესი ყურანით დადგენილ წილს — 1/6. როცა ერთი სულია. მაგრამ თუ ორი ან მეტია — თითოეული 1/3-ს სამკვიდროსი. ღვიძლი დებიდან კი — ერთი ღებულობს 1/2-ს; ორი და მეტი კი — 2/3-ს, მაგრამ თუ ძმებიც არიან, ყოველი და ღებულობს ძმაზე კუთვნილი წილის ნახევარს. მაგრამ თუ სახეზეა ქალიშვილები და შვილიშვილები მამაკაცის ხაზით, მამიან ღვიძლ დას ერგება ის, რაც დარჩება ამათი წილის გამოყოფის შემდეგ. მამით ღვიძლი დებიდან: ერთი ღებულობს სამკვიდროს ნახევარს, ორი და მეტი 2/3-ს თუ არ არიან ღვიძლი დები. ხოლო, თუ ამათგან (ღვიძლთაგან) ერთ-ერთია სახეზე, მამიან 1/6-ს ყველა. მაგრამ თუ ქალიშვილი და შვილიშვილია მამაკაცის ხაზით — რაც დარჩება ამათი წილის გამოყოფის შემდეგ. როცა ორი ღვიძლი დაა, მამით ღვიძლი ან მკვიდრობენ, იმ შემთხვევის გარდა, როცა უკანასკნელთ ყვეთ მამით ღვიძლი ძმა, ყველა ისინი ღებულობენ ერთად მთელ სამკვიდროს. როცა წილთა ყველა ისინი ღებულობენ ერთად მთელ სამკვიდროს. როცა წილთა ჯამი ფარავს სამკვიდროს, ღვიძლი და მამით ღვიძლი დები აღარ მკვიდრობენ<sup>22</sup>.

როგორც ჩანს, გვერდითთა უფლებები თავდაპირველად უფრო ფართო იყო. ისინი ზოგიერთ ხალხებში და მათ შორის ჩვენში ხომ პირველი რიგის მემკვიდრეებიც იყვნენ. როგორც ითქვა ზემოთ, გვერდითთა უფლებების შევიწროვება ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. ქონება ცხადდება ბეთალმანად და ეუფლება მას მეფე, ფეოდალი. მაგრამ ძველი სამართლის თავისებურება ის იყო, რომ იგი ასეთ შემთხვევაშიც არ ივიწყებდა მემკვიდრეობის ნათესავენს და მათ აძლევდა ამ ქონების უპირატესი დაუფლების საშუალებას. სასამართლო პრაქტიკიდან შესანიშნავად ჩანს, რომ ბეთალმანზე პრეტენზიის მქონე პირები თითქმის ყველა გარდაცვლილის ნათესავია. სახელმწიფო ამას უწევს ანგარიშს და კვლავ მათ უბრუნებს სამკვიდროს — ადგილმამულს. მაგრამ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? საკმარისია სახელმწიფოს ხელთ ჩავარდეს ქონება და იგი სულ ივიწყებს მისი შეძენის ისტორიას და ისე წარმოსახავს მდგომარეობას, თითქოს თავისი გაჩენის დღიდან მისი საკუთრება იყო — საერთოდ უგულებელყოფს ამ ქონებასთან ნათესავთა რაიმე

შემხებლობას და თუკი ვინმე მოითხოვს მსგავსი ქონების უპირატესად შესყიდვას, როცა ეს დაშვებულია, — ყველას ათანაბრებს მასთან მიმართებაში. უკიდურესად შევიწროვდა მემკვიდრეთა წრე — გვერდითთა ამ შემთხვევაში ე. წ. „საბჭოურ სამართალში“ — დითა და ძმით და მათი შვილებით ამოიწურება გვერდითთა რიცხვი. მამისა და დედის ძმები, ბიძაშვილები — თითქოს არ არიან ნათესავები. მათი ადგილი სახელმწიფომ დაკავა იგი სისხლისმიერა ნათესავების გვერდით დადგა და ვერ დაკმაყოფილდა ბეთაღმანით. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ჩარევა სხვა არაფერია, თუ არა საერთოდ უჯუღუგბელყოფა წმინდა ურთიერთობებისა, როგორცაა ნათესაობა. ჩვენში მისი წრე მეტად შევიწროვებულია და ეს იგრძნობა ნებისმიერ სფეროში იურიდიული ურთიერთობებისა. სისხლის სამართალიც რომ ავიღოთ, ისიც ასეთ უპატივცემულობას იჩენს მის მიმართ და ახლო ნათესავსაც კი სასჯელის შექარით აიძულებს თქვას სიმართლე და „დაასმინოს“ მოყვასი. თითქოს რაღაც ნაბიჯები იყო გადადგმული საფუძვლების იმ პროექტში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა, მაგრამ ისიც კუს ნაბიჯებსღა ჰკვდა. იგივე ითქმება საოჯახო ურთიერთობათა შესახებ — ნათესაობაც კი არ იყო ხშირად საფუძველი იმისა, რომ მოგვეპოვებინა ახლობელ ადამიანთა ერთად ცხოვრების უფლება. სახელმწიფოს ინტერესებმა ფეხქვეშ გათელა ნათესაობა ვალდებულებითს ურთიერთობაში რამდენი ადამიანი გაწამებულია დამახინჯებული იურიდიული პრაქტიკის გამო, რითაც იკრძალებოდა უსასყიდლო გარიგებანიც კი ყველაზე ახლო ნათესავთა შორის (ვთქვათ ჩუქება ავტომობილისა ბიძისაგან ძმისშვილზე). ამიტომ, ჩვენ სწორედ გვესახება, რომ ამჯერად გაფართოვდეს გვერდითი მემკვიდრეების წრე მოქმედ სამართალში. სხვანაირად დაზარალებდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ზნეობრივი ცხოვრების პრინციპები (რომლებიც დღესაც შერყვნილია), რომელსაც ემყარებოდა ძველი სამართლებრივი მოძღვრებანი. ბიძებისა და ბიძაშვილების ფარგლებამდე მაინც უნდა მივიდეთ. მით უმეტეს, ჩვენი ძველი სამართალი მტკიცედ იდგა ამ პოზიციებზე და ეს ეხებოდა ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობასაც. უპირატესი შესყიდვის უფლება მამულისა, სწორედ, რომ მახლობლობის მიხედვით დგინდებოდა და მართალია, ჯერჯერობით, ჩვენში მიწა არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საგანს, მაგრამ ხალხში გავრცელებული ტრადიციის ძალით, მასზე უფლების მოპოვებისას უპირატესობა ახლობელს ენიჭებოდა. მართალია ოფიციალური კანონმდებლობისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ქონდა, მაგრამ თვით ხალხში ისე იყო მოწყობილი საქმე, რომ იშვიათად ნათესავს ვინმე დაპირისპირებოდა ხოლმე. ამრიგად, ნათესაობა კვლავაც უნდა აღსდგეს, როგორც ერთი მყარი საფუძველი იურიდიულ მოწყობებებში. ვფიქრობთ, ეს არ იქნება უარყოფა სამოქალაქო თავისუფლების. საქმეც ისაა, რომ მომეტებულმა სამოქალაქო თავისუფლებამ შეიძლება კიდევ დააზიანოს ჩვენი ზნეობრივი ცხოვრება.

## ლიტერატურა:

1. И. Бенгам, Избранные сочинения, I, Спб., 1987, с. 403.
2. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 2965, გვ. 158.
3. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), 1957, გვ. 129.
4. იქვე, გვ. 61.
5. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 157.
6. გ. ნადარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.
7. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, გვ. 158--159.
8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 263.
9. იქვე, გვ. 339-340.
10. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი II, ზერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1954, გვ. 277.
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 57-58.
12. იქვე.
13. იქვე, გვ. 58.
14. იქვე, გვ. 60.
15. იქვე, გვ. 62.
16. იქვე, გვ. 59.
17. გ. ნადარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული), ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 405.
19. იქვე, გვ. 516.
20. იქვე, გვ. 510.
21. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 57-59.
22. Сборник постановлений шарията по семейному и наследственному праву, вып. I (О наследовании у мусульман сунитов), составитель П. В. Антаки, Спб., 1912, с. 16.

## ბ. ი. ზოიძე

ВОПРОС НАСЛЕДОВАНИЯ БОКОВЫМИ РОДСТВЕННИКАМИ  
В ГРУЗИНСКОМ ПРАВЕ

## Резюме

В работе на основе памятников грузинского права рассматриваются основные вопросы наследования боковыми родственниками в грузинском праве. Установлено, что в основном наследниками являются боковые родственники, которые жили вместе с наследодателем, а те, которые жили раздельно, имели только преимущественное право на владение выморочным имуществом.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

განი 2 მის.

6352/77

იხილეთ 76106  
საქართველო  
საგარეო ურთიერთობების